# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 34 (2813) გამოცემის მე-60 წელი; 1991, 23 აგვისტო ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მყინვარწვერი. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

## ნოდარ ჯალაღონია

# სულის მისსია

ზვიად გამსახურდიას

რადგან სამშობლო ერქვა შენს სურვილს,
შენ მხოლოდ თესდი, კი აღარ მკიდი,
აწონილია ის შენი სული,
გამოვლილია ის ბეწვის ხიდიც.

თუმც კვლავ ჩხრიალებს იუდას ვერცხლი
და ბევრი კიდევ ბიბირებს კოცნას,
აწი, ამ ქვეყნად ვერავინ შეცვლის
შენს გზას, შენს რწმენას, ფიქრსა და ლოცვას.

დაბადებული ეკლიან გზისთვის,
რადგან ამ გზაზე ბოლომდე ივლი,
მჯერა, გახდები უდაოდ ღირსი
მთვარის, ვარსკვლავის, მზის ერთად ხილვის.



## დღეს ნომერში

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია
მე-2 გვ.

მერაბ ელიოზიშვილი
მდუღარე მდინარე
დასაწყისი მე-3-4 გვ.

როსტომ ჩხეიძე:
ვიდრე დამდგარა ჟამი
მე-5 გვ.

მინდია ლაშაური
ფუნდამენტური ნაშრომი
მე-6 გვ.

გივი ძნელაძე
ახალი ლექსები
მე-7 გვ.

ზურაბ ლავრელაშვილი
სამი ნოველა
მე-8 გვ.

გივი გეგეჭკორი
საუკუნე თავდება
მე-9 გვ.

ალექსანდრე სიგუა
შეხვედრები გერონტი ქიქოძესთან.
მე-10 გვ.

მარინე ჩიტაშვილი
გზა, რომელიც ყველამ უნდა გავიაროთ
მე-11 გვ.

ვლადიმირ ნაბოკოვი
წერილი რუსეთში
მე-12 გვ.

გიორგი ნახუცრიშვილი
ჩვენი სატკივარი
მე-14 გვ.

ლელა წიფურია
„ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ“
მე-15 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია

მეცნიერებაში, ალბათ, მალე დაიმკვიდრებს თავის ადგილს კიდევ ერთი დარგი — ქვეყნაშენ-როლოგია!

ამ დასკვნამდე მივედი, როცა თენგიზ თაქთაქიშვილის წერილი — „წმინდა სახელმწიფო" (გაზეთი „თბილისი", 1991 წლის 1 აგვისტო) წავიკითხე. . .

სტატიის დასაწყისში საუბარია მყვა სოფელი და სტუმარ-მასპინძლობის უძველესი რიტუალი დაარღვია. ხედავთ რა ხდება? ხანდაზმულმა კაცმა, გაბურძგვნილმა, წირპლიანმა, ნახევრად ველურმა, მთელი სოფელი აიყოლია, აცდუნა და ადათ-წესის საწინააღმდეგოდ აამხედრა.

იმ წამს, როცა ჯოყოლას თოკავდნენ, რომ გამოჩენილიყო დავენდეტა ოდენ ქართველებისა და ვაინახების წესი არ ყოფილა და, თუკი ბოლშევიკთა შთამომავლებს არ ვეთანხმებით, ყველა ტრადიცია მისაღები უნდა იყოს ჩვენთვის. მარტო სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას რომ გავუერთგულდით, იმიტომ ველარ ვარჩევდით დღემდე მტერსა და მოყვარეს.

უპატრონონ, ანუ მას უნდა შეწირონ ზვიადაური, მის საფლავზე უნდა აუგონ წესი. კაი ყმა იყო ხევსური და ამადაც არ ემხვერპლა, არ შეეწირა.

ქისტები გაწყრნენ, ატკიცეს:<br>ვერ აუსრულდათ წადილი...<br>დაკლულმა დაჰკლა მათ გული<br>და გაუცრუა ქადილი.

# ფრთხილად, ვაჟა ღმერთთან ლაპარაკობს

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელზე":

„ვაჟა-ფშაველას" „სტუმარ-მასპინძელში" მშვენივრად არის გადმოცემული ბოროტებისა და სიკეთის არსი. კაცი როცა ავ საქმეს განიზრახავს, რა უნდა იმის შესრულებას, თუკი შესაფერისი დროც დაუდგება? იმ ბერიკაცს, ჯოყოლას სახლში რომ იჯდა და ფანდურზე მღეროდა, დიდი ჭკუაგონება, განათლება, ან რაღაც განსაკუთრებული ინტუიცია სჭირდებოდა, რომ ზვიადაური გაეყიდა? იმ მოხუცმა ტრადიციის საპირისპირო საქციელი ჩაიდინა, დაასმენს და-



ფიქრებული კაცი და დადინჯებული გონებით მიემართა თანასოფლელთათვის, რასა სჩადიხართ, ძმებო, ჯოყოლა მართალია, ზვიადაური მისი სტუმარია და ჩვენივე წეს-ჩვეულების მიხედვით ხელშეუხებელიაო, გავეშებული ბრბო ასეთ კაცს მაშინვე, იქვე ჩასწიხლავდა. რისთვისღა გაირთულებდნენ საქმეს, როცა შეეძლოთ უმარტივესად მოქცეულიყვნენ? ადგნენ და მოკლეს ზვიადაური. ამით თავიანთი თანამოძმე შეურაცხყვეს, ჯოყოლამ კი ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია..."

გასაგებია, რომ ბატონ თენგიზს სხვა სათქმელი აქვს, მაგრამ თუ რატომ დასწვდა იგი „სტუმარ-მასპინძელს", ეს კი პირადად ჩემთვის გაუგებარია; გაუგებარია იმიტომ, რომ პატივცემული ავტორი, ჩემის აზრით, თავს გვახვევს მიუღებელ თვალსაზრისს.

ბატონი თენგიზის მთავარი შეცდომა ის გახლავთ, რომ იგი სისხლის აღების, ამ ძირძველი და, მაშასადამე, მისაღები ტრადიციის მოძულეა. ყველა დანარჩენი მცდარი აზრიც ამ ძირითად შეცდომაზეა დაშენებული.

„სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისად:!" — ბრძანებს ვაჟა-ფშაველა.

ახლა, თუკი ამ თვალსაზრისს გავითვალისწინებთ, ის ხნიერი კაციც აღარ იქნება ავის მოქმედი, ბოროტი, უჭკუო, გაუნათლებელი, წინდაუხედავი, მაბეზღარა, ტრადიციების დამრღვევი, გაბურძგვნილი, წირპლიანი, ნახევრად ველური და მაცდური ბებერი.

სხვათაშორის, ამ ქისტზე ვაჟას ერთი ძვირიც კი არ დასცდენია.

ვაჟა-ფშაველას სხვა, უფრო დიდი სათქმელი აქვს და იგი ჩვენთვის, რიგით მოკვდავთათვის, ყოველთვის გასაგები როდია!

ადამიანს, როცა წინდაწინ რაიმე არ მოსწონს, დაკვირვებისა და ანალიზის უნარიც უქვეითდება.

„ადგნენ და მოკლეს ზვიადაური", — გვარწმუნებს ბატონი თენგიზი და სჯერა, რომ ქისტები „უმარტივესად" მოიქცნენ. მე კი ვფიქრობ, რომ ვაჟას გმირები ასე არასოდეს იქცევიან. ჩვენ გვეჩვენება, რომ მათი მოქმედება მარტივია, რადგან ეს ქმედება, ვაჟას ნახელავივით, თავისი უბრალოებითა და გარეგნული სიმარტივით არის სწორედ გენიალური.

ქისტებმა ზეფხულში ხევსურთაგან მოკლულ თვისტომს უნდა ცოდვაა, კარგი ვაჟკაცი ყოფილაო, ამბობენ ქისტები, „მაგრამ მტერს მტრულად მოექე, თვითონ უფალმა ბრძანაო", — ესეც იციან.

არც ისე მარტივად ყოფილა საქმე, როგორც ჩვენ გვეგონა.

„...ჯოყოლამ კი ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია," — წერს სტატიის ავტორი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჯოყოლა თავს იკლავდეს. ვაჟას სხვა იდეა აქვს, წერილის ავტორს — სხვა სათქმელი. მოდა, ეთქვა ბატონ თენგიზს თავისი სათქმელი და დაენებებინა თავი ვაჟას გმირებისათვის, კარგი იქნებოდა.

„ასე იყო რევოლუციის დროსაც", — აგრძელებს შემდეგ პატივცემული ავტორი.

კაცი თავისი თვალსაზრისის ერთადერთობასა და შეუმცდარობაში არ უნდა იყოს ასე დარწმუნებული; არც სხვას უნდა მოახვიოს თავზე საკუთარი აზრი, მითუმეტეს, როცა გენიოსის ნახელავთან აქვს საქმე.

**მიხა არაბული**

# დააჯილდოვეს ქართული მხატვრული ფილმი

ახლახან იაპონიაში ჩატარდა სატელევიზიო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ფილმები: იაპონიიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან,. შვეიცარიიდან, ეგვიპტიდან, იორდანიიდან, ირანიდან, ინგლისიდან და საქართველოდან.

ფესტივალი დაემთხვა იაპონიის ატომური დაბომბვის 46 წლისთავს და ტარდებოდა დევიზით: „მსოფლიო მშვიდობა და სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში".

პირველი პრიზი წილად ხვდა გერმანულ დოკუმენტურ ფილმს, „სადამ ჰუსეინი", რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ აწვდიდნენ ქიმიურ იარაღს გერმანელები ერაყს.

მეორე პრიზი მიეკუთვნა ქართულ მხატვრულ ფილმს „ცოდვის შვილები" (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი გოდერძი ჩოხელი. სამხატვრო ხელმძღვანელი ბუბა ხოტივარი). ფესტივალზე ძალიან ბევრი ითქვა ამ ფილმის ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და მხატვრულ ღირსებებზე.

ფესტივალის შემდეგ გაიმართა 46 წლის წინ მომხდარი ტრაგედიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, რომელიც ქართულ ფილმში დასმულ პრობლემებზე საუბრით დამთავრდა.

ვულოცავთ გამოჩენილ ქართველ რეჟისორს გოდერძი ჩოხელს და ფილმის გადამღებ კოლექტივს ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**სურათზე:** პრიზი, რომელიც მიენიჭა „ცოდვის შვილებს".

# ერის ღალატი

არასოდეს არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ, მაშასადამე არც გამოსვლის პატივი მქონია, ამდენად მორალურად ალბათ არა მაქვს უფლება პარტიის „გაკრიტიკებისა", მით უმეტეს, რომ პოლიტიკა საერთოდ ჩემი საქმე არაა.

მაგრამ ჩემი ერის ინტერესების დაცვის უფლება კი დედის რძესთან ერთად მაქვს შესისხლხორცებული და აქ რჩევას არავის ვეკითხები.

მოკლედ რომ მოგახსენოთ, გამოცა და აღმაშფოთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განცხადებამ, რაც „ცხოვრებაში" დაიბეჭდა. მასში მხოლოდ ბოლო ფრაზაა მისაღები: რომ ინტელიგენცია „გაგებით მოეკიდოს შექმნილ მდგომარეობას და დაიცვას კეთილგონიერება". კეთილი, მაგრამ როცა მიმართვას იწყებდნენ, მაშინ რატომ თვითონ არ „დაიცვეს" კეთილგონიერება? აბა ეს რა კეთილგონიერებაა, ჩამოთვალო ყველა ძნელბედობა, რაც რესპუბლიკას (და მთელს იმპერიას!) სჭირს, ყველა სიძნელე, გასაჭირი, ნაკლებობა, სიძვირე — მოკლედ ყველაფერი ცუდი, რაც ხალხს განუცდია — ლამის ლისაბონის მიწისძვრის ჩათვლით, და ყოველივე ამის მიზეზად გამოაცხადო „რესპუბლიკის ხელისუფლების" მიერ მიღებული ღონისძიებები?! ამ დალოცვილებს რატომ ავიწყდებათ ის დადებითი, მთავარი, ახალი შუქი, რამაც მსოფლიოს თვალში ახლად აამაღლა და გაანათა პატარა რესპუბლიკის მრავალათასწლოვანი ისტორია? ამდენი მეგობარი, სტუმარი, აღიარება, ამერიკის კონგრესის თავზე საქართველოს დროშის აღმართვა, ჩვენი ერის, მთავრობისა და პრეზიდენტის შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის? თუმცა რას ვამბობ! სწორედ ეს თავისუფლება არ აძლევს ხელს კომპარტიას, რომლის წინამძღოლობითაც ერები კბილთა ღრჭენით მიიყვანეს უფსკრულამდე, სისხლის ტბაში კი ქარონის ნაცვლად მენავედ „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი" იდგა! ეტყობა, კომპარტიას ასე ესმის თავისუფლება: უსათუოდ უნდა დაიღვაროს სისხლი, დაიხვრიტონ რომანოვებისა და ბაგრატიონების მთელი ოჯახები, დათრგუნონ თავისუფალი აზრი და მერე დააკანონონ ტირანთა თავისუფლება!

შეიძლება ზოგს ეგონა, რომ საქართველოს კომპარტია მართლა გარდაიქმნა, რომელიღაც ახალმა პავლე მოციქულმა გააქრისტიანა წარმართები, და მართლაც მრავალი ღირსეული, განათლებული, ერის მოყვარული ადამიანი მეგულება მის რიგებში, ისე, რომ ზოგის პარტიულობა გამკვირვებია კიდეც... დღეს კი შემაძრწუნა დოკუმენტმა, რაც ნიმუშია შეხედულებათა და პიროვნებათა მეტამორფოზების, ნიღბების, რაც ერის ღალატს ედრება! ნუთუ ისინი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს საგანგებო წესების, ტანკების შემწეობით აპირებენ?

გოეთეს სძაგდა ყოველი რევოლუცია, რადგან ეს დაკავშირებულია სისხლთან, ძალადობასთან. ჩვენი ბიუროც სიმშვიდისაკენ მოგვიწოდებს და რესპუბლიკის პრეზიდენტიც, მაგრამ აქ ორი პოლარული შინაარსია ჩადებული. პირდაპირ ვიტყოდით: ყოველი გადატრიალება, პუტჩი, ხუნტა, ავანტურა ადამიანების ღირსების გამოცდაა, საქართველოს კომპარტიამ ეს გამოცდა ცუდად ჩააბარა. ე. წ. „საგანგებო კომიტეტის" მხარდაჭერა რუსეთის კომპარტიასაც კი არ მოუთხოვია. ჩვენში იოლად ლანძღავენ მოაზროვნეს, შემოქმედს, პრეზიდენტს, პროგრესულ ადამიანებს — ლანძღავენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მათ ადგილზე არაფრის გაკეთება არ ძალუძთ. მარმარილოს ძეგლს ტალახი არ ეკარება, ხოლო ვინც ხუნტას მხარი დაუჭირა, ბარემ ბოლომდე მიჰყვეს მას!

ბატონებო, თქვენ ხუნტას დაუჭირეთ მხარი!

ხომ არ არის ეს სერგოს სინდრომი, ერის ღალატი? ამაში კიდევ უფრო მარწმუნებს იმავე ბიუროს მეორე განცხადება „აფხაზეთის პარტორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენების შედეგების შესახებ". აქაც მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს, „მიუღებლად ჩათვალეს" სოხუმში გამართული მრავალათასიანი მიტინგის პოზიცია, გამოსვლები, რომელთაც ყოველი ნორმალური ადამიანის აღტაცება გამოიწვიეს. ორატორული ხელოვნების ნიმუშებად გამოდგებოდა მწვანეთა მესვეურის, უცნობი რუსი ქალის, მ. ძოძუაშვილის, დ. ხაბულიანის, თ. ქორიძის და სხვათა გამოსვლები. ნუთუ კომპარტია მართლა მხარს უჭერს არძინბას, მის დამქაშთა, აფსუების უსამართლო ლიდერთა მოთხოვნებს, რომ 80.000 აფხაზს მეტი უფლებები მიენიჭოს, ვიდრე 245000 ქართველს? აქ კი უმჯობესია დიდი პოეტი დავიმოწმოთ: „ვაი ასეთსა სამართალს, მონათლულს ცოდო-ბრალითა!" დავითის ერში იუდების ადგილი არ უნდა იყოს! აზრთა სხვადასხვაობა გვესმის, ქრისტეს და ერის ღალატი — არასოდეს!

**აკაკი გელოვანი**

# საინტერესო დისერტაცია ვარშავის უნივერსიტეტში

ქართველი ხალხის მეგობარმა, ცნობილმა პოლონელმა ქართველოლოგმა — ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დოცენტმა იან ბრაუნმა ამავე უნივერსიტეტის ნეოფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ახლახანს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართველური და ბასკური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებზე.

ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს იან ბრაუნს, მან თბილისში გაიარა ასპირანტურის კურსი აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით და აქვე მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სწორედ იმ ხანებში, 50-იან წლებში, დაინტერესდა იან ბრაუნი ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთმიმართების ჰიპოთეზით და პირველი მოხსენებაც ამ თემაზე თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტთა კონფერენციაზე წაიკითხა.

შემდგომში პოლონელი მეცნიერი რამდენჯერმე იყო მოწვეული თბილისის უნივერსიტეტში ბასკოლოგიის კურსის წასაკითხად. ეს კურსი 1984 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ქართულ ენაზე „ბასკოლოგიის შესწავლის" სახელწოდებით.

იან ბრაუნი ავტორია ბასკური და ქართველური ენების ურთიერთმიმართების პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომისა.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომების ციკლმა ოფიციალური ოპონენტებისა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

იან ბრაუნის შრომა დადებითად შეაფასეს ფრანგმა ბასკოლოგმა, საფრანგეთის პოს დეპარტამენტის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორმა, პოლონელმა პროფესორმა ადამ ვაინსბერგმა და თბილისიდან მიწვეულმა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგემ, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ. პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა: ბასკურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა, რასაკვირველია, ჯერჯერობით საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება. მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იან ბრაუნის ნაშრომებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ამ პრობლემის კვლევაში, რის შედეგადაც ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მომხრეთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. იან ბრაუნი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სპეციალისტია, რომელიც საფუძვლიანად იცნობს როგორც ქართველურ ენებს, ისე მრავალრიცხოვან ბასკურ დიალექტებსაც. მის მიერ დამოწმებული ქართველური მასალა აბსოლუტურად სანდოა და მისი ინტერპრეტაცია — დამაჯერებელი.

მისასალმებელი იქნება, თუ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს ამ დიდმნიშვნელოვან ნაშრომს. იგი დაეხმარება სტუდენტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის გააზრებისა და შესწავლის საქმეში.

**სერგო თურნავა**

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია

პირველი მრავალპარტიული, უშედავათო, ალტერნატიული, უპრეცედენტო არჩევნები, ანტიქრისტიანული იმპერიისაგან ქვის ხანაში შერეკილ საქართველოში!

დროშები ჩქარა!

პირველი მოწვევის ნამდვილ-პირველი, უმაღლესი, უზენაესი, ქართული საბჭოს პირველი სესია გაქვისხანებულ საქართველოში!

დროშები ჩქარა!

ახალი, პარლამენტარულ-დემოკრატიული საქართველოს, პირველი უზენაესი საბჭოს, პირველი თავმჯდომარე! პირველი ქართველი მინისტრები! პირველი პრეზიდენტი!

დროშები ჩქარა!

ძირეული ცვლილებები გზა-გზა, ქვის ხანიდან სამშობლოში მომავალი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში!

დროშები ჩქარა!

ქალაქში შეხვეული ქვის პრო-ხიჭვი საქართველოსკენ მიმავალ გზებსა და ბილიკებზე; საკავშირო ტელევიზია ლაზერის კონას — ჰიაკოკონად გვინათებს, პირდაპირ ენაზე გვკბენენ ეკრანსიქითა, გრძელობიექტივიანი კრაზანები!

დროშები ჩქარა!

ჭვრიანი საფლავის ქვებით მოკირწყლული ქართული მიწის გადადუღებას ნატრობს „იმპერატორიც, იმპერატრიცაც“, მანკის ახალ-ახალი ბაფთებით გულშებნეული ყველა დიქტორი!

დროშები ჩქარა!

ყოვლის მხრიდან ცეცხლშემონთებულს, ენადანესტრილს, თავისუფლების ბუჩქიდან-ბუჩქში გადარბენისას გაგონდება ყაზარმული საშუალო სკოლების ფუჰ-ფიჭებში გატარებული სიცრუით-სიმხივნის წლები: ცრუისტორიის ვირუსული ზუზუნი — ახლეჩილი ყურის ღია ხარქველზე მიბარტყული კრაზანების ბუდეებიდან: „ანტანტამო, საშინელი ბლოკადა მოუწყოო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას: პური, შაქარი, წამალი, ახანთი, საპონი, ზორცი, — სანატრელი ჰქონდაო მშრომელ ხალხს, „ანტანტის გემებით, ტანკებით, თვითმფრინავებით ჩაკეტილი იყოო ჩვენს დასახმარებლად გამოწვდილი, მილიონობით რევოლუციურად მოაზროვნე, მსოფლიოს მოწინავე პროლეტარიატის ჯანმრთელი ხელი!..“

სამოცდაათი წლის შემდეგ, კრაზანების მთლიან ყაზარმადქცეულმა იმპერიამ, ეკლიანი არქიპელაგიდან შინმომავალს, დემოკრატიულად განზრახულ საქართველოს, საკუთარი, მშობლიური უდელტეხილი ჩაუხერგა: ყოველი ბუჩქის ძირას ცეცხლი დაუნთო თავისუფალ ფიქრს, ბანჯგვლიანი ხელით დაუშინა გავარვარებული ქვები ყველას, ერის ფეხზე წამოყენებას ვინც გაბედავს!

დროშები ჩქარა!

დარიალიდან შემოგორებულ წითელი იმპერიის სისხლიან დოლაბზე ჩაწერილი მაწანწალა სტეპის ძუმგლის მძუვანი ყმუილი გვესმოდა აკვნებში, დედებ გადაფარებულ ჩვილებს!

დროშები ჩქარა!

თეთრგადაცმულ მყინვარწვერზე ბრუნავდა ცრუწისქვილის წითელი დოლაბი, წითელსარეკელად — სირგო იდგა; სამშობლოდან ერეკებოდა ეროვნულ სულს, ცრუნაფქვს აფრქვევდა ერების ისტორიას, წინაპრის ნაბიჯებს!

წითელ ქარბუქში იბადებოდა ლენინაბადები, სტალინაბადები, კიროვაბადები, ლენინაკანები, ლენინგრადები, სტალინგრადები, ვოროშილოვგრადები, კალინინგრადები, დნეპროძერჟინსკები, სტალინოები, სტალინირები, ჟდანოვგრადები!..

იმარხებოდა ძველი ქალაქები, ძველი ქუჩები, ძველი აივნები!..

ხარბეველზე გამოხული ხალაზანების ზელით უელგამოლადრული საქართველო ნელ-ნელა საფლავდებოდა ერთიან სასაფლაოზე, საფლავებზუა გაჰრილი „ბელადების“ პროსპექტებით, „ბელადების“ მოედნებით, ბელადების სახელობის ქუჩებით! საუკუნით ქვავდებოდა ედემის ბაღად შობილი, ხვთის კალთიდან — ხვთის კალთით ჩამოშვებული ქვეყანა! წვეთავდა სისხლი გატყავებული ეკლესიებიდან, თავდაყირა კითხულობდნენ ავტონომიური ლამურები თვალებდათხრილ სახარებას!

ქვავდებოდა ცრემლი, ქვავდებოდა გული, ქვავდებოდა ადამიანი!..

სამაროვან-ქვათახევებში, ჰირისუფლად ჩაქოლილ ყველა ოჯახს ჰქონდა პატარა, საფლავწინა — საარსებო ნაკვეთი, მცირე საკარმიდამო, სახელზე ბრინჯ-ლობიოს, ფხალეულ-მწვანილეულის მოსაყვანად, ბატკნის საკიკნელად.

თითო ძირი ვაზიც ჰქონდა, თითო ოჯახს, წეკერჩხალზე ამოსული, ან, მცირე ვენახი — შენდობისათვის.

თუ ადგილზე იყო მიცვალებული გაციებული, შეაძვრენდნენ მამა-პაპურ საფლავის ქვის ქვეშ, ქვაზე გაშლილ მცირე სახელზე სუფრას შემოუსხდებოდნენ, ჩაზლეჩილი თამადის შესაწევრის ძახილით, მორჩებოდნენ შვიდჰიქიანს და თავთავიანთ გაქვავებულ აკლდამებს მიაკითხავდნენ.

შორეულიდან ბარათიც არ მოდიოდა საფლავზე ახაკვრელად!

დროშები ჩქარა!

ბრუნავდა ქვის წისქვილი ქართველის თავზე, იფრქვეოდა მუსიკა „მძლე კავშირის“ ჰანგზე. ქვის ნაფქვი ეფინებოდა აგონიაგადავლილ ხნულს. თანდათან ქვავდებოდა ქართველიც, საქართველოც!

ამბის მიმტანები დასტოდნენ ფოსტალიონ-ინტერნაციონალისტებად მიცვალებულ ქუჩებზე, მიცვალებულ ქალაქებში: ქვის გულებში ნაყავდნენ და როდინის ხმით გვამცნობდნენ ახალდეპეშურ განაჩენს: ტაკ-ტაკ-ტაკ, ტებია ი ნადა, ჩორნაზადაია იუდა, დარმავიე მანდარინი, ჩაი ს ლიმონომ, აპელსინი! დარმავოი ვინოგრადი! ტაკ-ტაკ-ტაკ! — ჩაგზუზუნებდნენ ყოველ ნაბიჯზე. — ნე ვოევალ, დარომ ზლებ ეევალ, უხატი პომოგალ! — გნესტრავდნენ ზღვაზეც, ხმელეთზეც...

მილეთის ფერხთამტვერში დაგდებული, კვნესით იწურებოდა ქართული მტევანი! ჩაქრა სანთელი, მოგვეცა ბნელი; თითქმის საუკუნით და არა — საუკუნოდ!

დროშები ჩქარა!

გამჭოლი კითხვების ფილტვების ანთებით პიონერებად გავწითლდით ინკუბატორის გალურჯებული ოქტომბრელები!

ახალგაზრდა კრაზანების უჯრედებში კომკავშირებად დაგვნესტრეს ბუდენაგნიანმა, მტკიცე კრაზანებმა!

მკათათვის ზვინებად აგვაბულეს გრძელხორთუმიანმა კომუნისტებმა, თვითეულ ზვინს — თითო კრაზანების ცენტრალური კომიტეტი დააშენეს კოლხნიური კალოობის თვალდახაპერად, სპეტაკი სულების კევრქვეშ სალეწად!

შიდა ქართლის თურაშაულში ჭაყოს ბარტყები დააბუდეს ავტონომიად: კბიჩე და ყლაპე, კბიჩე და ყლაპე! — იძახდა წითელი ბუზბული ქართლის ნასისხლარევში.

დროშები ჩქარა!

დრო დაასაფლავა მეორე მსოფლიო ომმაც; გახანგრძლივდა ჩამქრალი ნათელი, ნათლადბნელი საუკუნე გახანგრძლივდა. მიწამოყრილი ჩვენი ცხოვრება უაზრო ხვრელში მიძვრებოდა თხუნელას ალღოთი.

ბედნიერების წარმტაც რკინიგზასთან ახლოს დედინაცვლად მოგვკიოდა ჩავლილი მატარებელი; გამარჯვებული ტანკებითა და ლულადაბრმავებული, ბრეზენტით პირაკრული ქვემეხებით.

ვალამდე დაუსაფლავებელი, ომით თვალდათხრილი, ქმარ-შვილის მოუსვლელობიდან მომლოდინე დედაკაცი, თვალს მოჰკრავდა თუ არა ღია ვაგონზე მობარბაცე, ას გრამ ნაყლაპ ტანკს, საპონსა და ახანთს ეზიდებოდა შინ: — არიქათ, ომი იწყება, მომარაგდითო! — აფეთებდა თანაუბნელებს...

მარაგდებოდა ხალხი სასოწარკვეთილებით!

ჭერ კიდევ უწინდელ, პირველ ომში ნაწაფის, ოცდაოთხში შავნაბადაზე შეწირულის, ჩვენებური ოფიცრის უცხოეთიდან შემოყვანილ, უცხო ენაზე მოქვითინე, ჯორჯეტივით გამჭვირვალე ქვრივს, ახალწოდებრივი სიებით სატკბარუნებლად დღელამეულობდნენ ბრტყელზურგიანი, ჩვენხეობელი ინტერნაციონალისტი-ბოლშევიკები, ჭრაჭუნა ტყავქვეშ დაჭექებულ, მხურვალე ქვის გულებს ახლიდნენ პირველ და მეორე ომებს შორის გაკიდულს, ფრანგული ჩიტის ფაქიზ გალიას — თავადიანთ აპარტამენტების გაძარცვულ სიცარიელეში!

ფრანგულსა და მუსიკას გვასწავლიდა ფრანციელი ასული, ჟორჟეტა, თავში ცემით დაროკიანებულ ბიჭ-ბუჭებსა და გოგოგუგულებს. ურუოლვით, უცბად გადიოდა დრო, დამნაშავესავით გატვრენილი ლიახვის ბარტყების ლურჯ ძარღვებში.

მშვენიერების ღია, ფერადსურათებიან გაკვეთილს არავინ არ აცდენდა; სიცხიანიც კი.

ჩვენს თვალწინ შეუმჩნევლად ილახებოდა სიკვდილად ატეხილი, საუკუნის გრიგალსშემოყოლილი, საიდან-სად დანარცხებული, მშვენიერება მილოსელი ასულისა!...

დროშები ჩქარა!

გაბუებულ-გავერანებულ ქართლის ბაღებს, კვლავ ქაჯეთიდან მოზიდული ტყვიამფრქვევებით სხლავენ!

შეუსარავ ვენახებს ლიახვში ჩაუხრჩვიათ თმებივით ჩხები, ტანიც შიგ დასძირვიათ, დალამულ თვალებში ქვიშა უბრწყინავთ, ფხკერზე ჩივიან ქართლელი დედის მარანში გაუპატიურების საზარელ ამბავს: გაცვეთილი, ბალამწარას სარცხი პირში როგორ შეტენეს ნუნუაზე მოღიღინე მამას — მევენახე მახარას, მანეულით როგორ შეუკრეს ხელები ჭერაც შეუყელავ ქალიშვილებს, თვალწინ როგორ წაუბილწეს მეუღლე და მტევნებივით ქალიშვილები, კემეროვოს შახტებიდან ჩამორეკილმა, ბნელში ნაზარდმა, გვირაბში ნაწოვმა ლეკვებმა!..

ისევ ქართული დროშა გვამხნევებს: ძველს, ხოკერისფერ მთავრობის სარკოფაგზე სამფრად მოფრიალე, სამფეროვან ფრთებს ატლაშუნებს სამოცდაექვსი წლის განმავლობაში ფრანგებთან მოუბარი, ნამდვილ-ქართული, ქაქუცა ჩოლოყაშვილისეული დროშა! ლამის ცაში აგვამაღლოს უფალ-ღმერთთან, სიხბად აგვიყვანოს ლამის, გორგასალის საიხრედან, ნარეკრუტალ-ნაძალადევ ქვეყანაზე სანივლულად! „მხდალო — განვამხნევს, მხნევ — განვალვიძებს“... ზოგსაც, ქონების დაკრძალვის მალვიძარათი ღამის ქოთნებზე დამსხდართ, სულიერად ჩასვრილნი, ეკოლოგიური შიშით ათუხთუხებს და აკატასტროფებს ორპირგანწმენდის გარდაუვალ მოლოდინში...

დროშები ჩქარა!

ზურგში ბოლივით აგვდიოდა ხან ცივი, ხან ცხელი ომი. მშიერი შურდულებით დახოცილ ბელურებს საკუთარ ქონშივე ვხრაკავდით, უპურო ღამეებს ვლქჰავდით შაქრისფერი განთიადის მოლოდინში, სულსახდელებში შერეკილები წვეთწვეთად ვიზოგავდით ტბორში დაკარგულ ქართულს. მაშინ, „მესერშმიტის“ წყვეტილი „ვუ-ვუ-ვუთი“ გვაშინებდნენ, ახლა „ჩვენი“ ზებგერითი გვიმსხვრევს აკვნის თალებს სადესანტო-საბჭოური ღრუბლებიდან: ჭექავს, ქუხს მტკაველა კონდრის თავზე. ძლევამხოილებით გვაფრთხობენ ზევიდან და გულგახეთქილნი იბადებიან ჩვილები, ფეხადგმულები გამორბიან დედის საშოდანვე, გაქცევით უნდათ თავს უშველონ, რაკიღა მშობლებს ვერ დაგვიცავს მათი მეუდროება!

ფხრეწენ რუსული ზებგერითები ხვთისმშობლის კალთას, გვიყეფენ ქართული რესპუბლიკის ახალი ნაბიჯებით გაცოფებულები. ბელურებს გვახოცინებენ კვლავ, ახანთს გვართმევენ პრომეთესეულს, ჩვენს საკუთარს, უსუსურები რომ არ დავიწვათ, საპონზე გვაცურებენ ზღვის პატრონებს, გვაშინებენ ყველაფრით: ირანით, თურქეთით, ერაყით, გვირაბში უწყვეტად მობარტყე სტეპის მაწანწალა ყმუილით, ქართული ვენახის დედაწულს გვიუპატიურებენ წაქცეულ ქვევრებზე; ბუდეებიდან გვერეკებიან დედის დამწვარი გულისაკენ, რათა კიდევ ერთხელ აგვიცხადონ აპრილის ღამის სისხლიანი სიზმარი!

დროშები ჩქარა!

ავტონომიურ სახრჩობელებზე დაკიდული, სიბრძნე-სიქველით ერთ დროს განთქმული, ქრისტიანობის პირველმადიდებელთაგანი, დავითისეული ქვეყანა ორასწლოვან ყულფს იხსნის ნაჭდევარი ყელიდან!

დახავსებული, ქვის კვარცხლბეკიდან ჩამოყრილი, თუჯის ყრუ-უსულო „ბელადების“ ძეგლები წოდებრივი ქუჩებიდან აიყარნენ, აიკეცნენ, ჟანგიანი ჟღარუნითა და ხვნეშით მოედნებიდან გაიპარნენ და მათ ნაადგილარევზე, შიშის სიმძიმით გალურჯებულ სასაფლაოთა შესაყართან მწვანე კოინდარი წიწამურობას, კიდობნიდან აფრენილის მოლოდინში შესცქერის მტრედისფერ ქართულ ცისთვალს!

შეინძრა თავზერხიანი კრემლის წითელი სხეული: ფოლადის ბასრი კბილები ახალმესიური სეხიების თბილად დაბატული დეპუტატობის კანდიდატებით ჩაიკრიალოსნა და ხელახლა განალო ცრუმეტყველების განახლებული ალაყაფი!



# მერაბ გიორხიშვილი

# მდუღარე მდინარე

ბრძანებები გამოცოცდა ჯარების ნაწილებად და მუხლუხების ჭდეებით იწყო დამონებული ქვეყნების აღრიცხვა: გადაუარა სამაჩაბლოს ქართულ, სამამულე კვირტებს; თავისუფლების ქვიშით მოოქროვილ ბალტიელთა ტანაყრილ ვაჟებს, შეთვალებული მტევნებივით ძუძუმკვრივ მოლდოველ ასულებს.

დროშები ჩქარა!

მეწინავე ქართლის სადროშო შირაქივით გაება წეროს დიდი გუთნეული თებერვლით გათოშილ საქართველოს დედაქალაქის არეულ ცაზე; დიდგორისაკენ მიფრინავდნენ გაწვდილი შუბის ყაისნალური ქარგვით. ჯაჭვის პერანგს უქსოვენო წეროები თითქოს, ქართლის დაწიოკებულ კაბადონს; განრისხებული მოსკოვი რომ არ შემოიჭრასო ზებგერითული ბრძანებითობით.

ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, თავისუფლებას შეწირული, გმირთა სულებით შემთბარი დიდგორის თავზე მარყუჟი მოხაზეს წეროებმა და კვლავ ქალაქის შუაგულისაკენ აიღეს გეზი.

მიწიერი ცხოვრება უქანჩებო კოოპერატივებად ეწყობოდა სასაფლაოს ქუჩებზე, მოედნებზე, უბნებ-გარეუბნებში; ქვაჩაკირულ ადამიანთა სხივგაუმტარ, მწყვდეულ დღელამეულობაში...

ნაგვით, ბეტონის ჩხორებითა და ჩამდინარე ფერადოვნებით შელახული მტკვარი მოუსავალში ისწრაფვისო თითქოს, მდინარეების საერთო, სასაფლაო-საზეთქელაში: გადავარდება, დასცხებს ნათესებს, განუტევებს სულს და სამუდამოდ გაიქრობს ფიქრს ჩვენს წყალწაღებულ ყოფნა-არყოფნაზე.

დარჩება რიყე უფორმო ლოდებით, ქვებით, კენჭებით, ქვიშით გატენილი ნაღვლით; ქართველთა ცდომის ახლების ერთგვაროვნებით, იბერიონის მრავალსაუკუნოვანი გარჯის დასასრულის უსიტყვო დასტურად!...

დროშები ჩქარა!

მტკვრის სანაპირო-ჯებირების რიკულებად გამწკრივებული, ეთერრეიტუზიანი თოლიები, მოსკოვიდან, კრემლის გამოგზავნილი ცივი ულტიმატუმის უწყვეტ ბწკარედებად იკითხებ ო დ ნ ე ნ: „ვლადი-კავკაზ, ვლადი-კავკაზ, ვლადი-კავკაზ!“ — გრანდიოზული საპატიმრო — ღობის მაღალი ძაბვის გამტარ-გაყვანილობად გამწკრივებული თოლიები იმპერიულ, ხრიკიან ტექსტს გადმოსცემდნენ!..

თებერვლის ზამთრითა და ყინვით შემოჭრილი რუსული საუკუნე, ზამთრითა და ყინვით განაგრძობდა თარეშს ბალტიიდან ჩვენამდე!..

რუსის ნიჩბით, ორასი წლის წინ საბოლოოდ დამარხული, ჩრდილო-ოსური სამთავრო ზელახლა ითხრებოდა კრემლის ბრძანებით: — ეროვნულად ჩაიცვით, სამხრეთს დაესხით! ა, იარაღი, — სული და გული, აგერ, გვირაბი. ქართველებს დაესხით! — არიგებდა პრეზიდენტი უთვისტომო ჩონჩხებს, — მიზანი მოგეცით, მისია გაგიჩნდათ, დასცხეთ, დაჰკარით, სხვა — მეტი რა გინდათ?! ენას იქ ისწავლით, ენა თუ არ იცით; შენახულია ქალაქ ცხინვალში. ცხინვალს რომ აიკლებთ, იმერეთს დაეცით! ჩვენთან იყავით, ოღონდ „ძმურ კავშირში“ და კავკასიონს ფეხქვეშ გაგიშლით! იქვეა თურქეთი, იქვეა ირანი: — ირონი — ირანი ვისგაუყვია?! თურქეთშიც არიან თქვენიანები, ადრე რომ გაგიქციეთ: გადიათეს, მამხრათეს გვარებს; მიგიყვანთ იქამდეც!...

ვლადიკავკაზელმა ოხმა რუსეთის შეწევნით, დიდიხანია აღარ იცის მშობლიური ენა!

მაშ რა იცის? რისთვის აჭრის ძუძუს ქართლის დედას, როსტოვკემეროვოს გულაგურ-საპყრობილე გზებზე ნაყაჩაღარი?!

გულზე ხელი დაიდოს, ვისაც გული ეგულება და ბრძანოს: ჯერ თვითონ ამ სახეწამლილს, ადგილობრივ გამქეზებელს, რა ეროვნული ღვრიტა აქვს, ადამიანებზე მონადირე, უიოტო, უთვისტომო, წანწალში გავერანებული, კაციჭამია-ყაჩაღები რომ ჩამოყავს?!

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასასრული)

თოთხმეტ-თხუთმეტი წლის, სკოლის მოსწავლე ბიჭს, კაცის მოსაკლავი ტყვია რომ უდევს თოფში; ისვრის და კედელს ეფარება, რა შვილად უნდა გამოადგეს მშობელს?! ცხადია — წყალს არ მიაწოდებს მწყურვალს, წამალს არ მოურბენინებს ავადმყოფს და თუ მამის საყვედურს მოჰკრავს ყურს: — მანაი! — ეტყვის მოსაყვედურე მშობელს და თოფის ლულას მიუშვებს: — მეტისმეტად ნუ გამითამამდი, მერე-რა რომ მამა ხარ, შენისთანა მამები ცოტა როდი ეყარა ცხინვალის საავადმყოფოს მორგში, ქართველიც და ოსიცა!...

შიდა-ქართლის ამ პატარა, დიდი სამყაროსათვის უხილავ პოლიგონზე, სიძულვილის მსოფლიო ომია პრეზიდენტისა და რუსი გენერლების თვალთმაქცურ-უჩინმაჩინური დასწრებით! რუსეთის იმპერიის მასაზრდოებელი იარაღის — ხალხთაშორის სიძულვილის, სიცრუის უახლესი გამოცდა ხდება — მეგობრობაზე, სიყვარულზე, მშვიდობაზე! ჯაჭვურ სისტემაში ჩაბმულ მონებს ცბიერი რუსი თავის ნებაზე უგრძელებს და უმოკლებს ხადევარ ჯაჭვს, თავისუფლების ილუზიას უქმნის, თანაც აქეზებს მოკეთეზე: — შენი ჯაჭვის ნაწილი შენ მოიხმარე, თავისუფალი ნაწილით კი ეგ ურჩი ქართველი დამიბი, რომ პრომეთეობს და ამირანობს, მაგრად მოქაჩე, არ გაუშვაო!

დროშები ჩქარა!

„მკვდარი ადგა — აღარ დადგაო", — ქართული ანდაზა ბრძანებს.

ქართლმა შეინახა ოსი — ოსად, ქართლის ძუძუმ — ცხინვალმა გადაურჩინა ენაც, ის ეროვნული ენერგიაც, რასაც ჩვენს წინააღმდეგ ხარჯავს ოსი დღეს: გვებრძვის, გვწვავს, გვანადგურებს, იმედს გვიკარგავს, განა ჩვენი სისხლხორცეულის, ჩვენი კუთვნილი მიწის ჩვენობისას, გვიკარგავს იმედს იმისა, რომ ჩვენი ძუძუმტე, ჩვენი დედის უბეში გაზრდილი ჩვენი პურ-ღვინით დალოცვილი, ჩვენგან კაცად — სახლიკაცად წოდებული და მიღებული ოსი, ოდესმე თუ კიდევ მოეგება გონს, საერთაშორისო მეძავის — ნათლია მატრუშკას ნათრევ-ნატრიკვალი, ბინძურ ზაცვალს ოდესმე თუ ჩამოხსნის წინაპრის დროშის ტარიდან, გონს მოვა და გაიხსენებს „ვლადიკავკაზად" როგორ მონათლა მრუშმა-მატროშკამ, კოხტად შეკაზმული, ძაუგელი მხედარი-ბიჭი; შიშველი ხმლით როგორ გააბრიყვა თერგის ნაპირას, ძირს როგორ ჩამოიტყუა მოცეკვავე ცხენიდან, საკაზმ-სამკაულ-ქამარ-ხანჯალი როგორ გაუყიდა არყის ერთ ბოთლად, ვინაობის დავთარი — მშობლიური ენა, თერგში როგორ ჩაუხრჩო ცხენთან ერთად, როგორ მიაბა ნაპირზე გამორიყული, თავმომწონე ვაჟი ჟანდარმერიის ყაზარმის კართან, კავკასიის დაპყრობისას სისხლით მოთხვრილი ჩექმების — სალოკავ-საპრიალებლად, თავისუფლებისათვის აწყვეტილი ამირანის ხელახლა მისაბმელად, დემოკრატიულად დაგრძელებული რუსის ჯაჭვით: რამდენად მეტზე შემოაწერ და შემოაკვებ ჯაჭვს, იმდენად მეტი მამული გექნებაო, — ასე აქეზებდა და ასე აქეზებს მატრონა — პეტროვნა ოსს!

დადის ჩვენი პატარა ძმა, ყელზე ჯაჭვით და თავისუფალი ჰგონია თავი!

კავკასიონს ცეცხლში გახვევს რუსი ჟანდარმი, ძმებო, დაგვიჭერეთ! ძმათა დიდ ომს დააგზნებს, სულ მალე, ამ პატარა ცხინვალური ნაკვერჩხლიდან! ბოლოს, ადგება და ახალი „გეტოს" კვალის მოსასპობად „კრემატორიუმიდან" ნაცრად გამოგვიზიდავს: ზოგს ევროპის მებაღეებს მიყიდის მტკიცე ვალუტის ხელში ჩასაგდებად, ნაცრის დიდ ნაწილს კი შინ გაზიდავს სამხედრო პოლიგონებით გატყავებული, ატომურ რეაქტორთა აფეთქებებით გატიალებული ნიადაგის გასაცოცხლებლად, რუსული სტეპის გასაპოხიერებლად!...

დროშები ჩქარა!

განახლების ბილიკზე შემდგარი საქართველოს დღეთა ნაბიჯების ერთი ასეული ჩათავდა და მეორე ასეული დაიწყო. რამდენიმე დღე გადაცდა მეორე ასეულს!

ეკლესიები თამამად ირჯებიან ერის სახიერთოდ; დასამარებული ქვეყნის მიცვალებულ ქუჩებზე მიდი-მოდიან ლოცვად აწკრიალებული ქართული სულის ანბანით!

გარდაცვლილთა ნაწილი ეკლესიებს დაჰყვება, ნაწილი ხორცსა და ღვინოს მისდევს მისაგებებელ სასადილო-აკლდამებში, ნაწილიც — საფლავს ეკვრის, ქვიდან-ქვაზე მოხტუნავე ხიზნისეული მიზნის შიშით, ნაწილიც მანეთიან თოკს ყიდულობს, გაძვირებამდელ ფასად, ძველ ნაჭდევარზე შემოსაყულფად; ტანჯვადნათრევი სხეულის საბოლოოდ გასაქვავებლად, გასაყუჩებლად.

•

წიგნსაცემ გამომცემლობებში ისევ ძველებურად, ხელჯაჭვებით სცემენ უპატრონო წიგნებს ლიტერატურის ნილბოსანი, „სულიერი მამები". დარტყმასა და დარტყმას შუა ცერად შესცქერიან მთვარის ნამგალზე მოქანავე, სიყვითლეშეპარულ ავტორთა ჩამოუხსნელ ანაკინძებს; ენააცრილი, შეკოხტავებული კაჭკაჭების მორთმეული, ბოლოქანქარა — შესვენების ყავიანი დაყოლებით.

ქვისმთლელები — ქვის ქარხნებში, მტვრიან ცხოვრებას იფურთხებიან და შოკოლადის ფილებივით ძვირად იმტებენ სასაფლაოს ქვებს.

რიგი, რიგი, რიგი — ყველგან, ყველაფერზე: ქვაზეც, მჭადზეც, ხახვზეც, უილიჩოდ გამქრალ ნათურებზე, პურზე, წყალზე, პატიოსან სიტყვაზე, ჩამქრალ ასანთზე, გაცურებულ სიყვარულზე, დასხივებულ კონსერვებზე, „ოვირიდან" მომჩქეფარე თურქულ მელოდიებზე, ლექსით გადაფურთხებაზე, კრიტიკოსის ნაღვლის ბუშტზე, სიკვდილის აუცილებლობაზე, სიცოცხლის უსაფუძვლობაზე, ღალატის მოულოდნელობაზე, სამაჩაბლოდან ცურვით მომავალ უკუბოო მიცვალებულებზე, ვანის ოპერის ბაღში დაკარგულ ხმების შიმშილის ლუკლებიდან მოჭიკჭიკე დაბრუნებაზე, დასწრებაზე, დაცემაზე, ქურდობაზე: რიგი, რიგი, რიგი — ბნელზე, რიგი — სინათლეზე, რიგი — როგორც თოლიების რიკულები, სათვალთვალოდ, მოსკოვმდინარიდან — მტკვარ-მტკვარ, ლიახვ-ლიახვ, არაქს-არაქს, რიგა-რიგა, ვილნა-ვილნა, ესტო-ესტო! — ფიტულებივით გამწკრივებული თოლიებივით!

დროშები ჩქარა!

ჯანმრთელობისა და კულტურის მინისტრების გარდა ვერავინ მიცნობს სამაროვანთა შუა გაყვანილ სიცოცხლის ახალ გზებზე. ჯანდაბას! კულტურაში დავწვები ჯანმრთელობის მომიზეზებით, პიესების ნიჭიერი ყავარჯნებით, ჯერ — რიგით, მერე — წოლით, მერე — რიგინ-რიგინით; გათლილ-წარწერიან, საწოლქვათაშუა.

ცნობაა საჭირო, ნაცნობობის გარეშე; ცნობა ნამდვილი, ეროვნული სიკვდილის მოსაპოვებლად!..

დროშები ჩქარა!

ცხინვალში. ზღუდრიგვერდის ქართულ სასაფლაოზე გარდაცვლილი დედის სამარხი მიწის გაჭრა ვთხოვე ნორმალურ, ოს მესაფლავეს; ჩვეულებრივს, არაექსტრემისტს, კარზე მივადექი და იქიდან, სიტყვიერად დავუხატე დედის საძვლე ალაგი, მამის გვერდით. — რომელი? ვაზს რომ კრეფავს იმ კაცის გვერდითო? — შემეკითხა, თითქოს ჯვრისწერას უპირებსო. — ჰო, მეთქი, — გამეხარდა, ასე ადვილად რომ მიმიხვდა.

დაჯონჯლილ, მსხმოიარე ვაზთან ჩამუხლული კეხიანი მამა, ხელში სასხლავი მაკრატლით კრეფს და კალათს ავსებს; უნაწილებს სასაფლაოს ბინადართ. ახლა განსაკუთრებით ჭირს ლუკმაც, კიმპალიც, ქვაცა და კაკალიც; სამაჩაბლოში განსაკუთრებით! შენდობის მთქმელები შორს არიან, ყურძნად კრეფს და უნაწილებს ძველი აგრონომი, ადგილის მამა.

ხანდახან მინდა გავექანო და იმ კეთილშობილ რიგში ჩავდგე, ან, ჩავწვე, წოლით მივცოცდე, რაკი სროლითი-სიკვდილის პუნქტია გახსნილი, უმისოდაც სიკვდილმისჯილ, შიშთა და გარეთაგან დიდი ხნის დავიწყებულსა და გაყიდულ, იბერიის ამ საავენე-სასაფლაოზე!..

მივდივარ — მიწოლით, მიწის მხარული გაჭრით; — მიწა-მიწა მძრომელია, გამოიცან რომელია, — ვბუტბუტებ ბავშვობიდან შემოყოლილს. ამას რა უშავს, ნამდვილი სისულელეებითა მაქვს თავი გამოტენილი — ოქტომბრული სისულელე, პიონერული ჭყვიტინ-ჭყვიტინი, კომკავშირული ჩამოტოვება მოყვასისა, „საპოლის" — საპოხის წახმარებით, მონურ-პარტიული წახრა-წაკუზვა გვირაბის თავში სხვაზე უწინ შეძრომისათვის, ჩექმისძირული მოწოლით უკნიდან, რეკომენდატორებისაგან, კარებთან რომ დგანან ჯოჯოხეთის მაშხალებად... — მიწა-მიწა მძრომელია, რომელია — მძრომელია, მელიაა! — მიხაროდა ვენახში, პაპიდან მოწოდებული ანდაზების ამოკითხვა.

ჩვენი უკანასკნელი ვენახი: მწვანე, ჩინური, თავკვერი, შავკაპიტო, ბუდეშური, ხარისთვალა... 1956 წლამდე შემოვინარჩუნეთ შუაგულ ცხინვალში; ოცდაათ მეახედს არაფერი უკლდა...

სასაფლაოსკენ მივიწევ მიწა-მიწა მიწოლით, ჩვენი ხიზანი „ძმების" და ქართული მილიციის ტყვიის ძმურ კავშირქვეშ, მსხმოიარე ვენახის მერთვლე მამას ვუახლოვდები, დახუნძლულ ვაზთან, ყურძნით გადავსებული კალათის წინ ჩამუხლულ მევენახეს... ამ ფოტოს მნახველი აგიხირდება: საფოტოგრაფოდ, საგანგებოდ აუვსიათო კალათა! — არა, ძმაო, ერთ ძირზე ერთი კალათი იჭრიფებოდა. მწვანე ოაზისივით იდგა გადამთიელთა შეტევით ალებულ ცხინვალქალაქში უკანასკნელი. ნამდვილი ქართული ვენახი. ოცდაათ ცენტნერს — სამ ტონას ისხამდა ომის წინ, ომის შემდეგაც იცით, რა იყო?- ძველ, ვეებერთელა ნაკალოვარზე გაეშენებინა მამას, დაკარგული ვენახების საბადლოდ. მწვანე ფილტვივით ფოფინებდა ზეკარადან მონაბერ ნიავზე — ეს საკვირველი ოაზისი, 1956 წლამდე. მერე დაიჭირა კომუნალური საჭიროებისათვის, ხუთ ნაწილად დაიკვეთა, როგორც ყაჩაღებისაგან მოკლულ-აკუწული, კვალის დასაფარავად: თავი სამხედრო ჯარის ნაწილს არგუნეს, საზარბაზნე ეზოს გასაფართოებლად, მარჯვენა, თავის ბეჭიანად — პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მიიერთა, საცდელი-საბაღე საქმიანობისათვის, ანუ, ვენახიდან როგორ უნდა მიიღო ტყემლნარი...

დანარჩენი ორი კიდური — ორ მობინადრეს ებოძა და მხოლოდ ერთი ფეხის ჩადგმაც — ჩვენ; ბევრი ღრეჯვისა და სირბილ-სირბილების შემდეგ, საოლქო-მთავრობის ხორხოცულ-ჩაცინებითი დასტურით...

ნეკნებში აფეთქებული ნაღმის ღია ჭრილობიდან მოწყვეტილი ფილტვივით გდია ვენახის ნაფლეთი. პაპისეული ლომა-კამეჩის ნაფხურში წვნიანდება სისხლიან შეჭამანდად, პატრონის გაჭირებულ მოლოდინში სისხლივით იწურება დრო ლომას ნატერფალ, ჩაბუებუებულ მიწაში.

რის ვაივაგლახით მივჩოჩავ მამის საფლავისკენ. მარტოკინა რას გავხდებოდი, ოთხიოდე თვის წინ, ამ ამბებზე გულისხეთქვით გარდაცვლილი ძმა რომ არ მიმიკვლევდეს მიწისქვეშა ბილიკებს! მობრუნდება, ხმადაბლა მიხმობს: — ჰა, სადა ხარ ბიჭო?! — აქა ვარ! მოვდივარ, ძმაო! — ჩურჩულითვე ვპასუხობ ტყვიებისაგან განთებულ სასიკვდილეთში.

მოუღლელი, მაღალი მუხლი ქონდა — ადრეც, ვიდრე გამიძღვებოდა. ვიცოდი- ცქერაში გავერთობოდი, თვალის აქეთ-იქით ცეცებაში. სანახავი ისეთი რა იყო, მაგრამ, ახლადამოცოცებულს მაინც მაკვირვებდა: იქით ძროხის ზმუილი, აქეთ — თხის კიკინი, მემტრედე მეზობლის ხუნდები ფრენას როგორ სწავლობდნენ, ტოტიდან — ტოტზე ფრთის მიშველებით გადახტომ-გადაფრენით. ვიღაცა უშტვენდა, ვიღაცა ურემს მოაჭრიალებდა, სანახავი მაინც ბევრი იყო ჩვენს დაბრმავებულ ქვეყანაში.

— მოვდივარ, — პასუხად შევეხმაურებოდი და ნაბიჯს ავუჩქარებდი.

— სად მოდიხარ, აბა?! მოჩოჩავ, შე მაიმუნო, კი არ მოდიხარ! — შემომიძახებდა და ნაბიჯს უკლებდა ,რომ დავწეოდი. ისევ გამასწრებდა, ისევ შემომიძახებდა შეფერხებული, ჯიშიან-ფეოდალური თავის მხარზევით შემობრუნებით...

ავჩაქჩაქდებოდი, დავეწეოდისავით და ისევ შემიძახებდა... გამწევი და ოჩანი ხარივით მობრეცილად მიიწევდა გუთანი... ახლაც, თითქოს ლიახვსა ჭრისო, ისე ითლად მიარღვევს საფლავის მიწას მამაჩვენის ქვიან რთველში...

— ერთი ყურძენი, მამი, შე — საფლავების ლომო- ერთი მტევანი მომიწყვიტე ცოცხლად: ჩვენი თავკვერის, ბუდეშურის, კრახუნები რომ ესვია ხოლმე, ადრეული სიტკბოსაგან. თუნდ — ხარისთვალა იყოს, მომიწყვიტე და ერთი მტევანი გამახრესინე ამ, ჩემს ცოცხლადმიცვალებულ ტუჩზე, პირზე, სახეზე; გამოვფხიზლდე და მაინც ხელში მეკავოს მტევანი! ცოცხლად მომიწყვიტე, თორემ, სიზმრად მწარე და ცრემლიანია, საქართველოს თავისუფლებასავით. ცოცხლად, მამი, ცოცხლად, მიბოძე, ლიახვის ჩქერზე ცოცხლადმფრინავი შენი სულისავ! ცოცხლად, აგრეთვე ადრე და მალე დაქოშმიშდებოდეს დამბაჩოვის, გახსნილი ეროვნებათა ხაბშოს ბაღი, ზედ შებმული ნიშანოვის მტევნიანად — იმ სიმართლისათვის, რა სიმართლითაც ეგენი ჩვენს ამოჩეხვას და სალუდე-ქერის დათესვას ლამობენ!.. ერთი მტევანი, ბებერო მევენახევ!..

რამდენი უძველესი ქვეყანა დაიშალა და გადაჯიშდა ამ ერთი, არაფრის მაქნისი. დიდი ინკუბატორის ასაგებად: სულ ჭრელ-ჭრული რომ იჩეკება და მაინც წითლად ღებავენ გამოსაძრომში! რამდენი სიბრძნე გაქრა იმ ტოკიოდან — ამ ტოკიომდე მხოლოდ იმისთვის, ერთი რომ ჰკიოდეს ყველას მაგივრად!..

მიწანაჭამი და პირშერცხვენილი ვბრუნდებოდი...

— ჯერჯერობით არა ღირს, რისკი დიდია! — მითხრა ქვიშის ტომრების ბარიკადებში გამოჭიტებულმა ქართველმა მილიციელმა და ტომრებშორის სარკმელში გამომართვა საბუთი, პირადობის მოწმობა. საიქიოდან ძმის მოწმობა გამომყოლოდა, ჩემსაში შემშლოდა; ვგავართ ერთმანეთს, იქაც სიკვდილია და აქაც. ბოლოხანებში განსაკუთრებით დავემგვანეთ...

დიდგორიდან გამობრუნებული წეროები, შუა ქალაქის შეფლეტშეცივნულ ცაზე იმეორებდნენ წაწვეტილ მარყუჟს. ეკოლოგიური ნადღვების სითბო ასდიოდა დედაქალაქის შუაგულს და ფრთოსნებს მაცდურად იზიდავდა თავისკენ.

ქარხნების ნაჭვარტლიდან თავდაღწეულ მზის წამიერ სხივზე, ვერცხლის ძეწკვად გაბრწყინდებოდა ხოლმე ცაზე გაბმული გუთნეული დრო და დრო; ჯვარივით შებმოდა მეწინავე წერო ბრწყინვალე ქარავანს.

უკვდავი ერის მამის, დავით აღმაშენებლის ზეობის დიდი დღე ახლოვდებოდა და ჯვრიან-ვერცხლიანი ქარავანი დაბლა აღარ ეშვებოდა ერთ სიმაღლეზე კამარობდა, თითქოს ჟამს ელოდებოდა, ზეიმად და ხატად ცაზე გადმომდგარ ღმერთკაცს რომ აჰკვროდა შეულახავ, უწმინდეს მკერდზე!

ამ სიმაღლიდან ერთბაშად ენარცხები ქალაქზე გადაქსელილ, დენგამოცლილ სარეცხის თოკებს და როგორც ნამდვილი ომის ზურგში მბჟუტავი ლამპის ეკრანიდან ისმენ — კრემლის მოტივებზე წამოღზევებული ჰუსეინის ხალიფაფურს- — გინდა თუ არა, თქვენი ბუდიდანა ვარო, კეკეს გარეცხილი რომელიღაცა სქელის ტოტიდანა ვარო დასხლეტილი და კრემლმოვლილი. — თეთრი არაბულიდან გვიცმაცუნებს ბედუინურ, შავ ულვაშებს...

ორასწლიანი სახრჩობელიდან ახალთავდახსნილს ისევ გესვრიან ქამანდს, სათათბიროდ გაჰყავხარ ჯალათს: — მონური სიცოცხლე გირჩევნია, თუ თავისუფლებაში სიკვდილიო? — სისულელეს გეკითხება თვალთმაქცი, მასპინძლის მოლოდინში, შენი დასწრებით, ჯაყოს შთამომავალთ აფათურებინებს ბანჯგლიან თათებს შენს სასთუმალზე და ვითომც არაფერიო, აქეთ, თბილისში გაზრდილ პრიმაკოვს, თავის პირველმრჩეველ-დიპლომატს, ჰუსეინთან საკამათოდ აგზავნის ქუვეითის — ცხინვალივით გადასარჩენად!

დროშები ჩქარა!

სიტყვაზე ნადირობის ეშხში შესული, პანთეონის ორღობეში გაჩხერილი, უმამულო, უთოფო და უსტამბო მწერალი, გამოქვაბულის დათვის ალტერნატიულ მოწოლებს შუა, საგონებელში ვარდები და ფიქრობ: რა განსხვავებაა ამერიკულ „პეტრიოტსა" და საბჭოთა პატრიოტს შორის? „პეტერა", „იოტი", მაგრამ ბაჯაღლოსავით ნაღდი ამერიკული რაკეტმზერი — „პეტრიოტი", როგორც შევარდენი იხვს — ჰაერშივე ფცქვნის, ცრუპატრიოტიზმით გაბერილ რაკეტა — „სკადებს", ხოხბავს ერაყის უდაბნოს სამარტაფებზე და მადიანად შეექცევა, შეარგოს ღმერთმა!

ძირფესვგაძარცვული, ქვის ხანის კაცუნები, ქვის ყულაბა-მამლებში ვაგროვებთ წართმეული სულის სანაცვლოს, ჩვენი ამაო ცხოვრების გვირგვინის — ქელეხისა და საფლავისქვის თანხას!

დროგამოშვებით, წითელმოედნის სახალაზე ჯირკვზე მჯდარი ორთავიანი არწივი გადმოგვიქროლებს, „ორმოცდაათიან" ლაჯაჯებს ჩამოაკორტნის, „ახიან" ბიბილოს აატყავებს ჩვენს, სამარხ ყულაბა-მამლებს, ფულსაყრელ ჭრილს ხკორეთი გაგვიხიზავს გადედლებულ მეანაბრეებს, აიწევა და ისევ იმ წითელ ჯირკვზე გადაფრინდება, საიდანაც მოფრინდა!

ვართ ლაჯაჯებგაცლილი, ბიბილოატყავებულები, ყაჩაღური კვალის დასაფარავად გადმოპნეულ თოვლქვეშ, ცარხმომლეცარი, მშიერი გაზაფხულის ყივილით გამტკნარებული და სახოწარკვეთილნი!

დროშები, ჩქარა!

ჩვეულ ამბად იქცა, მნიშვნელობა დაკარგა სიკვდილმა ჩვენს ქვის ქვეყანაში! ქვისმჭრელი ქარხნები ჩაიდგა საფლავების პროსპექტებზე, მოედნებსა და ქუჩებზე, ვენახების რიგთაშუა, ბაღების თავსა და ბოლოებში, ოლეებზე — საჩრდილობელი ხის ნაცვლად;

გაუდის დგარა-დგური ქვის საპრიალებელ დაზგებს; ზედიზედ ქერქავენ გამვლელ-გამომვლელს ნეკროლოგების შალაშინები, სამძიმარზე მისული გაქერქილი და წარწერიანი ბრუნდება შინ. ვიღას უნდა მოაზროვნე ადამიანი. საკუთარი ტვინის ქერქით, აზრით, ქანდით, თბილი შემობრუნდით?!. პირდაპირ გამოყვანილი, გათლილი ქვა და მაგისი ჯანი! — რატომ იწვალონ ჭირისუფლებმა ამაო ნაყვით ზომა ერთია ცოცხლისა და მკვდრის!

დროშები ჩქარა!

ამრიგად გათლილი ადამიანების პირდაპირ საფლავებზე დაწყობაც მალე იქნება შეუძლებელი, საფლავის ქვა გარეშე; მიწა რომ არ წაზიდეს ზედმეტი თხრითა და ჩიჩქნით, სამაროვნის კედლების ამოყვანითა და სხვადასხვა არქიტექტურული მიკვლევებით...

შემდეგ და შემდეგ, ქვადქცეულთა ერთმანეთზე დაწყობაც იქნება შესაძლებელი, ოჯახურ, გვარ-ტომობრივი ბინებივით. გაძვალქვავებულ-გადახურულ კედლებშუა, როგორც თავისებურ საოჯახო სახლ-პირამიდებში, თაობები იცხოვრებენ; ქვის — ქვაზე დაკვესებით, აბედითა და ცოტაოდენი ხის ხახუნით გამრავლებულები.

ამ ტიპის მთელი რიგი სანახაობითი და სხვა სამსახურებრივი ქვის დაწესებულებები დიდი ხანია ჩვენში არსებობს: კინო-თეატრები, თეატრები, სასწავლებლები, სასადილო-მისაგებებლები, ქვის სალაროები, მაღაზიები, ქვის ხანის საავადმყოფოები, მიმოსვლის ქვის საშუალებები!

(გაგრძელება იქნება)

**როსტომ ჩხეიძე**

# ვიდრე დამდგარა ჟამი

— ბატონო როსტომ, ერთგან ამბობთ, მწერლობა პროფესია კი არ არის, ბედისწერააო... თქვენ ხართ კრიტიკოსი, არაერთი რამ გითარგმნიათ. ამას პროფესიად მიიჩნევთ თუ ბედისწერად?

**— როცა ვამბობ (ანუ ცნობილ თვალსაზრისს ვიზიარებ) მწერლობა ბედისწერაა-მეთქი, ვგულისხმობ დიდ სახელებს, ახალი ეპოქითა და მთარგმნელებით რომ შემოვიფარგლოთ, ვთქვათ, ივანე მაჩაბელს, თავისი ტრაგიკული და იდუმალი ბედით... სხვებსაც: გრიგოლ ყიფშიძეს, ნიკო ავალიშვილს, ივანე მაჭავარიანს, თედო სახოკიას, გერონტი ქიქოძეს, ერეკლე ტატიშვილს... ასეთი პიროვნებებისთვისაა ბედისწერა და არა ყველასთვის, ვინც ლიტერატურულ გარემოს ქმნის, თავისთავად მეტად აუცილებელს. ამდენად, უხერხულია თქმა იმისა, რომ ჩემი საქმიანობა რითიმე ბედისწერას უკავშირდებოდეს. ჩემთვის, ცხადია, პროფესიაა, მაგრამ აქაც მინდა დავაზუსტო — მთარგმნელობა არ არის ჩემი პროფესია. ეს გახლდათ გარკვეული მოსამზადებელი ეტაპი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, საერთოდ, მიმაჩნია, რომ მწერალმა, მკვლევარმა ეს სკოლა უნდა გაიაროს, მთარგმნელობითი სკოლა. ეს აუცილებელია მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის, სტილური დახვეწისათვის, კომპოზიციის უნარის გამომუშავებისათვის. ბოლოსდაბოლოს, წაკითხვა ერთია, მაგრამ როცა თარგმნი, უფრო ღრმად წვდები იმ თხზულებას. რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, ვთქვათ, ტომას ელიოტი, როცა თარგმნი, უფრო ცხადად გრძნობ მისი აზროვნების სიდიადესა და სილამაზეს, ერთი შეხედვით დაფარულ ღრმა ნიუანსებს... ჩემთვისაც ამიტომ იყო აუცილებელი ამ სკოლის გავლა... ეს არ ნიშნავს, რომ თარგმანს საერთოდ მოვწყდები, მაგრამ ისე ინტენსიურად, როგორც აქამდე იყო, ველარ გაგრძელდება: თანდათან სულ უფრო მეტი ლიტერატურული საქმე ჩნდება, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, ისედაც ძლივს ავუდივარ და თარგმნისთვის ველარ ვიცლი...**

**რაც შეეხება კრიტიკას, არ ვთვლი თავს წმინდაწყლის კრიტიკოსად. მართალია, არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი გამომიქვეყნებია და კვლავაც გამოვაქვეყნებ, მაგრამ ჩემი ბუნებით უფრო ლიტერატურისმცოდნე, მკვლევარი ვარ... და თვით ლიტერატურულ კრიტიკაშიც მკვლევარი უფრო ვარ. უბრალოდ აქ ჩარევა მაიძულა გარემო პირობებმა, თანამედროვე ლიტერატურული პროცესის სრულიად განუკითხავმა, ტენდენციურმა შეფასებამ. და რაკი ჩავერიე, დავინტერესდი კრიტიკის არა ერთი რომელიმე, არამედ ყველანაირი ჟანრით, ყოველგვარი ფორმით. კრიტიკას, მოგეხსენებათ, მრავალნაირი ფორმა აქვს, მრავალნაირი ჟანრი, რაც ჩვენში მაინცდამაინც არ არის გამოკვეთილი. ამიტომ არ ჩანს მკაფიოდ რომ დიალოგი (საუბარი რეალურ პიროვნებასთან თუ მეორე მე-სთან) კრიტიკის ჟანრია, პორტრეტიც, ესეიც, დღიურები და ჩანაწერებიც კი დამოუკიდებელი ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრია. ამის ნიმუში აურაცხელია ევროპულ მწერლობაში, ჩვენთანაც მოიპოვება (განსაკუთრებით ესეისტიკაში), ოღონდ მეტად მცირე, ან რა გასაკვირია: კრიტიკა კარგა ხანს (30-50-იანი წლები) საერთოდ არ არსებობდა, რადგან ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა — ჯალათის მოვალეობას ასრულებდა, მწერალი უნდა ჩაეგდო ხელისუფლების მარწუხებში... ხელისუფლებას არ ანაღვლებდა კრიტიკული ჟანრების განვითარება, იმ ერთადერთი სახითაც ჩინებულად ემსახურებოდა.**

**ამ პრობლემების ირგვლივ მსჯელობა ახლაღა იწყება, ფორმათა თავისებურებანი, ჟანრობრივი განმასხვავებლები უფრო და უფრო იკვეთება და, ამ თვალით რომ შევხედავთ, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის... ღვაწლი ამ მხრივაც უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება... რამდენადაც კრიტიკა მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენაა, მხოლოდ აზროვნების ამარა ვერ დარჩება და თავისთავად გულისხმობს და მოითხოვს სტილურ ექსპრესიას, ღრმა სტილურ ძიებებს. ფორმების ნაირგვარობას სწორედ სტილური ძიებანი განსაზღვრავს.**

— თქვენს ლიტერატურულ წერილებში იგრძნობა ყოველგვარი კრიტიკული ჟანრის მოსინჯვის წადილი... და მაინც, თავს კრიტიკოსად არ თვლით...

**— მოგახსენეთ: მკვლევარი უფრო ვარ. ესაა ჩემი პროფესია... და არა ბედისწერა.**

— ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს თანამედროვე მწერლობას, ყველასთვის ნათელია, რომ ლიტერატურული კრიტიკა ბოლო ხანს პუბლიცისტიკამ შეცვალა. თქვენი აზრით, რამ უნდა შექმნას ნამდვილი კრიტიკული აზროვნება?

**— როცა ქვეყანაში იქნება თავისუფლება, ნამდვილი და არა მოჩვენებითი დამოუკიდებლობა და გაჩნდება საშუალება ლიტერატურული გარემოს, ლიტერატურული ცხოვრების შექმნისა, მხოლოდ მაშინ განვითარდება კრიტიკული აზროვნებაც... ისიც უთუოდ უნდა ითქვას: ჩვენმა ისტორიულმა ყოფამ განსაზღვრა ლიტერატურის გეზი და სულისკვეთება — ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ბედისწერის, გადარჩენის წინაშე იდგა და სწორედ ამიტომ წმინდა ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები ბევრი არ მოგვეპოვება. უამრავი წერილია დაწერილი XIX საუკუნეში, თუნდაც ილია ჭავჭავაძისა ტომებს შეადგენს, ასევე აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასი, ნიკო ნიკოლაძისა და იქიდან წმინდა სახით რომ გამოვარჩიოთ ლიტერატურული კრიტიკა, ძალიან ცოტა მოგროვდება. ერთმა შემთხვევამ კიდევ უფრო დამარწმუნა: ჩაფიქრებულია ქართული კრიტიკული აზროვნების მრავალტომეულის გამოცემა და პირველი ტომის მომზადება მე დამევალა. თავდაპირველი ჩანაფიქრით გადავწყვიტეთ, რომ პირველ ტომში ყოფილიყო ილია ჭავჭავაძემდელი კრიტიკა, ხოლო მეორე ტომში ილია და აკაკი ერთად. მასალების მოძიება რომ დავიწყე, მოულოდნელად აღმოჩნდა, ილიამდე ლიტერატურული წერილები იმაზე გაცილებით ნაკლები ყოფილა, ვიდრე ვვარაუდობდი და მომცრო აღნაგობის წიგნიც ვერ შეადგინა... და ასევე გრძელდება ბოლო დრომდე. დღეს არ არის საიმისო პირობები (ვინ იცის, რამდენ ხანს არ იქნება), რომ ლიტერატურული კრიტიკა მოიცავდეს ჩვენი თეორიული აზროვნების დიდ ნაწილს, მაგრამ ბუნებრივია, არც ის შეიძლება, რომ პუბლიცისტიკამ მთლად წალეკოს კრიტიკა... კრიტიკა მკაფიო ნაკადის სახით ყოველგვარ პირობებში უნდა არსებობდეს.**

— ჩვენმა თაობამ — და არა მარტო ჩვენმა, წინა თაობებმაც — გვერდი აუარეს არაერთ მწერალსა და მოაზროვნეს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ჩვენი საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ვისაუბროთ და სრული წარმოდგენა შეგვექმნას. ეს რითია გამოწვეული — თაობების არასწორი იდეოლოგიური აღზრდით თუ ლიტერატურისადმი გულგრილობით?

**— გულგრილობას ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ გულგრილობა ბოლო დროს უფრო გაჩნდა ლიტერატურისადმი. გააქტიურებამ პოლიტიკის სფეროში — აი, ამან გაანელა ლიტერატურისადმი ხალხის ცნობისწადილი. მკითხველი ასეთი გულგრილი, როგორც დღეს არის, ადრე არ ყოფილა: მაშინ ხომ ლიტერატურა ყველაფერს მოიცავდა და პოლიტიკასაც ითავსებდა... ხოლო ის დიდი მწერლები, ვინც სრულიად განდევნეს ეროვნული ცნობიერებიდან, ცხადია, მიზანდასახული იდეოლოგიური ზემოქმედების ბრალია. უმძიმესი დანაკლისია თაობებისათვის, ვთქვათ, არჩილ ჯორჯაძის, იშვიათი მოაზროვნისა და ესთეტის, სახელისა და ნაღვაწის აკრძალვა... აღარაფერს ვამბობ გრიგოლ რობაქიძეზე, მასზე ასე თუ ისე ხშირად იწერება, ერთი ჩემი მეგობრის ხუმრობისა არ იყოს, საქართველო ორ ნაწილადაა გაყოფილი: ნაწილი — ვინც უკვე დაწერა წერილი გრიგოლ რობაქიძეზე და ნაწილი — ვინც ამჟამად წერს... ამის მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძის მთელს შემოქმედებაზე ჯერ მაინც ნაკლული წარმოდგენა გვაქვს...**

**აკრძალვა აკრძალვად, მაგრამ ისიც არანაკლები უბედურებაა ერისთვის, როცა დიდ მწერლებს გაყალბებულად ასწავლიან და აწვდიან, განიხილავენ ყოვლად წარმოუდგენელი კუთხიდან, წამოსწევენ სულ სხვა მოტივებს... როცა ნიკოლოზ ბარათაშვილს გაყალბებულად ახსნი, იმპერიასთან შეზრდილი ჭაბუკი შეიძლება რუსეთ-საქართველოს შეერთების მომხრედაც კი გამოიყვანო... თუმცა რაკილა წიგნები არსებობს, მაინც ხერხდება — მართალია, მცირე წრეში — სწორად წაკითხვა და ახსნა.**

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ჩვენში თითქმის არ არსებობს ლიტერატურული ცხოვრება, ამას ხშირად ტოტალური ყოფის პერიოდსაც აბრალებენ, მაგრამ ხომ არსებობდნენ „ცისფერყანწელები“, ვინც თვითონ შექმნეს ლიტერატურული ცხოვრება, თვითონ გამოიგონეს და ამაღლდნენ ჭეშმარიტ ხელოვნებამდე. განა დღესაც არ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?

**— დღეს შეიძლება და კიდეც უნდა ველოდეთ ისეთ რამეს, რასაც ერთგვარ მანერულობასთან ერთად თავისი უდავო მნიშვნელობაც ექნება. აქამდე უბრალოდ ვერ მოხერხდებოდა, უფრო ზუსტად, იმხელა გამოხმაურება ვერ მოჰყვებოდა. დღეს ისეთივე პირობებია, როგორიც 10-იან წლებში იყო — მწერალს აქვს მოღვაწეობის საშუალება, რაც აქამდე ბევრად უფრო შეზღუდული გახლდათ. თუნდაც „ცისფერყანწელთა“ მაგალითზეც მკაფიოდ ჩანს — ის, რაც მათ შეძლეს 10-იან წლებსა და 20-იანის დასაწყისში, მერე ველარ განაგრძეს, სასტიკ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაში აღარც ლიტერატურული ცხოვრების გამოგონების თავი ჰქონდათ და აღარც ჭეშმარიტ ხელოვნებამდე ამაღლებას ესწრაფვოდნენ. „ჩვენ ახლა სხვა დრო წარმოგვეწიაო“, ტიციანის ამ სიტყვებშია მოქცეული მათი და ყოველი ნამდვილი მწერლის სულიერი ტრაგედია. ამიტომ ველარც ბუნებრივი გზით წარიმართა მათი მოღვაწეობა და ველარც ადრინდელი ავტორიტეტი შეინარჩუნეს.**

— თამაზ ბიბილური თქვენთან დიალოგში საგანგებოდ მსჯელობს ჩვენი პროზის ერთგვარ „პროვინციულობაზე“, იმაზე, რომ ევროპული მწერლობის საერთო ფონზე ქართული ბელეტრისტიკა პროვინციულად გამოიყურება... ამას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ უთუოდ დამაფიქრებელია, რომ ლათინური ამერიკის მწერლები ადვილად გასცდნენ პროვინციულობის საზღვრებს და ბუნებრივად ჩაერთვნენ ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებაში...

**— ლათინური ამერიკის მწერლები ბუნებრივად იმიტომ მოერგნენ ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებას ასერიგად, იმიტომ გასმაურდა მათი სახელები, რომ დიდხანს ცხოვრობდნენ ევროპაში, უმთავრესად პარიზში: ერთი მხრივ გაითავისეს ევროპული მხატვრული აზროვნება, მეორე მხრივ, უშუალო ურთიერთობა გააბეს იქაურ გამომცემლებთან და კრიტიკოსებთან. ნათელია: მწერალი პარიზში თუ არ აღიარეს, მისი სახელი ძალიან ვერ გასმაურდება. პარიზია ლიტერატურული ცხოვრების შუაგული, გემოვნების კანონმდებელი და უმისოდ ყოვლად წარმოუდგენელია ფართო პოპულარობაც და ჭეშმარიტი დაფასებაც. როცა ქართველ მწერალს შეეძლება ისევე ეზიაროს პარიზულ ყოფას, როგორც სხვა ქვეყნის მწერლები (თვით ამერიკის შეერთებული შტატებისა), აი, მაშინ მოჰყვება ჩვენს ლიტერატურას, კლასიკურსა და თანამედროვესაც, პოპულარობაც და ნამდვილი აღიარება და დაფასებაც. და აღარც პროვინციული გამოჩნდება ევროპული მხატვრული აზროვნების ფონზე. ეს რეალობაა და არა ოცნება... ხოლო სხვაგვარად, რამდენი წიგნიც უნდა ითარგმნოს უცხოურად, მათ მწერლობაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს და უნუგეშოდ ჩაიკარგება ლიტერატურულ ნაკადებში.**

— თქვენ გაქვთ ესეები თუ წერილები ადამ ბობლიაშვილზე, გიორგი მაზნიაშვილზე, ლადო ბალიაურზე, გიორგი ძიგვაშვილზე... ეს ჩვენი თაობისათვის სრულიად უცნობი სახელებია, ათწლეულების მანძილზე აკრძალული და მათ შესახებ მასალის მოპოვება ალბათ ადვილი არ იყო. საიდან შეიტყვეთ მათი არსებობა და მასალები როგორ მოიძიეთ?

**— ეს სახელები (მათთან ერთად უნდა ვახსენო კოტე ხიმშიაშვილიც, ვისზეც სულ ახლახან ორი წერილი დავასრულე — ერთი პორტრეტი და მეორე — მისი რომანისა და ნოველების შეფასება; აგრეთვე, გიორგი ქადაგიძე, ვისზეც ჩაფიქრებული მაქვს წერილი) ჩემთვის ბავშვობიდანვე და სიჭაბუკიდანვე მახლობელია, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი... იმ გარემოში, სადაც მე ვიზრდებოდი, არავითარი იდეოლოგიური ზეგავლენა არ მოქმედებდა, არავითარი აკრძალვები და ჩარევები არ იგრძნობოდა და ჩემი ლიტერატურული განსწავლა იმთავითვე ბუნებრივი გზით წარიმართა: ისევე ვკითხულობდი გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“, როგორც გერონტი ქიქოძის „ეროვნულ ენერგიას“ თუ არჩილ ჯორჯაძის ნარკვევებსა და წერილებს... გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანიც“ მაშინ წავიკითხე... 1942 წლის შეთქმულებისა თუ სამანისტთა პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობაც მაშინ შევიტყვე მამაჩემისაგან, მათ მონაწილეთა ტრაგიკული ბიოგრაფიებითაც მაშინ დავინტერესდი და უკვე სხვა თვალით ვკითხულობდი ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ გამოქვეყნებული ჭაბუკი მწერლების ლექსებსა თუ მოთხრობებს... დავიწყე ცალკეული ცნობების მოგროვება ამ ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის ირგვლივ და სულ უფრო ცხადი ხდებოდა ჩემთვის მათი მნიშვნელობა და შესწავლის აუცილებლობა საქართველოს უახლესი ისტორიის პირუთვნელი გააზრებისას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება არცერთი წუთით არ შემწყდარა გასაბჭოების შემდეგ, მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მერე პირველი ყველაზე მასშტაბური მოვლენა იყო 1942 წლის შეთქმულება, რომლის ორგანიზებაც და ხელმძღვანელობაც — როგორც ბოლო ხანს მოპოვებული ცნობებით ირკვევა — ყველაზე მეტად კოტე ხიმშიაშვილის სახელს უკავშირდება... ყმაწვილი ვიყავი და ყმაწვილური ოცნებანიც მასულდგმულებდა: ყოველი აკრძალული თუ მიჩქმალული პიროვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის შესწავლა და გამომზეურება. უკვე მაშინ ჩავიფიქრე „დაწყევლილი თაობის“ (უმძიმეს 30-იან წლებში სამოღვაწეოდ ანთებული და უღმერთოდ ჩაშრეტილი თაობის) ტრაგიკული ქრონიკის შექმნა, ისევე, როგორც ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანის გამოცემა და პავლე ინგოროყვას გატეხილი სახელის აღდგენა და მისი ნააზრევის მთელი სიმართლით წარმოჩენა... და კიდევ, რა აღარ...**

— წერილში „დომენიკო“ (გურამ დოჩანაშვილზე) იხსენებდით, რომ ბავშვობისას თქვენც ისევე გიყვარდათ თამაში „სადღაციდან დაბრუნება“, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟს დომენიკოს.

**— ეს ჩემი შეთხზული თამაში იყო, უსაყვარლესი თამაში, თითქოს შორეთიდან ვბრუნდებოდი დიდი ხნის განშორების მერე, ნატანჯ-ნაწამები ვუბრუნდებოდი მშობლიურ კერას. ეს იყო იდუმალი, ბურუსში გახვეული, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი განცდა... „შორეთი“ მთლად რეალურ ქვეყანას არ გულისხმობდა, ეს ალბათ უფრო სულიერი ფერისცვალების გზა უფრო იყო... ასეა თუ ისე, ჩემი შეგნების გაღვიძება ამ თამაშშია მოქცეული... ამ თამაშსა და იმ ძვირფას სახელებში რომლებშიც ვტრიალებდი.**

— ამ წერილში მწერლის პორტრეტსაც ხატავთ. ალბათ კვლავაც აპირებთ ამ ჟანრის თხზულებათა შექმნას.

**— კრიტიკული ჟანრებიდან ჩემთვის ყველაზე მახლობელი ლიტერატურული პორტრეტია. იმდენად, რომ არამარტო პირწმინდად პორტრეტი მიტაცებს, ვცდილობ კრიტიკულ წერილშიც — თუ საშუალება მომეცა — პორტრეტის ელემენტები შევიტანო. ასეთი რამ თუ მარჯვედ მოხერხდა, ანალიზსა და მსჯელობასაც აცოცხლებს, ექსპრესიას მატებს და შემოქმედებით ნიუანსებშიც უფრო ღრმად გვახედებს... რადგანაც პორტრეტი ბელეტრისტული ხერხების გამოყენებით იქმნება, ამიტომ ასეთ დროს სულაც არ არის აუცილებელი მწერლის, მოღვაწის (ვისზეც წერ), რანგი და განსაკუთრებულობა, მთავარია ხასიათის თავისებურების, უთუო კოლორიტულობის მიგნება... შესაძლოა მწერალი არ იყოს გამორჩეული ღირსებებისა და ვერც ლიტერატურის ისტორიას შერჩეს, მაგრამ თუ ეს კოლორიტულობა ამშვენებს, ჩინებული თემა იყოს პორტრეტისათვის და, ვინ იცის, სწორედ ასე გადარჩეს დავიწყებას: როგორც ლიტერატურული წერილის პერსონაჟი. ჩვენში არაერთი შესანიშნავი პორტრეტი დაუწერიათ (პირველ ყოვლისა, მოგაგონებთ დავით კასრაძის უსამართლოდ მივიწყებულ წიგნს), კვლავაც წარმატებით იქმნება, სანიმუშოდ გავიხსენებ, ვთქვათ, აკაკი გაწერელიასა და ვახტანგ ჭელიძის მთელს ციკლს ლიტერატურული პორტრეტებისას. როცა თვალს ვავლებ ამ ჟანრის მთელს ისტორიას ჩვენში (არცთუ ხანგრძლივს), სურვილი მებადება, ერთ ტომად დაისტამბოს რჩეული პორტრეტები, რაც — შემეცნებით ღირებულებასთან ერთად — ლაღი და საამო საკითხავიც იქნება და ამ ჟანრის განვითარებასაც დიდად წაადგება.**

— და ბოლო შეკითხვა: საერთოდ რისთვის წერთ?

**— ვწერ იმისთვის, რისთვისაც უნდა წერდეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის შვილი. ლიტერატურა ჩემთვისაც იარაღია. ამიტომ ბრუნავს ჩემს ნაწერებში ჩვენი საერთო პრობლემები და ტკივილები თვით მაშინაც, როცა ბიბლიურ სამყაროს ვიკვლევ, ან ირლანდიის ლიტერატურულსა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფას გავიაზრებ ან ამერიკულ მწერლობას მივეახლები. ეს ყოველივე გარკვეულად ზღუდავს ინტერესებს და ერთ თარგში აქცევს, მაგრამ რა ვუყოთ — ჩვენი ეროვნული ბედისწერა ეს ყოფილა. მაგრამ დადგება ჟამი...**

ესაუბრა
ელისაბედ გორგიშვილი

# ფუნდამენტური ნაშრომი

**მინდია ლაშაური**

„ილია ჭავჭავაძე — ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება“ ორ წიგნად დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნებამ“. პირველი წიგნი გამოქვეყნა 1987, ხოლო მეორე 1990 წელს. ხსენებული ფუნდამენტური ნაშრომის ავტორია გურამ შარაძე. ორივე წიგნის გაფორმება და მაკეტი ეკუთვნის მხატვარ ოლღა გორელოვიჩს. პირველი წიგნი იხსნება ავტორის წინათქმით: „ცნობილია, რომ კითხვაზე, ვინ არის მწერალი, თომას მანმა ასეთი პასუხი გასცა: ის, ვისი ცხოვრებაც სიმბოლოა!“

ამ სიტყვების შესანიშნავი მაგალითია ილია ჭავჭავაძე, ვისი ცხოვრებაც არის არა მხოლოდ ქართველი მწერლის, არამედ საერთოდ ხალხის ისტორიული ცხოვრების, სამშობლო ქვეყნის წარსულის, აწმყოსი და მომავლის სიმბოლო.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას არაერთი ფუნდამენტური მონოგრაფია, გამოკვლევა თუ დოკუმენტური პროზის ნიმუში მიეძღვნა, მაგრამ, ვფიქრობთ, გასაკეთებელი მაინც კიდევ ბევრია. ილია ჭავჭავაძის მიმართ თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ა. მორუას მიერ ბალზაკზე თქმული სიტყვები: „მას სწავლობენ და მომავალშიც კვლავ გამოიკვლევენ“.

მადლიერი შთამომავლობისათვის არანაკლებ ძვირფასია, დიდი მგოსნისა და თავდადებული მამულიშვილის ფოტოსურათებში გადატანილი, სათაყვანებელ ხატად ქცეული მისი სახე.

პირველი წიგნი დაყოფილია შვიდ თავად. თავი პირველი — ყვარელი, ბავშვობა, 1837-1842. რომელიც სათანადოდ ილუსტრირებულია; თავი მეორე — თბილისი, პანსიონი და გიმნაზია, 1848-1856; თავი მესამე — პეტერბურგში გამგზავრება, 1857 ზაფხული; თავი მეოთხე — პეტერბურგის უნივერსიტეტი, 1857-1861. ამ თავში გურამ შარაძე გვაუწყებს: როგორც ცნობილია, ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას პეტერბურგში საფუძველი ჩაუყარა პირველმა ქართველმა მეცნიერმა თეიმურაზ ბაგრატიონმა (1783-1846), რომელიც რუსეთის სატახტო ქალაქში 1811 წლიდან მოღვაწეობდა და იქვეა დასაფლავებული ალექსანდრე ნეველის ლავრაში (1846). სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფეები არიან გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე (1802-1880) და პირველი ქართველი პროფესორი დავით ჩუბინაშვილი (1814-1891). თავი მეხუთე — საქართველოში დაბრუნება. თავი მეექვსე — სულის მზიანობა. თავი მეშვიდე — საქართველოს მოამბე; თავი მერვე — — ქუთაისსა და დუშეთში 1861; თავი მეცხრე — ქართული ბანკის დაარსება, „მეფე ლირის“ თარგმნა; თავი მეათე — „ივერია“ — პირველი პერიოდი 1874-1885; ამ თავში გურამ შარაძე მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის ბრძოლაზე რუსიფიკატორ იანოვსკის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძის სტატია „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“ ცენზურის შეკვეცილი სახით გაზეთ „დროების“ ნომერ 33-ში გამოქვეყნდა, ხოლო იანოვსკის სასწავლო გეგმის ვერაგული ხასიათი ილიამ ამხილა ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“.

ყველასათვის ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს კარგად იცნობდნენ საზღვარგარეთ. რომელიმე სწავლული, პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე საქართველოში რომ ჩამოვიდოდა, პირველ ყოვლისა, ილიას ესტუმრებოდა და მისგან ღებულობდა ცნობებს და მასალებს ქართველი ერის ისტორიასა და კულტურაზე. ამ დარგში უხვ მასალას იძლევა თავის ნარკვევში ბატონი გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძესთან სტუმრად იყო ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, ცნობილი გერმანელი გამოჩენილი მწერალი არტურ ლაისტი, კარლ ლემანზაუსტი, ავსტრიელი პროფესორი ჰუგო შუხჰარდტი, ჩეხი იოსებ რატილი, ინგლისელი მწერლები, ჭეშმარიტი მეგობრები ქართველი ერისა და-ძმა უორდროპები, ინგლისელი სწავლული უილიამ მორფილი და კოხილუტი, იტალიელი გულიერმო ბასილი, ბოსკო, ფრანგი სწავლული ჟან ბერტილონი...

შემდეგ ბატონი გურამ შარაძე მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის ურთიერთობაზე პროფესორ ჰუგო შუხჰარდტთან და წერს: „ჰუგო შუხჰარდტმა მწარედ განიცადა ტრაგიკული სიკვდილი ილია ჭავჭავაძისა“.

ალექსანდრე ბეშკენაძე, რომელიც იმ დროს სწავლობდა გრაცში, იგონებს შემდეგს: „...ერთხელ, როცა მივდიოდი, ქუჩაზე შევხვდი შუხჰარდტს, რომელსაც ჰქონდა მწუხარე სახე... მან ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულ სიკვდილზე იცოდა... მის ვერაგულ მკვლელობაზე, პირველად მისგან შევიტყვე... ჰუგო შუხჰარდტს გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესაში“ წაეკითხა ცნობა-დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: „თბილისიდან ახლოს თავის მამულში მიმავალ სახელმწიფო საბჭოს წევრს თავად ილია ჭავჭავაძეს თავს დაესხნენ ავაზაკნი, მოჰკლეს და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე. თავდამსხმელები მიიმალნენ, სწარმოებს ძიება საქმისა. ვენის გაზეთის ეს ცნობა გამოქვეყნდა აგრეთვე გრაცის სხვა გაზეთებში. ჰუგო შუხჰარდტმა გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი ილია ჭავჭავაძის შესახებ (იხ. ილია ჭავჭავაძე და ჰუგო შუხჰარდტი, „მნათობი“, თბილისი, 1958, პირველი ნომერი).




წიგნში თავმოყრილ მრავალრიცხოვან ფოტოდოკუმენტთა შორის აღსანიშნავია ყვარლის ციხე-სიმაგრე, ქართველი მეფის ერეკლე მეორის სასახლე, თბილისის გიმნაზია, მისი დიდი დარბაზი, სადაც პირველად, ესე იგი, 1850 წლის 2 იანვარს დაიდგა გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“ ქართულ ენაზე, ცალკეული სცენები „სამშობლო“-დან, აქვეა გაბრიელ ეპისკოპოსის, მარი ბროსეს, მიხაი ზიჩის, არტურ ლაისტის, ოლივერ უორდროპის, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმული მარჯორი უორდროპის, იოსებ რატილის და სხვათა ფოტოსურათები.

მეორე წიგნში განხილულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა 1886-1907 წლებში. ყოველდღიური გაზეთი „ივერია“, მწერლის სიცოცხლის უკანასკნელი — 1902-1907 წლები, მისი სიკვდილი და დასაფლავება, 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მომხდარი საუკუნის მკვლელობის საიდუმლოების გახსნის ცდა.

წიგნის 42-ე გვერდზე მოთავსებულია ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილის ორი მშვენიერი ლექსი, რომელიც ეროვნული სულით არის აღვსებული. ეს ლექსები პოეტურად გამართულია, აქაა ქართველი ერისადმი სიყვარულით დაწერილი სტრიქონები, ამიტომაც გამოუქვეყნებია ალბათ, იგი ილია ჭავჭავაძეს „ივერიაში“. ამბობენ, ილიას უთქვამს ახალგაზრდა ჯუღაშვილისთვის: „მშვენიერი ლექსებია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი იქნებიო“. მაგრამ არ შეასრულა დიდი მოძღვარისა და დიდი ქართველის დარიგება სოსო ჯუღაშვილმა. იგი არ გაჰყვა ილიას რჩევას, გაიტაცა საქართველოში უცხოდ ჩათესილმა მარქსისტულმა „მოძღვრებამ“ და გახდა მისი მიმდევარი. რაღაცნაირად მოეწყო სასულიერო სემინარიაში.. არავის ეკარებოდა, რადგან ვერ იტანდა მასზე უკეთესს, ჯოჯოხეთი უტრიალებდა თავში და ჯოჯოხეთის ცეცხლში გაახვია თავისი მშობლიური ქვეყანა.

პროფესორ გურამ შარაძეს მოჰყავს ნიკო მარის ყალბი პოზიცია „ვეფხისტყაოსანზე“, და ილიას გააფთრებული პაექრობა მარის წინააღმდეგ, რაც მოცემულია ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადში“. მან გამანადგურებელი პასუხი გასცა ნიკო მარის ანტიქართულ ტენდენციის გამოვლინებას და მიწასთან გაასწორა მისი ანტიმეცნიერული დებულება.

„მეც ნახირ-ნახირო“ და აგერ, სცენაზე გამოჩნდა თვითმარქვია „სწავლული“ ფილიპე მახარაძე, რომელმაც „მეცნიერულ“ დონეზე გაარჩია „ვეფხისტყაოსანი“ და „ბრძანებს“, იგი თავიდან ბოლომდე მონარქისტულიაო... რა არის ამაში ცუდი? რუსთაველმა თავისი უკვდავი პოემა მიუძღვნა დიდად განათლებულ და ჰუმანისტ მონარქს... მადლობა ღმერთს, ქართველი ერის საბედნიეროდ, მარქსი არ იყო დაბადებული...

დიდ ილიას ბევრი მეგობარი ჰყავდა, როგორც შინ, ისე გარეთ, მაგრამ მას ჰყავდა დაუძინებელი მტრებიც, უმთავრესი მათში იყვნენ ფილიპე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი და მათი მსგავსნი. ახლად შექმნილი, დაკნინებული და უღლეური „მესამე დასი“.

მესამე დასი საქართველოში წარმოიშვა არა ქართულ ეროვნულ წიაღში, მის ეროვნულ ძირებზე, არამედ იგი უცხოეთიდან შემოტანილი „მოძღვრებაა“, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან.

„მესამე დასი“ და მათი „მოღვაწენი“ ეწეოდნენ ალვირახსნილ პროვოკაციას და ცილს წამებდნენ სამშობლოს მამას. ვის არ ახსოვს, ოცდაათიანი წლები საქართველოში. ფარფაში რაპპელებისა: პატიკო ქიქოძე, ბენიტო ბუაჩიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, ვალია ბახტაძე... მათ ალვირახსნილობას ხელს უწყობდნენ საქართველოს მაშინდელი მესვეურები, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ბერია, სილია თოდრია, ერმილე ბედია და მრავალი სხვა...

ისინი ისე გათავხედდნენ, რომ ერთხელ საკითხიც კი დასვეს, თუ შეიძლება ილია ჭავჭავაძეს პოეტი ან მწერალი ეწოდოსო... ამ ველური სისინის დროს გაბედულად იცავდა ილიას პიროვნებას მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი.

„1936 წელს — მოგვითხრობს მწერლის ქალიშვილი ქეთევანი — მწერალთა კავშირში გამართული ერთ-ერთი დისპუტის დროს მიხეილ ჯავახიშვილმა აღნიშნა: ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ეს პირველი გამოლაშქრება არ არის ამ დარბაზში, ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია... შვიდი-რვა წლის წინათ რამდენიმე ჭაბუკი ლაპარაკობდა ილია ჭავჭავაძეზე, ისინი ერთმანეთს უმტკიცებდნენ, დიდი მწერალი კი არა, იქნება მწერალიც არ იყოო. ილიას შემოტანა ლიტერატურის ისტორიაში არ შეიძლებაო და ამიტომ სახელმძღვანელოებიდანაც კი ამოვიღოთო. იმ დროს მე და რამდენიმე მწერალი ამის წინააღმდეგ გამოვდიოდით...“.

ახლა მოვუსმინოთ ცნობილ ლიტერატურათმცოდნეს და მწერალს ირაკლი ანდრონიკოვს. აი, რას წერს იგი: „იმ წლებში განა ბევრმა პოეტმა შექმნა ამ ადამიანთა (აქ ნაგულისხმევია გლეხები — მ. ლ.) სახეები და შეიყვანა ლიტერატურაში „გლახის“, „ყაჩაღის“ თუნდაც მსგავსი სახეები? აბა, რომელმა მწერალმა გვიჩვენა მათი ცხოვრების საშინელებანი, რომელმაც გააშიშვლა ასეთი გაბედულებით მათი სოციალური კონფლიქტები ბატონებთან, როგორც ილია ჭავჭავაძემ გააკეთა. ილიამ მათ მიუძღვნა თავისი პირველი შთაგონება... ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეს უდავოდ პირველობა ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურაში და თვით რუსულ ლიტერატურაშიც ერთ-ერთი პირველი გაბედული მწერალია“.

დიახ, ილია იცავდა ქართველ გლეხობას, რომლის „გაპროლეტარობას“ ესწრაფებოდა „მესამე დასი“. დიახ, იგი მოჰკლეს პოლიტიკურ ნიადაგზე. გერმანელი მეცნიერი ადოლფ ენდლერი ვრცლად და აკადემიურ დონეზე მიმოიხილავს ქართველი პოეტების სავალ გზას და დიდ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძეს. გერმანელი მეცნიერი ენდლერი წერს: „ილია ჭავჭავაძის ბრძოლის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული თავისუფლება... ილია ჭავჭავაძეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ხოლო პირველ რიგში იყვნენ სოციალ-დემოკრატები... ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს 1907 წელს... ის მოჰკლეს უკიდურესად განწყობილმა რადიკალურმა წრემ... არ არის გამორიცხული ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სათანადო როლი ითამაშა მეფის „ოხრანკამ“, რადგან ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურად მიუღებელი იყო როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენეებისათვის“. (იხ. ადოლფ ენდლერი, „გრძნობა და საზომი“, ბერლინი, 1970, გვ. 1377, გერმანულ ენაზე).

ცამდის მართალია გერმანელი მეცნიერი, მაგრამ კითხვა იბადება: ვინ იყვნენ მეფის „ოხრანკის“ მსახურნი თუ აგენტები? მათში არ ყოფილა არც რუსი, არც სომეხი, არც თათარი და მით უფრო ყიზილბაში, არამედ ქართველები, ჩვენდა სამარცხვინოდ... სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკიდურესი მიმართულების თანამოაზრენი. ილია ჭავჭავაძეს თავს ესხმოდნენ რუსი შავრაზმელები და ყველა ჯურისა და რანგის მარქსისტები.

ის, რაც ჩაიდინეს 1907 წელს, არ აკმარეს ერის მამას და საფლავშიც არ ასვენებდნენ. მოვუსმინოთ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც ბრძანებს „მარქსიზმის ვულგარიზატორებმა ავტო-დაფე მოუწყვეს სამშობლოს მამას. ეროვნული ნიჰილიზმის ეს უგუნური ბაიყუშები ილიას, „რეაქციონერს“ და „რეტროგრადს“ ეძახდნენ. „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ გაჰკიოდნენ ისინი გზაჯვარედინზე... ილიას დაცვისათვის ხელკეტებს გვიშენდნენ...“ (იხ. „მნათობი“, 1957, მე-11 ნომერი).

ცნობილი პოეტი ალექსანდრე ქუთათელი თავის ლექსში „წიწამური“ ამბობს: „იუდა, ქართლის ამომჭდებელი, მთაში გარბოდა ილიას მკვლელი“, მაგრამ იუდა უფრო პატიოსანი გამოდგა, ვიდრე ილიას მკვლელობის პროვოკატორები ფილიპე მახარაძე და პეტრე გელეიშვილი. იუდაში სინდისმა იმძლავრა, მან შეიგნო მისი დიდი დანაშაული, რაც ჩაიდინა ქრისტეს მიმართ: „შევცოდე, რომ გავეცი უდანაშაულო სისხლი“, თქვა მან... „აი, აიღეთ თქვენი ჰუჰყიანი ფული“ და სახეზე მიაყარა ვერცხლი იმდროინდელ მბრძანებლებს...“

ჰოდა, იუდამ ვერ აიტანა ამ ცოდვის სიმძიმე და თავი ჩამოიხრჩო...

ხოლო სამშობლოს მამის მკვლელობის წამქეზებელი და ცილისმწამებელი ფილიპე მახარაძე პრეზიდენტის სავარძელში იჯდა.

როცა ასეთი ველური თავდასხმა მიმდინარეობდა, ილიას პიროვნების წინააღმდეგ, დიდი გაბედულება გამოიჩინეს პავლე ინგოროყვამ და ალექსანდრე აბაშელმა და შეძლეს ილიას თხზულებათა გამოქვეყნება.

გურამ შარაძეს მოჰყავს [illegible] ბრძენის გოეთეს სიტყვები: „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“ დიახ, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ილიაზე და იგი მართებულად მოიხსენია შარაძემ.

წიგნში მოცემულია გალერეა ქართველი მოწინავე ინტელიგენციისა. მათ შორისაა არტურ ლაისტი, რომელიც იყო განუყრელი მეგობარი დიდი ილიასი და მთელი ქართველი ერისა.

„იგი იყო გოეთესებური კარგი გერმანელი, რომელმაც შეიყვარა ჩვენი ერის ლაჟვარდი... იგი ორმოცი წელი იყო ჩვენს შორის, ხარობდა ჩვენი სიხარულით, დაიტანჯებოდა ჩვენი [illegible]... იგი მღეროდა ჩვენს პოეტებთან ერთად...“, ბრძანებს კონსტანტინე გამსახურდია.

წიგნში არის სურათი დიდი ქართველი მონარქის, სწავლულის, რეფორმატორისა და გამოჩენილი მხედართმთავრის დავით აღმაშენებლისა. აქვეა სურათი დიდი თამარ მეფისა, რომელმაც მსოფლიოში პირველმა გვირგვინოსანმა შექმნა კონსტიტუციური მონარქიული წეს-წყობილება... შემოიღო პარლამენტი... მან გადადგა დიდი ჰუმანური ნაბიჯი, და აკრძალა ადამიანის სიკვდილით დასჯა, რასაც აღნიშნავს თავის ნაშრომში „ქართლის ცხოვრება“ გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი, პროფესორი გერტრუდ პეჩი — იგი თამარის ეპოქას სამართლიანად უწოდებს „ოქროს ხანას“.

ერთ-ერთ ჯგუფურ სურათზეა: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი და გიორგი დეკანოზიშვილი. ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მიხაკო წერეთელზე და ვარლამ ჩერქეზიშვილზე: ვარლამი ანარქისტი იყო, მაგრამ მგზნებარე მამულიშვილი. მას და მიხაკო წერეთელს, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანებს, ხელში ეჭირათ, ვით სახარება, 1783 წლის ისტორიული დოკუმენტი და მის განადგურებას მოითხოვდნენ.

ზემოხსენებული ფუნდამენტური ნაშრომები გურამ შარაძისა დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე და თვითეული თავი ორივე წიგნისა მდიდრულადაა ილუსტრირებული, რაც მკითხველს აძლევს ნათელ წარმოდგენას დიდი ქართველი განმანათლებლის, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აქვე არის ჩვენი, უძველესი მსოფლიო დინასტიის — სახელოვანი ბაგრატიონების სამეფო გერბი. გურამ შარაძემ თავისი ხსენებული ორი წიგნით დიდი წვლილი შეიტანა დიდი ქართველი მგოსნის, მოაზროვნის, ქართული მხატვრული სიტყვის დიდი რეფორმატორის, მე-19 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, ილია ჭავჭავაძის პოეტური და საზოგადოებრივი ცხოვრების სრული შესწავლის საქმეში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გამომცემლობა „ხელოვნების“ მუშაკთა ფასდაუდებელი შრომა და ამაგი, რომლებიც კეთილსინდისიერად, საქმის დიდი სიყვარულით მოეკიდებიან გურამ შარაძის ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემის საქმეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ და მადლობა მოვახსენოთ მხატვარს ქალბატონ ოლღა გორელოვიჩს, რომელსაც დიდი სიყვარულით გაუფორმებია ორივე წიგნი. საოცარია, როგორ დაეუფლა არაქართველი მანდილოსანი ეგრე ჩინებულად ქართულ სულს.



## გივი ქნელაძე

# ახალი ლექსები

### ჰქმენ გადარჩენა!..

I

არ ვიცი, მე ვარ თუ ქინ არი —
ვილაც კი არი, —
მიექანება უფსკრულისკენ
თავპირისმტვრევით...
აქ, ალბათ, რითმად
თეთრი სიტყვა „ცქრიალ-ცქრიალი“
გამოგვადგება!..
აქაც, ალბათ, —
„ნაგვირისტევი“.
—სად უფსკრული და სად „ცქრიალი“,—
იტყვით თქვენ ნაღდად...
ამ დროს იტყვიან ქართველები —
„ცა და მიწაო“...
ცეცხლი, ჰო, — ცეცხლი, —
ტატნობს რომ წვავს,
ტატნობს რომ ქარგავს, —
ჩემთან შეხვედრას ერიდება, —
არ დავიწვაო!..
ბედნიერია, ვინც არავის ეპირფერება,
ვისაც არა აქვს რამე ვალი,
არა აქვს ვახში...
შევჩერდე უნდა,
თორემ მართლა გადავირევი:
— ჩემი ადგილი
ტყეშია და არა აქ, — სახლში!...

II

...ძნელი ყოფილა, როგორც ხედავთ,
უაზროდ წერა,
სული მეტკინა.
გული?
გული ისედაც მტკივა...
შავი ღრუბელი —
უსაბნოა და უზეწარო, —
ღამეა ახლა...
გარეთ ქარი ქალივით კივა!..

III

რაღაც განგებამ
გაგვთიშა და დაგვანაწილა,
დაგვანაწევრა,
დაგვარბია,
ამ განაჩენმა...
მე გეხმარები, უმაღლესო,
თავსაც გავწირავ, —
მე სისხლს გავიღებ,
ოღონდ, ოღონდ, —
ჰქმენ გადარჩენა!..

### სიტყვები... სიტყვები...

სიტყვები მახელებენ,
სიტყვები მაგიჟებენ
(ყველას გაქვთ რამე სუსტი მხარე!...)
ზოგი მიჯერებს და
ზოგი არ მიჯერებს,
ზოგი — სისხლს მიწამლავს,
ზოგი — სულს მიხარებს!...

სიტყვები... სიტყვები... სიტყვები...
სიტყვები — ჭკვიანნი... ბრიყვები!...
ჭკვიანებია თუ ბრიყვნია —
უჩემოდ ვერაფერს იტყვიან!

### თეთრი ღვინო, შავი ღვინო!..

ალიონი გაიცრიცა
და განიხვნა კარი ცისა...
დაცვარული ვერცხლის თასი
მზის შარბათით გალიცლიცდა!..

დღემ ასწია თასი მაღლა,
უფრო მაღლა... მაღლა... მაღლა!..
ეწაფება... არც აკლდება...
არ ეტყობა თრობა... დაღლა!..

ნაშუადღევს განახევრდა...
სალამომდე გამოსცალა!..
დაამხო და... თეთრი ღვინო
შავი ღვინით გამოცვალა!..

### თუ ბიჭი ხარ, — მოდი!..

ა?.. ხომ?...
ერთხელ უნდა მოხდეს...
ერთხელ მაინც უნდა მოხდეს...
მოსახდენი უნდა მოხდეს...
(მგონი, კიდეც მოდის!)

შენ...
ვინც შეგიშინებია —
მიდი, —
იგი შეაშინე!..
რას მექუქუმალავები,
რა დორბლებს ჰყრი,
რა ცეცხლს აფრქვევ,
უკაცრავად პასუხით —
რა ფეხებს და რა ფეხს მომჭამ, —
თუ ბიჭი ხარ, — მოდი!...

●

ხურს მიწა და წვიმას შესთხოვს:
„მალე მოი!.. მალე მოი!..“
ჩიტის სუნთქვას გაიგონებ —
ისეთია გარემოი!..

მზე ზიმზიმებს!...
მზე ზიმზიმებს!...
ყველაფერი გადაიწვა!..
წყალს წვიმისას, როგორც იმედს,
ისე ველით, მე და მიწა!..

წვიმა... წვიმა... ნასიცხარზე, —
ჭეშმარიტად მალამოა!..
ბაყაყმა თქვა კაცის ხმაზე:
„— მალე მოვა!.. მალე მოვა!..“

ხურს მიწა და ზეცას შესთხოვს:
„— მალე მოი!.. მალე მოი!..“
ჩიტის სუნთქვას გაიგონებ —
ისეთია გარემოი!..

●

მე ვიცი, ხალხი...
თუმცა, რაღა შორს მივდივარ —
მე ვიცი კაცი, რომელსაც
სამშობლოსთან სამუდამო განშორების
ფიქრი და განცდა მოკლავს!..
სხვა — არაფერი!..
სხვა ვერაფერი მოერევა
მის გულსა და სულს, —
რაც აცოცხლებს — ის მოკლავს!..
**რაც აცოცხლებს — ის მოკლავს! —**
**სამუდამო განშორების სევდა! —**
**სამშობლოსთან**
სამუდამო განშორების სევდა!..

იმ კაცმა თქვა:
დიდი თუ არა, დამრჩება
პატარ-პატარა წიგნები...
შენ თუ არ გემახსოვრები —
მე მაინც შენთან ვიქნები!..

### ცხელი წვიმა...

ქედზე ღრუბელი
გადაწვა რთულად —
მანდიკორული გარდიგარდმობით!..
წვიმს...
ცისარტყელა გადაწვართულა
და ძაღლიც ყეფით გარბი-გამორბის!...
— რა შუაშია, — თქვენ იტყვით, —
ძაღლი!..
ძაღლი ხომ მხოლოდ ძაღლი არაა!
ახლა ამაზე კამათი არ ღირს,
კაციც ხანდახან ვიგინდარაა!..

გატრუნულია ღრუბელი ქედზე, —
მოწყენილობა უსაწყაოა!..
სულში ნაგუბი ცრემლი გზას ეძებს —
სულ მალე ცხელი წვიმა წამოვა!..

წამოვა წვიმა და ცისარტყელა
იმ ცხელი წვიმით გაილუმპება...
ქორი — მთებს იქით გადანაქროლი
ჩაინთქმება და ჩაილუპება!..

. . . . .

ქარმა ხეები წამოაწვინა, —
მალე მცხუნვარე წამოვა წვიმა!..

### ისევ „იქ“ თქმული...

ვის სტირიხართ? —
ჩემს სხეულს თუ ჩემს სულს?..
გეცოდებით?..
მალე გეცოდინებათ:
ტანჯვის გზებით სამოთხეში შესულს —
ამო წყაროდ მელის გადმოდინება!..

გეხვეწებით, — ჩემი შესანდობარი
შხამით სავსე ფიალიდან არ სვათ...
აქ ჩამომყვა მზეი—სულის მთბობარი,—
თქვენთანა ვარ,
არ წავსულვარ არსად!..

### ცისკრის ყვავილები

„არაფერი არ მინახავს
ახე ხაყოველთაო“.

ჩემი ლექსიდან

მაღლა ცაა, დაბლა მიწა,
მე — შუაში ვბოდიალობ...
ქანდარიდან მამლაყინწამ
დაიძახა: — მოდიანო!..

და გამოჩნდნენ ცეცხლოვანი
ყვავილები ცისკრისაო...
წაიმღერებს რესტორანი:
„— გოგოვ, გოგოვ კისკისაო!..“

ცის ტატნობი ზეაფრენით
აფეთქდება დენთიანა...
და ჩაკვდება ყველაფერი,
ერთბაშად და ერთიანად!...

წუთი გულქვა დოლაბივით
ყველაფერს ფქვავს, ვით წისქვილი...
აქ ნათქვამი აბდა-უბდა —
უაზროა, ვით სიკვდილი!..

**ცივა... ბნელა...**
**ყინავს... თოშავს...**
**ქარი ნისლებს არევ-დარევს...**
**ღამე, როგორც შავი დროშა,**
**ეუფლება არემარეს!...**

### დიაგნოზი

არსად, არავის, არასოდეს ისე არავინ
არ ყვარებია,
ვითარც მე მკლავს არსება შენი!..
ხანდახან ცრემლით
გულს ვიოხებ დაუფარავით,
თუმცა ცეცხლს, გულში გაჩაღებულს,
არც ეგ არ შველის!..
...გულის არეში ტკივილი მაქვს, —
ვკვდები უდავოდ...
ამ ტკივილისა —
არაფერი გურის არ ესმის!..
გური ექიმმა:
— ჭვალი გაქვსო, სითბო უნდაო, —
მე კი მგონია,
სული მტკივა გულის არეში!..

●

დღეს რომ სხვათა კარნახით
ცეკვავენ და უკრავენ —
დრო მოვა და (ა, ნახავთ!)
პირსაც მოუკუპრავენ!...

**1969 წ.**

●

გაზაფხულდა... ყველაფერი სამოსს
იცვლის,
გამოცოცხლდა ნაბალახარ-ნავარდი...
არა, ძმაო, — ჯერ არა ვარ სამოცი
წლის, —
ძველებურად შემიძლია ნავარდი!..

ამ „ნავარდში“ რას ვგულისხმობ —
თქვენც მიხვდებით, ალბათ;
...ტელეფონზე დამირეკა ქალმა!...

### დაბადების დღე

უკვე სამოცდაოთხჯერ დამისწრო
დაბადების დღემ (მეგრულად: „ვა-ვა!.. “)
სულ მალე მოვა ერთი აგვისტოც
და... 23 უჩემოდ გავა!..

### ამ მხრივ მაინც...

„ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად...“

დავით გურამიშვილი

არც მე!
არც მე! —
ლიქნით... ანდა ალერსით, —
მაღლა ღმერთს და დაბლა მიწას ვფიცავ:
ულირსი და უმგვანო
არასოდეს მიქცევია სალექსოდ, —
ამ მხრივ მაინც
მეც შენს წესს და
შენს ამ დევიზს ვიცავ!..



დიდგორი.
ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ზურაბ ლავრელაშვილი

# სამი ნოველა

## ანდერძი

— აი, რა, დედი! იქნებ როგორმე მორიგდეთ?! რაც არ უნდა იყოს, დედა-შვილი ხართ, უცხონი ხომ არა...

მთხოვნელი — მოკაკვული, სახენაოჭიანი დედაბერი საკანცელარიო მაგიდისკენ იხრება, უარობს.

— არა, გენაცვალე! არა-მეთქი, თქვენი ჭირიმეთ, ჩვენი შერიგება არ მოხდება... მართალია, შვილია, მაგრამ ვერ დავუთმობ... არც ის დამითმობს... მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე, მაგრამ ისეთი ანჯალია, თუ დასჭირდა, მოსაკლავადაც გამიმეტებს...

ალმასრულებელი თავს აქნევს, მთხოვნელს ეჭვით შესცქერის. დედაბერი უძრავად დგას, პირდაპირ შეჰყურებს, მის დამდნარ, სიბერისაგან აწყლიანებულ თვალებში სახელმწიფო მოხელისაგან შეწევნის იმედი ციმციმებს. სატინის შავი კაბა აცვია, ხმარებისაგან რილოჭრილოდ გახუნებული, ფეხებიც ნახმარ კალოშებში წაუყვია. დახეთქილი, გაყვითლებული თითებით ჯოხს ეყრდნობა და მის გვერდით ჯოხიც თითქოს ბებერი, ნაწვალები და ნატანჯი სულიერივით მოსჩანს.

ალმასრულებელი კიდევ ერთხელ ათვალიერებს დედაბერს, მერე ქაღალდებს სწვდება ფრჩხილებდაქნილი თითებით. შუა თითი მსუქანი და როგორღაც ამობურცული აქვს, ცერზე კი ღრმა განაჭერი ეტყობა. ქაღალდს აბრუნებს, დაფიქრებული დასცქერის ტიტულს: „სახოფლო საბჭო“. დედაბერი მოთმინებით ელის, ფეხს არ იცვლის და ძაღლყურძენასავით შავ თვალებსაც არ აშორებს. შემპარავად, მაგრამ დაჟინებით უმეორებს:

— წამოხვალ, შვილო?! წამოხვალ თუ სხვა ვინმეს გამაგზავნი?.. ისევ შენ მირჩევნიხარ, შენი მუხლების ჭირიმე, ხო ყველაფერი იცი და რაღაზედ უარობ, აგრემც გენაცვლები...

— რა ვიცი, დედი?! არაფერიც არ ვიცი! — გაღიზიანებული პასუხობს ალმასრულებელი და ქაღალდებს მაგიდაზე ჰყრის.

დედაბერს ეწყინა. ხელი მოინაცვლა. თავი გადააქნია.

— მაგას რად ამბობ, გენაცვალე?! განა არ მითქვამს, შე გასახარელო, რომ ნაკვეთის გაყოფა გვინდა...

— რომელი ნაკვეთის?!

— ჩემმა კაცმა რო დამიტოვა ანდერძით, გენაცვალე. — დედაბერი თან ეჭვობს, რომ ალმასრულებელმა მისი საჩივარი კარგად იცის — ამიტომ გაფაციცებით აკვირდება, რათა მის სახეზე თანხმობის ნიშნები ამოიკითხოს — თან უკვე მეორეჯერ ჰყვება. ალმასრულებელი აცდის. იძულებით უსმენს, სურს იდროვოს, რომ აზირებული მთხოვნელი როგორმე მოიშოროს.

— ჯერ მითხრეს, ქაღალდი უნდაო, უნდა დასწეროო, რას უჩივიო. — დაუღალავად აგრძელებს დედაბერი. — მაგრამ უწინ შენთან მოსვლა ვარჩიე, შვილო, როგორც თქვენ მირჩევთ, ისე ვიქმ... ქაღალდსაც დაგიწერ და მოწმეებსაც მოგიყვან... თუ ქაღალდი უნდა, ბიბლიოთეკარს ან ჩემ ბიჭს დავაწერინებ...

— ჰმ! შენს შვილს როგორღა დააწერინებ?! აკი უჩივი?!

დედაბერი გაოცებულია.

— მერე რა მოხდა, ადამიანო, უკანონოდ კი არ ვუჩივი! ჯერ უხეირო და უადგილო სიტყვა არავის უთქვამს და შვილი კი განა ეგრე გამიზრდია, რომ მოხუცი დედა დაჩაგროს და დაიბრიყვოს...

— წეღან რაღად სთქვი, მოსაკლავად გამიმეტებსო?!

— სიტყვის მასალათ, გენაცვალე, თორემ ღამით მაგათთან არა მძინავს?! მაშ, წამოხვალ თუ სხვას გამაჰგზავნი...

ალმასრულებელი ზიზღით იჭმუხნება, კარგი გაძლება გქონიათო, ბუტბუტებს, სკამს აჭრაჭუნებს, დგება და მთხოვნელს ზემოდან დაჰყურებს.

— მე მაინც გირჩევთ, შეთანხმდეთ და სახელმწიფო დაწესებულებას ზედმეტი საჩივრებით ნუ გადავტვირთავთ! ისედაც ბევრი საქმეა...

— როგორღა შევთანხმდეთ, თუ იმას მეტი უჭირავს?! ცხონებულმა ჩემმა ქმარმა მამული შუაზე გაგვიყო და იმან რად უნდა დაიჩემოს?!

— ან ეგ რად გინდა, დედი?! რომ მოჰკვდები, მაინც შვილს არ დარჩება?! — ალმასრულებელი მოთმინებისაგან მთლად დაიცალა, ქშინავს და მაგიდაზე თითს აკაკუნებს. დედაბერი არ დრკება, ტუჩებს იჭმუხნის, მკვირცხლად პასუხობს:

— მოვკვდები თუ დავრჩები, ეგ ბედისწერის საქმეა!.. კანონი კი კანონია, გენაცვალე და ჰვისაც ზედმეტი მამული უჭირავს, უნდა ჩამოეჭრას. მე ეს ვიცი და სხვა არაფერი მეკითხება...

ურჩი მთხოვნელის სიკერპით გაოცებული ალმასრულებელი დუმდება. ფანჯრის მიღმა ზაფხულის ხვატი ლაპლაპებს. ჭერზე ზანტად გარბის ობობა.

— იმ ნაკვეთში თქვენი შვილი სახლს იშენებს! — ალმასრულებელი აზალმოსულია და ცდილობს ზრდილობიანად ილაპარაკოს. — სწორედ ის ალაგი უნდა ჩამოეჭრას, ამაზე არ გიფიქრია?!

— ანდერძით ეგრეა და რა ვქნა, შვილო!

ალმასრულებელს სიმწრით ეცინება. კბილებს კრეჭს, მაგიდას უვლის და დაღლილი უსარგებლო ვექილობით, მკვახედ ეუბნება:

— მე ახლა არ მცალია! რაიონში მივდივარ. ხვალ შენ შვილს დავიბარებ, ასე უცებ საქმის გადაწყვეტა არ შემიძლია.

— ის რაღად უნდა დაიბარო, ჩემი სიმართლისა არა გჯერა, განა?! ჩემი ხნის ადამიანს სიზმარიც დაეჯერება...

— აკი გითხარი, რაიონში მივდივარ-მეთქი! შენი შვილი კი აუცილებლად უნდა მოვიდეს, ახსნა-განმარტება უნდა ჩამოვართვა.

— მაშ, სამართალი აღარ არი?! მჩაგრავ და იმიტომ არ მოდიხარ. ვიცი, პირზე ქონი გაქ წასმული იმ ვაჟბატონისაგან, იმისათვის უარობ! დედაბერი ჯოხს აკაკუნებს, ჭერზე შეშინებული ობობა სისწრაფეს უმატებს. — კანონი თუ ყველასათვის არი, რაღა ჩემთვის დამუნჯდა და დაყრუვდა, შე დასაყრუებელო!..

— აბა, აბა, ნუ იწყევლები! აქ სახელმწიფო დაწესებულებაა, შინ ნუ გგონია თავი!

— შავ მიწაში გეგონოს შენი თავი, შე გაუხარელო! — ბუტბუტით იწყევლება დედაბერი. ალმასრულებელი ამაოდ ცდილობს მის გაჩუმებას და რაკი ხვდება, რომ ვერ მოიშორებს, ხელს იქნევს და მსუქანი მამაკაცისთვის უჩვეულო სისწრაფით ქრება ოთახიდან.

●

სახოფლო საბჭოს შენობა სოფლიდან მოშორებით დგას შარაგზის პირას. ფლიგელში საწყობებია, ეზოში გუთნები ყრია. სიცხით დაჩაგრული ალვის ხეები ძუნწ ჩრდილს ჰილოფივით აფენენ ფილაქანჩამტვრეულ ეზოს. კედლის ყურეში ყრია ჩამოცვენილი ბათქაში, ქაღალდის ნახევები და დაჟანგული რკინა-კავეული. კიბესთან ჭრელი, უჯიშო ძაღლი წევს. ძაღლს ენა გადმოუგდია, მიწაზე კუდი გაურთხამს და ქაქანით შესცქერის შაოსან დედაბერს, წელში მოხრილი ნელა რომ ჰკვეთს ეზოს. ალმასრულებლის გაქცევის შემდეგ მთხოვნელი კიდევ დიდხანს იჯდა ცარიელ ოთახში და გვიანღა მიხვდა, რომ აღარავინ მოუსმენდა. საბჭოს შენობა უდაბნოსავით უკაცრიელი იყო. მოტყუებული დედაბერი სკამიდან კვნესით წამოდგა. შინ დაბრუნება ეძნელებოდა, გული უგრძნობდა, რომ ყველაფერს გაიგებდნენ, ყველაფერს მიუხვდებოდნენ და იქნებ თავიდანაც მოეშორებინათ! განა ერთხელ და ორჯერ მომხდარა, ნაკვეთის მიზეზით ნათესავებს ერთმანეთი დაუხოცავთ, დარწმუნებით იცოდა, შვილი არ დაზოგავდა. „სულ იმის ბრალია, იმ ძუძუებდამწვარისა. — წყევლიდა რძალს, — ის აქეზებს! ჩემი სიკვდილიც იმისი ბრალი იქნება“. უნდოდა ქვეყნიერებისთვის ემცნო ეს დიდი საიდუმლო, მაგრამ გზად მწვანე ბაყაყის მეტი არავინ შეხვედრია. ბაყაყი უეცრად გადმოხტა მრავალძარღვას ბრტყელი ფოთლიდან. დედაბერი შედრკა, ფეხი უკან გასწია და „უჰ, შე უწმინდუროო!“ — მიაძახა.

სოფელში მისვლისას წინათგრძნობა უფრო გაუმძაფრდა, მაგრამ ვერავის შეჩივლა თავისი დიდი დარდი, ენა დაეკეტა, პირზე რაზა დაედო. უგუნებოდ ჩაჯდა დედაკაცებში და ხმის დაძვრას ვერ ბედავდა. ამასობაში კი შეუბრალებლად ბნელდებოდა, ხარიპარია ღვრილივით აკიაფდა ცაზე. ფრინველები გაჩუმდნენ, მაგივრად ჭრიჭინა აკვნესდა ბუჩქებში. წყალმა ბუტბუტი იწყო და წუთით დიადი სიჩუმე გამეფდა. დედაბერი მარტო დარჩა, გვერდს ჩავლილი სოფლელები დინჯად აკვირდებოდნენ, მძიმედ, დამარცვლით ესალმებოდნენ, მაგრამ დედაბერი ყრუ-მუნჯივით იჯდა. მერე ადგა და სიკვდილის შესაგებებლად წავიდა. ბედს დამორჩილებოდა. ეგღა აწუხებდა, რომ ბუნებრივი წესით არ მოკვდება, თუმცა ვერაფერს გაიგებს, რაკი ძილში გაჰგუდავენ. სიცოცხლე ენანებოდა. ფრთამოტეხილივით შელასლასდა ეზოში. ჭიშკარმა დაიჭრიალა და შეაკრთო.

შვილი და რძალი პარმაღზე ისხდნენ. ოთახიდან სინათლის ანარეკლი აშუქებდათ და მათი მახინჯი ჩრდილები კიბეზე გართხმულიყო. დედაბერი გაუბედავად შეჩერდა წყვილი ლანდის წინ, ფეხის წადგმა ვერ გაებედა. რძალმა ქიმუნჯი წაჰკრა ქმარს. „მიდი“, — უთხრა ჩუმად. დედაბრის ვაჟი წამოდგა და გზა დაუთმო, მაგრამ დედაბერმა მაინც კანკალით გაიარა, თან უკმეხ მზერას ერიდებოდა. „იქიდან მოდის, — ხმადაბალი სისინიც მოესმა, — ეტყობა ბევრი შხამი უნთხევია! ნახე, როგორ ბოროტად გვიყურებს! იჰ, დედა მაინც არ იყოს, შე ბნედაასატეხო!..“ დედაბერს არ გაუგია, რა უპასუხა შვილმა. სასწრაფოდ გაიხადა და დაჭეჭყილ ქვეშაგებში ჩაწვა. მადლობელი იყო, რაკი მაშინვე არ ეცნენ და შუა არ გაგლიჯეს. პირჯვარს იწერდა და ჩიფჩიფებდა. ყრუ სიბნელე ჩამოწვა, თითქო დედაბერსაც. ზედ დააწვა და გასრესას უპირებდა, ის კი უძალიანდებოდა, ლოგინში წრიალებდა, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ ველარაფერი უშველიდა. ტიხარს მიღმა ნაწყენი ჩურჩული მოისმა. დედაბერი გატვრინდა. სადაცაა შემოვლენ ჰგონიათ, რომ სძინავს და ემზადებიან. მოდიან კიდეც! დამნაშავემ საბანი წაიფარა, მხოლოდ თვალებს აცეცებდა სიბნელეში. მოეჩვენა, რომ კარის კამარაში რაღაც ბუნდოვანი რამ საგანი გამოჩნდა. დედაბერს უნდოდა ეკივლა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა მუცლიდან და საბნის კუთხელა ჩაიტენა უკბილო პირში. „ღმერთო, მიშველე!“ — ჩიფჩიფებდა და ფეხები უცივდებოდა.

## იასპის ნაღველი

იმხანად ჩრდილოეთის * პატარა ქალაქში ვცხოვრობდი, სადაც კვირაღლით ზარის ყრუ გუგუნი მორწმუნეებს კათედრალურ ტაძარში უხმობდა. მდინარისპირა ბულვარში სამოთხის ვაშლი ჰყვაოდა, ასწლოვანი ხეების ქვეშ სანატრელი სიგრილე და მუქ-ლურჯი ბინდი ჩაგუბებულიყო.

ერთხელ, ბაღში, რკინის ონკანთან ხნიერი, შაოსანი ქალი შევნიშნე. თავგადაპარსულ, შავგვრემან, ორ გამხდარ ბიჭუნას მოუძღოდა. ივლისის მცხუნვარე მზეში ქალი ძელსკამზე ჩამოჯდა, იასპის თვალი უჩანდა თითზე, ბავშვები კი სათამაშოდ გაიფანტნენ. მათი ყვირილი ბაღის სიჩუმეში უჩვეულოდ გაისმოდა. ანცობდნენ და გაუთელავ მოლზე გადარბოდნენ. ქალი მათ სიცელქეს ვერ ამჩნევდა, თავი ჩაექინდრა, ხელები კაბის კალთაში ჩაეკრიფა. ბიჭების წკრიალა შეძახილით მივხვდი, რომელიღაც აღმოსავლურ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ადრე არ გამეგონა და ჩრდილოეთის მოსარკულ ჰაერში ტკბილ ექოდ ჟღერდა. ექო მდინარის პირზე გადარბოდა, სადაც ზეთივით სქელ, ხავერდივით უნაოჭო წყალზე აფრიანი ნავები ირწეოდნენ. გრანიტის სანაპიროსთან კი ნელა იძენძებოდა ხავსის ფთილა, უზარმაზარ მწვანე მედუზას რომ ჰგავდა. ძელსკამის საზურგეზე მიყრდნობილს წამთვლიმა, ყურში ისევ ბავშვების კიჟინა ჩამესმოდა. ხმა ნელ-ნელა გამშორდა და შუადღის გაუბზარავი მყუდროება ჩამოწვა.

ეს ის ჟამია, როცა გონებას ჯერ კიდევ არ სძინავს და ტვინის ნაოჭებში მედუზას სხეულივით ცახცახებს შეგრძნებათა რბილი საცეცები. სმენა დამეხშო. ნიჟარის ხვეულებში გამოვლილი ჰაერის მსგავსი ჩუმი, ქაოსური შრიალიღა ისმოდა. სიცხით გაბრუებულს მეჩვენებოდა, ჩემს შიგნით, მზით გამთბარ წმინდა და კრიალა სივრცეში იძენძებოდა ცრიატი სინათლე, როგორც ხავსის ფთილა, წყლის ზედაპირზე ცხოველის კუჭივით რომ თრთოდა. შემდორებული სისხლი შუადღის მცხუნვარებას შეერწყა. ვიგრძენი, როგორ მიცემდა გული, თითქოს ბუდიდან ამოხტება და ქვაფენილზე იასპის ნამსხვრევებად გაიბნევაო. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვაყურადებდი საკუთარ გულისცემას. ძარღვის ფეთქვა უეცრად შეწყდა და მზიანი დღის სიბნელე ჩამოწვა. შიში არ მიგრძვნია, რადგან იმავე წამს იმქვეყნიური გალობა შემომესმა. ეს იყო, ჩუმი, უსახოო ღიღინი, უსიტყვო, რიტმული კვნესა, თითქოს ნიჟარაში გამომწყვდეული ალი მოთქვამდა. თვალდახუჭულმა დავინახე, როგორ შეკრთა სიბნელე და როგორ შემოაღწია მეწამულმა შუქმა. შუქი მკვრივდებოდა, იკვრებოდა და შეერთებული ნაბზარებიდან შადრევანივით იფრქვეოდა გალობის ხმა. ნათელი მღეროდა! და სწორედ იმ წამს, როცა ხმა მოახლოვდა, თითქო მდუღარე გადმოასხესო, ტანჯვის ამონაკვნესით გამომეღვიძა.

ბაღში არავინ ჩანდა. ხმა კი არ ქრებოდა, ასწლოვან ხეებქვეშ ამღვრეული თვალი მოვატარე და თეჯირთან შაოსანი ქალი შევამჩნიე. ჩვენს გარდა ბაღში არავინ იყო, ღიღინი კი მატულობდა. უეცრად ქალი შეინძრა და ძელსკამზე დაირწა, კალთაში ხელებჩაწყობილი რიტმულად ირხეოდა, მოკუმული ბაგიდან მღერი, გაბმული ხმა ამოსდიოდა. შავი მანდილით მოჩრდილული თვალები მწუხარების სიფიცხით ულავდა. გამაჟრჟოლა. მივხვდი, ქალი უსიტყვოდ მოთქვამდა, ბაგესაც არ ხსნიდა, ტანჯვისა და მწუხარების ექო გულიდან ძალდაუტანებლად ატანდა. განაბული ვუგდებდი ყურს, ვიდრე ბაღში ტურისტების ჯგუფი გამოჩნდებოდა. ქალი ღიღინს განაგრძობდა, მაგრამ მისი მოთქმა მხიარულ ყიჟინაში ჩაიკარგა.

უხმოდ წამოვდექი და ბაღიდან უკანმოუხედავად გამოვედი.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ექსტაზით შეპყრობილი მლოცველებიც მინახავს, მუცლითმეზღაპრეებისთვისაც მომისმენია, მაგრამ არასოდეს გამიგონია მარტოხელა ტანჯული ადამიანის იმგვარი ღაღადისი, როგორც მაშინ...

არასოდეს განმიცდია იასპის ნაღველი რომელიც მიტოვებული, ეული მიწიდან სამყაროს მკვდრულ სიჩუმეში ითანტება, როგორც ყოფნა-არყოფნის უსახოო ჩივილი.

## სანთლის ჩრდილი

დაბალი და კაფანდარა თინო ოცი წლისა იყო, მაგრამ ცამეტისას ჰგავდა. ხასიათიც ბავშვური შემორჩენოდა. სოფლის სასადილოში, სადაც ჭურჭლის მრეცხავად მიიყვანეს, ბავშვივით ექცეოდნენ. მოქეიფენი ზედაც არ უყურებდნენ. მხოლოდ ერთ საღამოს უკაცრიელი მინდვრებით შინ რომ ბრუნდებოდა, ვიღაც უცნობი აჰყვა.

უცნობი მაშინ წამოეწია, როცა თინო გზის შესამოკლებლად ფლატეზე გადადიოდა. უკანიდან ხელი მოჰხვია და წამოაქცია, მაგრამ ფერდობზე თავი ვერ შეიმაგრეს და ჩაცურდნენ. თინო მოძალადეს გაუსხლტა. კურდღელივით აირბინა ფერდობი. მაშინღა შეჩერდა, სოფლის სინათლეებს რომ მოჰკრა თვალი. აცახცახებული იდგა სიბნელეში და ვერ გადაეწყვიტა, მომხდარი ამბავი შინაურებისთვის ეთქვა თუ გაჩუმებულიყო.

ამ დღიდან მისთვის უნებურად გამჟღავნდა სქესთა საიდუმლო. ტოლები ისედაც გაურბოდნენ, ახლა კი თავად განაპირდა. გულის დასამშვიდებლად საყდარში დაიარებოდა, რადგან თინოსავით ისიც მიეტოვებინათ და ნაგვით იყო სავსე. ფრესკები ჩამოეფხიკათ, იქვე ნაცხოვრები დარაჯი კი ურმის ფერსოებს და ძველმანებს ინახავდა. დღისით უსაქმურები შეიყრებოდნენ, კამათელს აგორებდნენ. სიწყნარე მხოლოდ საღამოობით ჩამოვარდებოდა. საყდარი თინოს ამშვიდებდა. ძველი ხალხი ირწმუნება, რომ მაღლა ღმერთი ზის და ზემოდან დაჰყურებთ. როგორია? რწმენისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ სიამოვნებდა, მის გარდა საყდარში რომ არავინ დადიოდა.

მალე საყდარში მღვდელი დააყენეს. თინოს მღვდელი წვერჭაღარა და მოხუცი წარმოედგინა, მაგრამ ლამაზი, თითქმის ყმაწვილი აღმოჩნდა. ხანდახან სასადილოშიც შეივლიდა და თინო გულისფანცქალით უცქერდა. მიმტანებს ეზარებოდათ, საჭმლის წაღებას ჭურჭლის მრეცხავს უბრძანებდნენ. თინოს სიხარულით მიჰქონდა ლანგარი, თითქო წმინდა სანაწილეთი უახლოვდებაო, მაგრამ მღვდელი, სასადილოს სხვა მუშტრებივით, არც შეხედავდა, თუმცა თინოს ეგონა დავიმსახურეო. ის ხომ მანამდე დაიარებოდა ღვთის სახლში, ვიდრე მღვდელი გამოჩნდებოდა! რამდენჯერმე სიტყვის ჩამოგდება სცადა, მაგრამ მოძღვარი უკარება აღმოჩნდა. ხშირად საყდარსაც მიატოვებდა, ცხენით დასეირნობდა ჭალებში. არც ქალაქში ყოფნას იკლებდა, ვიღაც უცხო ქალებიც მოსდიოდნენ და თინოს გული გაუტყდა, შეჩვეული ალაგიდან რომ გამოაძევეს. საყდარსაც უწინდელი ხიბლი შემოეცალა.

აგვისტოში, სოფლად ისევ მარიამობისთვის რომ იხსენიებდნენ, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დღესასწაული იმართებოდა. ტაძარი ტყეში იდგა და მომლოცველები ღამისთევით მიდიოდნენ, აქაური მღვდელი ხნიერი, გამხდარი კაცი იყო, სახეზე ჭმუნვის კვალი ემჩნეოდა. ღამისსათევად მოსულ მლოცველებთან ერთად თინო ტაძარს გარშემო უვლიდა და კუთხეებში ფრთხილად ჰკოცნიდა. ტაძარს ორი შესასვლელი ჰქონდა, მაგრამ ერთი დაეკეტათ და თაღოვანი კარით შედიოდნენ, რომლის წინაც ნიღრიან ქვაზე ცვილის სანთლები ელაგა. იქვე რკინის ჯამი იდო, კედელზე კი ქაღალდის ნახევზე წარწერილი საფასური აეკრათ. თინომ და დედამისმა სანთლები აიღეს, ტაძარში თავმოდრეკილნი შევიდნენ. მღვდელი ლოცვანს კითხულობდა, მორჩილები ქოროდ ეხმიანებოდნენ. თინოს დედამ პირჯვარი გადაისახა, ლოცვის სიტყვებს ბუტბუტით იმეორებდა. თინო მღვდლის საზეიმო კითხვამ აალელვა. მაშ, ღმერთი ნამდვილად არსებობს, რაკი ამდენი ხალხი მას შეჰღაღადებს! გარშემო სანთლის ალით გაშუქებული სახეები ჩანდა. ყველას მოწიწება ემჩნეოდა.

თინო საკურთხეველს მიუახლოვდა და შანდლების წინ გაჩერდა. ნაღვლიანი წმინდანები უმზერდნენ. თინომ უჩვეულო სიხარული იგრძნო. ცვილის სიმხურვალემ მოაჩვენა, რომ წმინდანებს უყვარდათ. მღვდელი კითხვას განაგრძობდა, მისი ყრუ ხმა ტაძრის კამარაში ექოდ ტრიალებდა. თინომ დაინახა, როგორ გაიჭრა ლოცვა ვიწრო სარკმელში და ღმერთთან გაფრინდა. თავადაც უნდა ილოცოს, რათა ბედნიერი იყოს!

ბედნიერი!

თავი დახარა, ხელები მკერდთან მიიტანა. მისი პატარა ჩრდილი სხვათა ლანდებს შეერია, და ხმაც მათ შეუერთა. ბედნიერი იქნები, დაიგუგუნა ქორომ. თინოს არ ახსოვდა, მართლა ეს სიტყვები წარმოთქვა შავი ანაფორით მოსილმა შვიდმა წვეროსანმა, თუ წიგნიდან ამოკითხული ლოცვა გაიმეორეს. მთავარია, რომ ვიღაც გაიგონებდა და ტაძრის სიდიადით აღტყინებულს, ძალი არ ეყო, ეფიქრა, რა არის ნამდვილი ბედნიერება, რასკენაც ასე მოუთმენლად ისწრაფვოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის ერთი დღე



## გივი გეგეჭკორი

# საუკუნე თავდება

თამაზ ბიბილურს

ჩვენ ბავშვობის სიხარულს
ვეღარავინ მოგვიტანს,
თვალი ანგელოსებმა
უკვე მოგვაცილეს,
მთვარე გაშიშვლებული
აღარ მოდის ლოგინთან,
როცა იკრავს წყვდიადი
ანაფორის ღილებს.

უკვე გავთეთრებულვართ,
უკვე მალე ვიღლებით,
მალე მოეკიდება
ჩვენს ნააზრევს ობი,
ჩვენი დასავიწყებლად
განწირული წიგნები
არის გამოტირება
დაკარგული ყრმობის.

ჩვენ სიცოცხლე ხელიდან
გვეცლება და გვავლებს,
რომ არ გავქრეთ უკვალოდ
და არ დავიკარგოთ,
წიგნში გაცოცხლებული
ჩვენი ყრმობის სავანე
ოთხი დროა ვივალდის
და ვივალდის ლარგო.

ო, ჩვენ ვიცით სიკვდილი
მალე გამოგვიხტება,
რადგან ვუახლოვდებით
ჩაბნელებულ კბოდეს,
მაინც ისე ვიქცევით
და არ ვიტეხთ იხტიბარს,
თითქოს მთელი ცხოვრება
ისევ წინა გვქონდეს.

მაგრამ დაქანცულია
სულიცა და სხეულიც,
გადაღლილი გონება
ირინდება წამით,
თითქოს მტკვარი წყვდიადში
ხიდებს გამოქცეული
ჩუმად მიიპარება
ქალაქიდან ღამით...

და ბებერი თბილისი
ქაშვეთით და სიონით
ანდა ვიწრო ქუჩებით
უმკლავდება დრო-ჟამს,
სტუმარს კვლავინდებურად
ხვდება ალერსიანი
და ნელ-ნელა იფერებს
სამფეროვან დროშას.

ჩვენ ვერასდროს მივხვდებით
და ვერასდროს ვავარჩევთ
ამღვრეული მორევი
როგორ გვითრევს ძირს,
როგორ შეუბრალებლად
ნაცემი ვართ მრავალჯერ
სუბსარქისის ქარებით
და აბანოს ქისით.

უნდა ჩვენ ამ ქალაქმა
გვაცხოვროს და გვალაყბოს,
რადგან ამან მოგვზილა,
რადგან ამან გვლესა,
როგორც მტკვარი ვერასდროს
გაექცევა კალაპოტს,
ისე ვერ გავექცევით
ჩვენ ამ ქალაქს ვერსად.

უნდა ჩვენი სათქმელი
ამ ქალაქში ვატაროთ,
დროს არ დავემორჩილოთ
და არ მოვიდრიკოთ,
რაც ვერ ხელეწიფება
ანგელოსს და ტარტაროზს,
იგი შევაძლებინოთ
კაფანდარა სტრიქონს.

ვეღარ უძლებს ასაკი
სიტყვით მატრაბაზობას...
უსარგებლო სიტყვების
ფუსფუსსა და ტორტმანს
ზღურბლთან ისე ვიშორებთ,
როგორც სადარბაზოსთან
ჯიბის ქურდი იშორებს
გამოფხეკილ პორტმანს...

საუკუნე თავდება
უკვე შეუფერხებლად
და აჯამებს ბებერი
თავის ნამოქმედარს,
ემუქრება გადრეკა
დაბერებულ ხერხემალს,
თავთან დაკიდებული
წვეთოვანი წვეთავს...

საუკუნე მეოცე
მხოლოდ სისხლის წვიმაა,
კაცმა კაცი გაჟლიტა,
კაცმა კაცი კეპა,
ჩვენ გვსურს თვალი შევავლოთ
გარდასულში მიმავალ
სულმთლად გამელოტებულ
საუკუნის კეფას.

ჩვენ დროს თავისუფლების
მოლოდინით ვზომავდით
და მის შემობრძანებას
ველოდით და ველით,
ჩვენ ცოტანი ვარსებობთ
წარსულით და მომავლით,
უფრო მეტნი ცხოვრობენ
მხოლოდ დღევანდელით...

ალბათ თავისუფლების
განიხვნება კარები,
სული ტკბილი აქამდე
მოვიტანეთ სიმწრით,
არაფერი არ გვინდა,
მხოლოდ მხალი ღარიბი
სოფლის ორღობეებში
ამოსული ჰინჯრის...

ოღონდ თავისუფლების
სანეტარო ძახილზე
დილამ გაცინებულმა
გული აგვიჩქროლოს,
ღმერთო! გემუდარები,
საქართველოს აღირსე
მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“
ბედნიერი ბოლო!..

1991

პოეზიის ერთი დღე

# საქართველოსთან გაყრის ტკივილი

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მიუნხენში მცხოვრები პოეტის, ისააკ მეგრელიშვილის ლექსების კრებული — „სამშობლოდან სამშობლოში“. წიგნს წამძღვარებული აქვს ჯანსულ ღვინჯილიას მცირე წინასიტყვაობა.

მკითხველს ვთავაზობთ ამ წინასიტყვაობას.

●

მე მოღალატე არა ვარ, ვფიცავ,
დახედეთ ჩემს გულს, ცრემლი
ასველებს...
შემინდე მიწავ, შემინდე შენ, ცავ,
მსურს შევუერთდე ძმა ისრაელებს!

პოეზიას უცნაური მრავალფეროვნება ახასიათებს. ზოგჯერ ტკივილია პოეტურად ფახეული, ზოგჯერ — შიშველი განცდა, ზოგჯერ — რიტორიკული შეძახილი... ზოგჯერ სწორედ ის, რასაც ჭეშმარიტად პოეტური ჰქვია.

ისააკ მეგრელიშვილის ლექსებში საქართველოსადმი მძაფრი სიყვარულია პოეზია, ის არის ღირსეული, ძვირფასი!

დაუძაზა ისტორიულმა სამშობლომ ქართველ ებრაელებსაც, ადგნენ და წავიდნენ. მაინც წავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსგან განშორება ერთი ტანჯვა აღმოჩნდა მათთვის. წაიკითხავს მკითხველი მართლა „ცრემლითა და სისხლით“ დაწერილ ისააკ მეგრელიშვილის ლექსებს და დარწმუნდება აქ თქმულში. ყურადღებას არ მიაქცევს სოჩკლიან სტრიქონებს. გალარიბებულ რითმას, პოეტური აქსესუარების სიმწირეს, შეძრავს ტკივილი, რომელიც ყოველ ლექსში ფეთქავს, და იპყრობს განცდა, რომელიც ასე გულწრფელია, მოხიბლავს უბრალოება, რაც სტრიქონებში გამოსჭვივის.

საქართველოდან წასული ებრაელების სულიერი მდგომარეობაა ასახული ისააკ მეგრელიშვილის ლექსებში. გჯერათ ყოველი სიტყვა, ჩვენ რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ მათი სიტყვა. ეს სიტყვა საქმეს მოჰყვა და არა პირიქით. საქმით დაამტკიცეს საქართველოსადმი სიყვარული და მერე სიტყვაც მოგვაწვდინეს, გული გადაგვიშალეს, დაგვანახეს, რა სევდის მდუღარება იდგა იქ, როგორ შეუთვისებიათ ქართული ცისა და მიწის მადლი.

ისააკ მეგრელიშვილის ლექსების უდიდესი ღირსება ადამიანური მადლიერების მაღალი გრძნობაა. იგი გამოხატავს არა მარტო თავის პიროვნულ მეობას, გამოხატავს თავისი ხალხის ბუნებას, გვარწმუნებს, რომ ასეთი სიყვარული შეუძლია ებრაელ კაცს საერთოდ, შეუძლია ნამდვილ სამშობლოსთან გაყრის ტკივილამდე აამაღლოს საქართველოდან წასვლა. ვხედავთ, რომ ჩვენგან განუყრელია! ლექსები დაპყრობილია საქართველოზე ფიქრით, საქართველო მისი უმთავრესი თემაა, განტოტვილი, მრავალწახნაგოვანი.

ისევ მშვიდობით მთანო და მდელო,
გზა დამილოცე, ქართულო ცაო,
მშობელო მიწავ, ჩემო აღმზრდელო,
არ სთქვათ — ვაპურეთ და
გაიქცაო!

ბოლო ორ სტრიქონში მოქცეული საფიქრალი ტანჯავს დღეს ქართველ ებრაელს, ეფიქრება, უმადურობად არავინ ჩაუთვალოს ეს წასვლა, ეს კიდევ ერთი უტყუარი ნიშანია მისი კაცურ-კაცობისა.

ისააკ მეგრელიშვილს აქვს საინტერესო პოეტური ბიოგრაფია. გიორგი ცაბაძემ მის ლექსზე „ჩემი თბილისი ლრუბლებში ვნახე“ დაწერა სიმღერა. ჯერ კიდევ 1985 წელს უძღვნა ლექსი გრიგოლ რობაქიძეს (დაიბეჭდა პარიზში). ნიუ-იორკში დაიბეჭდა ციკლები „მე ორად გამყო დრომ და მანძილმა“ და „მცხეთა“, პერიოდულად იბეჭდება თელ-ავივში, თბილისში, ნიუ-იორკში, პარიზში...

უსაფუძვლოა ისააკ მეგრელიშვილის შიში:

ვინ წაიკითხავს, რაც მე დავწერე,
გაუნათებლად ბნელში გავქრები.

როგორი სიყვარულითაც მას საქართველო უყვარს, იმ ძალის სიყვარულს მიაგებს ქართველი კაცი. ქართველ კაცს არ უჭირს მტრისა და მოყვრის გარჩევა.

ჯანსულ ღვინჯილია

# შეხვედრება გერონტი ქიქოძესთან

გერონტი ქიქოძე გავიცანი 1925 წელს, როცა დედაჩემმა ჯერ კიდევ ბავშვი, სასწავლებლად თბილისში ჩამომიყვანა და დამაბინავა ჩვენი შორეული ნათესავის ორთაჭალელი მებაღის, ანდრია ძიძიგურის ოჯახში. სოფლიდან დედას თან მოჰქონდა ჩვენი ნათესავის ბერთუმელი ბესარიონ დადიანის სარეკომენდაციო ბარათი ბატონ შალვა დადიანთან. ხშირად მის ოჯახში გავიცანი ბატონი გერონტი ქიქოძე და სხვა ქართველი მწერლები და თეატრალური მოღვაწეები.

ორთაჭალა-კრწანისი, სადაც მე ვცხოვრობდი, იმ დროს ჯერ კიდევ იყო ძველი თბილისის ეგზოტიკური, თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ხშირად ნახავდით ქართველ მწერლებსა თუ ხელოვნების მოღვაწეებს. გერონტი ქიქოძეც თავის მეგობრებთან, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, შალვა დადიანთან და ლადო გუდიაშვილთან ერთად, ხშირი სტუმარი იყო ორთაჭალის წარმტაცი ბაღებისა.

30-იან წლებში გერონტი ქიქოძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს მიკითხავდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში.

ბატონ გერონტის დავუახლოვდით მე და დავით კობიძე (შემდეგში ცნობილი ირანისტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და ხშირად დავდიოდით მასთან, ჯაფარიძის ქ. № 16-ში (ამჟამად პაოლო იაშვილის ქუჩა). ვსაუბრობდით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, მასთან საუბარი იყო სასიამოვნო გასეირნება პოეზიისა და ხელოვნების სამყაროში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1933 წელს მუშაობა დავიწყე „სახელმწიფო გამომცემლობის“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, რომელსაც განაგებდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლო მიწიშვილი. აქ თავს იყრიდა მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია: მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი. გერონტი ქიქოძე ხშირად მოდიოდა გამომცემლობაში. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლო მიწიშვილთან. შემოვიდოდა თუ არა ბატონი გერონტი განყოფილებაში, დაიწყებოდა საინტერესო საუბარი ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს მომავალზე.

— უკუღმართად მიდის ჩვენი ერის საქმე, ჩვენი ერის ცხოვრება, — ამბობდა გერონტი. — დიახ, უკუღმართად მიდის ჩვენი ერის ბედი, — ეთანხმებოდა ბატონი ნიკოლო.—ამან დამაწერინა, ბატონო გერონტი, წერილი „ფიქრები საქართველოზე“. დაჭერა-დახვრეტების ვითარებაში ერი წინ ვერ წავა, დაიღუპება. როცა ბატონი გერონტი განყოფილებიდან წავიდა, ნიკოლომ მითხრა, ჩემო საშა, დავაწერინოთ გერონტის ისეთი რამე, რომელიც ქართველი ერისათვის დიდი მნიშვნელობისა იქნება და ჩვენი ერის ისტორიას შერჩება. იქვე ბატონ ნიკოლოს ვუთხარი, რომ კარგი იქნება, თუ ბატონ გერონტის დავაწერინებთ მონოგრაფიას ნიკო ნიკოლაძის შესახებ, ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე-მეთქი. ნიკოლომ, რომელიც ყოველთვის ეძებდა საბაბს რაიმე პატრიოტული საქმე გაეკეთებინა ერისათვის, ჩემი იდეა გაანდო ბატონ გერონტის.

— ჩემო ნიკო, — თქვა ბატონმა გერონტიმ, — ამის დრო, ჯერჯერობით, არ დამდგარა, ხონში ვერ წასულხარ ადამიანი, უკან უხათუოდ დაგადევნებენ ჯაშუშებს და, აბა, როგორ გინდა ევროპაში წახვიდე, სადაც ნიკო ნიკოლაძე დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა. უამისოდ მონოგრაფიას ვერ დაწერ. ნიკო დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი იყო, იცნობდა ვიქტორ ჰიუგოს, ზოლეს და სხვა ევროპელ მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს. რუსეთში მისი მეგობრები იყვნენ გერცენი, ჩერნიშევსკი, ოგარევი და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მასზე წერა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ევროპის კარი გაიღება და ჩამოიხსნება რკინის ფარდა, რომელიც ადამიანის სულს აკნინებს და აბეჩავებს.



ასე უთხრა ბატონმა გერონტიმ ნიკოლო მიწიშვილს და უარი განაცხადა მონოგრაფიის დაწერაზე.

როცა „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში გადავედი სამუშაოდ, გადავწყვიტე განმეახლებინა ჟურნალის შინაარსი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო საბჭოთა საცენზურო პირობებში. მოვიწვიე ცნობილი მთარგმნელები ივანე მაჭავარიანი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, სერგო დანელია, შალვა პაპუაშვილი და სხვები. ჟურნალში ვბეჭდავდი არამარტო რეცენზიებს თეატრებში დადგმული პიესების შესახებ, არამედ ჩემს მიერ მოწვეულ პირთა თარგმანებსაც. ივანე მაჭავარიანს ვათარგმნინე იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“, დენი დიდროს „პარადოქსი აქტიორზე“ და კოკლენის „მსახიობის ოსტატობა“. სერგო დანელიამ თარგმნა არისტოტელეს „პოეტიკა“, შალვა პაპუაშვილმა — ჰეგელის „ესთეტიკა“. ბესო ჟღენტს არ მოეწონა თარგმანების სიუხვე ჩვენს ჟურნალში და გაგვაკრიტიკა.

ერთხელ შალვა დადიანს, როგორც ჟურნალის კოლეგიის წევრს, ვუთხარი — ჟურნალს ჰონორარის გასაცემად ფული არ აქვს და რა ვილონო-მეთქი. დაწერეთ, ჭაბუკო, მიმართვა ბერიას სახელზე, მივუტანოთ და ჟურნალის ჰონორარის ფულს გამოგვიყოფს. დავწერე მიმართვა და ორიოდე საათში მასთან ვიყავით. რამდენიმე ხანს შალვამ ისაუბრა ბერიასთან და შემდეგ ლავრენტიმ მომმართა:

— თეატრალური საზოგადოების ყრილობაზე ბესო ჟღენტმა გაგაკრიტიკათ, ჰეგელის ესთეტიკას ჟურნალში რატომ ბეჭდავთ? ნუთუ ჟღენტის ლიტერატურული და თეატრალური წერილები უფრო მნიშვნელოვანია ერისათვის, ვიდრე ჰეგელის „ესთეტიკა“? — და ჩაიცინა. — განაგრძეთ ბეჭდვა, განაგრძეთ. მთარგმნელებისა და ჟურნალის ჰონორარისათვის ფულს გამოგიყოფთ.

ერთხელ რედაქციაში შემოვიდნენ ბატონი გერონტი და პოეტი დავით გაჩეჩილაძე. სავარძლებში ჩაბრძანდნენ. შემდეგ თავისებური წარმტაცი ღიმილით ბატონმა გერონტიმ მითხრა: ჭაბუკო, გავიგე, სერგო დანელიასათვის სათარგმნელად მიგიციათ არისტოტელეს „პოეტიკა“, უკეთეს მთარგმნელს „პოეტიკისა“ თქვენ ვერ იპოვით არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპაში. და გააგრძელა: — პირდაპირ მიკვირს, მთარგმნელობითი ხელოვნების ისეთ ტრადიციულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, „პოეტიკა“ არ ჰქონდა თარგმნილი. ამ თქვენმა ინიციატივამ ძალიან გამახარა და ამიტომ სპეციალურად მოვედით, რომ მადლობა გითხრათ მე და ბატონმა დავითმა.

„სახელმწიფო გამომცემლობაში“, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალსა და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში მუშაობის დროს ბატონი გერონტი, როგორც რედაქციის აქტიური თანამშრომელი, ჩვენი ხშირი სტუმარი იყო.

1938 წელს ვეწვიე ჩემს ყოფილ პროფესორს, მსოფლიოში ცნობილ ელინისტს, ბატონ გრიგოლ წერეთელს და ვთხოვე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციისათვის დაეწერა წერილი ბერძნული ტრაგედიის წარმოშობის შესახებ. ოჰ, შენ ჩემი ყოფილი სტუდენტი ხარ? — გაუხარდა მას და თანხმობა მომცა. მხოლოდ ის მითხრა, მოცულობას ნუ გამისაზღვრავო. არა, ბატონო გრიგოლ, არავითარი შეზღუდვა არ გექნებათ, რამდენ თაბახსაც დაწერთ, დავბეჭდავთ და შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოვცემთ-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ მან რედაქციაში მოიტანა წერილი ორი თაბახამდე და მითხრა, სანამ ამას გადაათარგმნინებდე, (რუსულად წერდა, ა. ს.) გაგრძელებასაც მოვიტანო. წერილის თარგმნა ვთხოვეთ ბატონ გერონტი ქიქოძეს, რომელმაც სიამოვნებით შეასრულა ჩვენი დაკვეთა. მაგრამ სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა იმ წერილის დაბეჭდვა. შემდეგ მე დამიჭირეს და წერილი რედაქციაში დარჩა.

რედაქციაში მუშაობის პერიოდში ხშირად ვიღებდი ბატონ გერონტი ქიქოძის პირად ბარათებს და ვინახავდი ჩემს არქივში, მაგრამ ჟამთა სიავის წლებში — დაპატიმრებისა და გადასახლების დროს, ბევრი საინტერესო ბარათი დაიკარგა, ხოლო უკანასკნელი ბარათები, რომელიც დაწერილია 1938-1939 წლებში, ჩემს დას თამარს, სოფელში წაეღო და მისი წყალობით გადარჩა.

გერონტი ქიქოძე ლიტერატურულ-ფილოსოფიური განსწავლულობით მოგვაგონებს იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ათონისა და სინას მთებზე დაუღალავად მოღვაწეობდნენ. ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი ფასი აქვს მის ყოველ წერილს, თუნდაც ეს უბრალო პირადი ბარათი იყოს. ამიტომაც, ვბედავ მათ გამოქვეყნებას.

ალექსანდრე,

გიგზავნი წერილს აკაკი წერეთლის შესახებ, რომელიც ამ ორი კვირის წინათ მწერალთა კავშირის პროზის სექციაზე წავიკითხე მოხსენების სახით. ჯერ არსად დაბეჭდილა, მაგრამ, იბეჭდება ჩემი წერილების კრებულში, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში (15-20) გამოვა. თუ გამოგადგება, დაბეჭდეთ. მხოლოდ მორიგ უახლოეს ნომერში. თუ დააგვიანეთ, ჩემი წიგნაკი მოუსწრებს და არ ივარგებს.

პატივისცემით
გერონტი ქიქოძე

29.IV. 1938

ალექსანდრე,

უფულოდ ვარ და, თუ თქვენი სალარო ცარიელი არ არის, გთხოვთ, ჩემი წერილის ჰონორარის ანგარიშში ავანსი გამომიწეროთ.

ამხანაგური სალმით
გერონტი ქიქოძე

3.IV. 1938

ალექსანდრე,

მე ეს წიგნი გავასწორე 39-ე გვერდამდე, იმ ადგილამდე, სადაც დიალოგი იწყება მსახიობ ქალსა და მსახიობ ვაჟს შორის. დანარჩენის რედაქციის გაკეთება, სამწუხაროდ, არ შემიძლია სხვადა სხვა, ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო. რუსული თარგმანი, როგორც იმ დღესაც გითხარით, ძალიან კარგადაა შესრულებული, ამიტომ შეგიძლიათ ისეთ რედაქტორს მისცეთ, რომელიც მარტო რუსულის მიხედვით შეასწორებს.

პატივისცემით
გერონტი ქიქოძე

17. XII. 1938

ალექსანდრე,

ეს მოგონება ეკუთვნის მხატვარ ალ. მრევლიშვილის ქალს, მაყვალას. მე მგონია თქვენი ჟურნალისათვის საინტერესო იქნება. მე უკვე შევასწორე სტილისტურად.

პატივისცემით
გერონტი ქიქოძე

15. VII. 1939

ბატონო საშა,

ამჟამად, სამწუხაროდ, სრულიად დრო არ მაქვს: ვმუშაობ სარედაქციო კოლეგიაში, რომელმაც ამხ. სტალინის კრებულის გამოცემას უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა; ამას გარდა, მეც დავალებული მაქვს რამე დავწერო ამ კრებულისათვის. ეს მუშაობა დეკემბრამდე გასტანს. ამიტომ, ამ წუთში ვერაფერს ვერ შეგპირდებით, მით უმეტეს, რომ სხვა ვალდებულებანიც მაქვს შესასრულებელი.

თქვენი პატივისმცემელი
გერონტი ქიქოძე

17.X. 1939

შენიშვნები

მესამე წერილში, სადაც ბატონი გერონტი ამბობს, „მე ეს წიგნი გავასწორე 39-ე გვერდამდეო“, ეხება ივანე მაჭავარიანის მიერ თარგმნილ დენი დიდროს ნაწარმოებს „პარადოქსი აქტიორზე“, რომელიც სარედაქციოდ გადავეცი ბატონ გერონტის.

ბოლო წერილში, სადაც ბატონი გერონტი მაცნობებს, რომ „ამჟამად, სამწუხაროდ, სრულიად დრო არა მაქვსო“, პასუხია ჩემს თხოვნაზე. მინდოდა დაეწერა ვრცელი წერილი ვალერიან გუნიასა და უშანგი ჩხეიძეზე.

ალექსანდრე სიგუა



ივანე მაჭავარიანი.



გრიგოლ წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა, რომელიც ყველამ უნდა გავიაროთ

**მარინე ჩიტაშვილი**

ბოლო ორი წლის განმავლობაში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ პერიოდულად იბეჭდებოდა თანამედროვე დიდი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის თამარ მეხნისეული თარგმანები. მართალია, პროფესიული თვალსაზრისით მე ვერ შევძლებ მთარგმნელის მუშაობის შეფასებას, მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო — ჩემთვის ორივე აღმოჩენა იყო: მწერალიცა და მთარგმნელიც. მწერალი თავისი ფსიქოლოგიური სიღრმითა და ზოგადადამიანური ტკივილებით, ხოლო მთარგმნელი განცდებისეული ენის საოცრად ფაქიზი წვდომით, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულენოვან ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, ორიგინალური იქნება ის თუ თარგმნილი, ძალზე მცირეა ისეთ ნაწარმოებთა რიცხვი, რომელთაც უშუალოდ შევყავართ განცდების სფეროში და სრულიად წარმოაჩენენ მათ განსხვავებულ ელფერს, თანაც ზუსტი სახელდებითა და დინამიკით. სწორედ ეს იყო ყველაზე უფრო მომხიბლავი.

გარკვეული ასაკის შემდეგ, როდესაც ყველაფერს კითხულობ, დგება პერიოდი, როდესაც აღმოაჩენ, რომ შენ უკვე კითხულობ „ვიწრო სპეციალობით“ — მაგალითად, ან მარტო ფანტასტიკას, ან მარტო დეტექტივებს, ან მარტო რომანებს და ა. შ. ჩემი სპეციალობის გავლენით მეც მოვექეცი ასეთ ჩარჩოში და ველარ ვკითხულობ არაფსიქოლოგიურ ნაწარმოებებს. მართალია, ყველა ნაწარმოებს აქვს განვითარების თავისი ფსიქოლოგიური ხაზი, მაგრამ აქ ვგულისხმობ პიროვნებისა თუ საზოგადოების სიღრმისეული შრეების გახსნას და ანალიზს, სვლას საკუთარ თავში, გზას, რომელიც ყველამ უნდა გავიაროთ თვითშემეცნებისაკენ და არა იმ გზას, ქრონოლოგიური ასაკი რომ ჰქვია მხოლოდ.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგი კარლ გუსტავ იუნგი წერდა: „ისე, როგორც ბიოლოგს სჭირდება შედარებითი ანატომიის ცოდნა, ასევე ფსიქოლოგიც ვერას გახდება „ფსიქიკის შედარებითი ანატომიის“ გარეშე“. იუნგის კონცეფციის მიხედვით ორ დალს ვერსად გაექცევა ადამიანი — საკუთარ სქესსა და მშობლიურ ენას, თითოეული ადამიანი სამყაროსა და საკუთარ თავს იაზრებს იმ ძირეული ხაზებისაგან, რომელიც მას გააჩნია, როგორც ერთ-ერთ სქესს მიკუთვნებულ პირსა და ერთ-ერთ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდს. ადამიანის მსოფლაღქმაც ამ ორი საწყისიდან მოდის: სქესი მას სამყაროში სხეულის „ადგილს განუსაზღვრავს, ხოლო ენას ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ მიჰყავს. შესაბამისად, ყველა ადამიანი გაივლის საკუთარი განვითარების გზას, რომელსაც პიროვნებად ჩამოყალიბება ჰქვია. ყველას თავისი, მხოლოდ მისთვის კუთვნილი და უნიკალური გზა აქვს გასავლელი, თუმცა ამ გრძელ გზაზე თითოეულ ჩვენთაგანს უცილობლად ხვდება ცხოვრების ის უზოგადესი ქვაკუთხედი, რომელთანაც, გვინდა არ გვინდა, უნდა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ. მე და თქვენ, თქვენ და ისინი, ყველანი უნიკალურები, განუმეორებლები ვართ, მაგრამ რადგან ადამიანთა მოდგმას ვეკუთვნით, ყველას გვაქვს გასააზრებელი შემდეგი ცნებები: მე, დედა, მამა, წინაპრები, ქალი, კაცი, გზა, სიცოცხლე, სიკვდილი, ომი, სიყვარული, ჭეშმარიტება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, დრო და ბევრი სხვა რამ. ბევრი, მაგრამ არა უსასრულო რაოდენობა. კაზანძაკისიც აშიშვლებს საკუთარ სულს და ჰყვება აღსარებას („აღსარება გრეკოსთან“), საიდან მოვიდა და ვინ ჰყავდნენ წინაპრები. მამა, დედა, ძე (თვითონ) და მერე გზა ერთი ადგილიდან მეორისაკენ, საკუთარი დანიშნულების შეცნობისაკენ, საკუთარი სულის ქექვისაკენ. ბოლოს დაბრუნება ისევ საწყისთან, მამაპაპეულ სახლსა და კერაზე. წრის შეკვრა და მარადიულობაში გადასვლა.

„ყველა ხე თაყვანისცემის ღირსია, რამეთუ ყველა ხისგან შეიძლება ჯვარის გაკეთება. ასევე ყველა სხეული წმინდაა, რამეთუ ყველა სხეულისაგან შეიძლება ქამანის გაკეთება. მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუბრალებელი, უმლებ ხელთა ქამანი ვიყავი. რამდენჯერ დაძაბეს, გადაძაბეს უხილავმა ხელებმა ქამანი და ვხედავდი, როგორ იმსხვრეოდა, ღრჭიალებდა იგი. დაე, დაიმსხვრას! — ვყვიროდი. ნაბრძანები მქონდა ბაბუ, რომ ამომერჩია და ავირჩიე.

ავირჩიე. ახლა კი ოხშივარი ასდის ვაზშამს ბორცვებზე. გაიზარდნენ აჩრდილები? ჰაერი მკვდრებით აივსო, ბრძოლა მთავრდება. გავიმარჯვე? დავმარცხდი? მხოლოდღა ეს ვიცი: დაფარული ვარ ჭრილობებით და ვდგევარ გამართული.

გული მთლად ჭრილობებით მაქვს დასერილი. ყველაფერი გავაკეთე, ბაბუ, რაც შემეძლო. უფრო მეტიც, როგორც დამავალე. და ახლა, როცა დამთავრდა ბრძოლა, მოვდივარ, რათა განვისვენო შენს გვერდით, რათა მიწად ვიქცე შენს გვერდით, რათა ორთავე ერთად დაველოდოთ მეორედ მოსვლას.

ვეამბორები ხელს შენსას, ვეამბორები შენს მხარს მარჯვენას, ვეამბორები შენს მხარს მარცხენას.

კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა ბაბუ!“ (ნ. კაზანძაკისი „აღსარება გრეკოსთან“).

მეოცე საუკუნის დასავლურ კულტურას უდიდესი კვალი დაამჩნია და შეიძლება ითქვას, გარკვეული მიმართულებაც კი მისცა საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულმა ფსიქოლოგიურმა თეორიამ, რომელიც ფსიქოანალიზის სახელით არის ცნობილი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სიტყვა „ფსიქოანალიზი“ ნიშნავდა (და, სამწუხაროდ, დღესაც ნიშნავს) უზნეობის გამმართლებელ მეცნიერულ თეორიას, რომელსაც ადამიანურ ყოფასთან კავშირი არა აქვს. როგორც ყველგან, აქაც დილეტანტიზმის ღრმა და ძლევამოსილი საცეცები იგრძნობა, ფსიქოანალიზის ამგვარი გაგება მისი ცრუ ინტერპრეტატორების ნააზრევია და რეალურ თეორიასთან მხოლოდ ერთი რამ აკავშირებს: ერთხელ კიდევ ასაბუთებს ფსიქოანალიზის მიერ შემოტანილი პროექციის მექანიზმს — ყველა ხედავს იმას, რისი დანახვაც შეუძლია და უნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ეშინია საკუთარი მე-ს სოციალური შეფასების დაკნინებისა, ამიტომ დიდი წარმატებით მიაწერს სხვას, მეორეს, თავის ნაფიქრ-ნააზრევს. სწორედ ამდაგვარმა მექანიზმმა იმუშავა ფსიქოანალიზის შეფასებისასაც. მას უამრავი სალანძღავი იარლიყი მიაწებეს და საბოლოოდ აკრძალეს კიდეც მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზის გამო: ფსიქოანალიზს ადამიანთან აქვს საქმე და ადამიანი აინტერესებს. აანალიზებს მას, ეხმარება მას საკუთარი მისწრაფებების გარკვევაში და აძლევს საშუალებას შეგნებული არჩევანი გააკეთოს. შეგნებული არჩევანის გაკეთება მხოლოდ პიროვნებას შეუძლია, ხოლო პიროვნებასთან ურთიერთობა უკვე აღარ შეიძლება და ვეღარც ხერხდება მხოლოდ იმ გაუცნობიერებელი ლტოლვების ხარჯზე, რომლებიც ადამიანს აქვს. შესაბამისად, პიროვნება არ იმართება მექანიკურად სხვის მიერ. მან უკვე იცის, გაცნობიერებული აქვს საკუთარი შინაგანი სამყარო და თვითონ მართავს მას თავისი სურვილისდა მიხედვით და შესაბამისად თავისუფალია. თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემა, პიროვნება, სიყვარული, შიში, აგრესია, დრო, ისტორია — აი, რა არის ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები და არა ის, რასაც მავანნი მიაწერენ.

ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედება კი საკუთარი თავის შემეცნებაა იმის გარკვევით, თუ რა ადგილი უკავია თითოეულ ამ ცნებას მასში. იგი საჯაროდ აშიშვლებს თავის ყოფას (სულსაც და სხეულსაც, რადგან ადამიანური ყოფა ორივეს ერთდროული და ერთ მთლიანში არსებობაა. ცალ-ცალკე თითოეული მათგანი ადამიანის ცნებას ვერ ამოწურავს) და ერთხელ კიდევ გადის მთელ ისტორიას, საკაცობრიოსაც და ინდივიდუალურსაც. ამით ის იუნგის თანამოაზრეა. კაზანძაკისიც ხედავს თავის თავში ჯვარისა და წინაპრების მიკუთვნებულობას, კავშირებს მთელ სამყაროსთან, თავის ინდივიდუალურ სახეს, დამოკიდებულებას უზენაესთან და დროს; დროს, რომელსაც ჰქვია აწვეამყამად ანუ ამ წუთს, ანუ აწმყოს, რომელიც ერთად კრავს წარსულს და მომავალს და მარადიულობას მოაქცევს წამში.

„ბნელი უფსკრულიდან მოვდივართ, ბნელ უფსკრულში ვუჩინარდებით. მათ შორის არსებულ განათლებულ მონაკვეთს სიცოცხლეს ვეძახით...

იბრძვის ორი ნაკადი წარმავალ ცოცხალ სხეულში: ა) აღმართი, შეკოწიწებისაკენ, სიცოცხლისაკენ, უკვდავებისაკენ. ბ) დაღმართი — რღვევისაკენ, მატერიისაკენ, სიკვდილისაკენ“ (ნ. კაზანძაკისი „ასკეზა“).

ჰყვება კაცი თავის ამბავს და შენდა უნებურად გიჩნდება თანაზიარობის განცდა. ამ აღმართ-დაღმართს ებრძვის თითოეული ჩვენგანი და ცდილობს გაიაზროს, რა არის სიცოცხლე. თავისთვის მაინც დაალაგოს პასუხები სამ უმარტივეს და ურთულეს კითხვაზე: რა შემიძლია ვიცოდე მე, რა უნდა გავაკეთო მე და რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე. კაზანძაკისი არ იძლევა მზამზარეულ რეცეპტებს, არავის ახვევს თავს მის მიერ განცდილსა თუ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ის უბრალოდ ჰყვება და მიდის.

ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედება უაღრესად თანამედროვეა. იგი მთლიანად არის განმსჭვალული ადამიანური პრობლემატიკის ფსიქოლოგიური ხედვით. მისი ნაწარმოებები მკითხველს ასწავლიან დაინახოს საკუთარი თავი, გაერკვეს რეალურ ფსიქოლოგიურ პრობლემატიკაში, თავის თავს მისცეს პიროვნული ზრდის უფლება. სწორედ ამიტომ კაზანძაკისის ქართულად ამეტყველება ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იქნება შინაგანი განთავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მთარგმნელის ოსტატობა. ნაწარმოები იკითხება ერთი ამოსუნთქვით. არსად არ იგრძნობა ქართული ენის შინა ფორმის მცირე დარღვევაც კი და ზუსტად გადმოცემა გრძნობათა სამყაროს სიჭრელე და ფერადოვნება. საერთოდ არ იგრძნობა, რომ ეს ნაწარმოები რომელიმე სხვა ენიდან არის თარგმნილი.





მთა-თუშეთი.

ამირან არაბულის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ ნაბოკოვი

# ფერილი რუსეთში



ჩემო შორეულო და მშვენიერო მეგობარო, ალბათ არაფერი დაგვიწყებია. თუმცა რვა წელიწადი გავიდა. იქნებ მეტიც... ალბათ გახსოვს ლაჟვარდისფერ ლივრეებში გამოწკეპილი ჭალარა დარაჯები, ხრულებითაც რომ არ გვიშლიდნენ ხელს, როცა (იყო ასეთი დროც!) ერთმანეთს ვხვდებოდით პეტერბურგის ყინვიან დილას, პატარა, მტვრიან, სათუთუნეს მსგავს სუვოროვის მუზეუმში. რა დიდებული იყო ჩვენი ამბორი ცვილის გრენადერის ზურგს უკან! მერე კი, როცა გამოვდიოდით ამ ძველებური ბინდბუნდებიდან, რარიგ გვდაგავდა თავრიზის ბაღის ვერცხლისფერი ალი, გვახალისებდა ომახიანი, თავმომწონე შეძახილები ჯარისკაცისა, ფეხი რომ უცურდებოდა მოლიპულზე და გამეტებით ურჭობდა ხიშტს ჩალით გამოტენილ ფიტულს!

უცნაურია: წინა წერილში ვეცადე არ გამეხსენებინა წარსული, განსაკუთრებით მისი წვრილმანები. ჩვენ, მწერლები, სიტყვის მიმართ ხომ ამაღლებულ მოკრძალებას უნდა ვიჩენდეთ. მე კი, პირველივე სტრიქონებიდან, არად ვაგდებ ულამაზესი არასრულყოფილების უფლებას და ეპითეტებით ვაყრუებ მოგონებას. არა, აღარ მსურს წარსულზე საუბარი.

ახლა ღამეა. ღამით ძალუმად გრძნობ საგანთა უძრაობას — ლამფის, ავეჯის, ძველი პორტრეტების, ხანდახან, კედელს მიღმა, წყალსადენში ახლუკუნდება წყალი, თითქოს სახლს ყელზე მოადგაო. ღამით ხასეირნოდ გავდივარ. ნესტიან, შავად მოელვარე ბერლინურ ასფალტზე მიედინება ფარნების ანარეკლები. ასფალტის ნაკეცებში — გუბეები. სახანძრო სიგნალის ყუთის ქვეშ ბროწეულისფრად ციმციმებს შუქი. სახლები — როგორც ნისლები. ტრამვაის გაჩერებაზე დგას მინის ბოძი, რომლიდანაც ყვითელი შუქი ილვრება... და რატომღაც საოცრად კარგად და სევდიანად ვგრძნობ თავს, როცა, გვიან ღამით, მოსახვევში წივილით ჩაიქროლებს ტრამვაის ცარიელი ვაგონი, რომლის ფანჯრებს მიღმა მკაფიოდ მოჩანს განათებული ყავისფერი ფარდულები და მათ შორის, მოძრაობის საპირისპიროდ, ბორძიკით მიმავალი მარტოხელა, შემთვრალი მარტოხელა კონდუქტორი — შავი პორტფელით.

ჩუმ, ბნელ ქუჩაში ხეტიალისას ყურს ვუგდებ, შინ როგორ ბრუნდება ადამიანი. ის არ ჩანს სიბნელეში, თანაც წინასწარ ვერ ხვდები, რომელი სადარბაზოს კარი გამოცოცხლდება, ფართოდ გაიღება, ცოტა ხნით გაიტრუნება და გაჯახუნდება. მერე ისევ გასაღები აჩხაკუნდება, ოღონდ შიგნითა მხრიდან და სადღაც სიღრმეში, კარის შუაში ერთი განუმეორებელი წამით გაკრთება მხურვალე შუქი. მიჰქრის ავტომობილი ბოძების სველ, მბრწყინავ ანარეკლებზე, — თავად შავი, ლი შუქის ქვეშ გაივლის, შავი ქოლგის ერთი ნაწილი მეწამულად ილებება.

მოსახვევს იქით კი ბრილიანტებად ციმციმებს კინემატოგრაფის კედელი — სწორკუთხოვან, მთვარესავით ნათელ ტილოზე — მეტნაკლებად გაწვრთნილი ადამიანები. და აი, ტილოდან ახლოვდება, იზრდება, ბნელ დარბაზში იცქირება ქალის უშველებელი სახე — შავი ტუჩებით, ნაცრისფრად მოციმციმე თვალებით, გლიცერინის მომხიბვლელი ცრემლით. ზოგჯერ კი გამოჩნდება, — და ეს, რა თქმა უნდა, ღვთაებრივია, — თავად ცხოვრება, რომელმაც არ იცის, რომ სწორედ მას იღებენ.

მოშორებით, მოედნის კუთხეში შავქურქიანი, მაღალი, მსხვილი მეძავი ზანტად მისეირნობს. დროდადრო ჩერდება ურცხვად განათებული ვიტრინის წინ, სადაც ლოყებღაჟღაჟა ცვილის ქალბატონი ღამეულ მგზავრებს უჩვენებს თავის ზურმუხტისებრ ჩამოღვრილ კაბას, ატმისფერი წინდების მბზინავ აბრეშუმს. უწყინარი კმაყოფილებით ვუმზერ ხოლმე, ამ მშვიდ, ხანმორეულ მაცდურს ფანჯრებს ქვემოთ ყვითელი ზოლით, — ხრიანწიანად ღიღინებს ღამის ყურში და ქვაფენილზე ჩრდილს მიაგელვებს. უკვე მთლად უკაცრიელია ქუჩა. მხოლოდ ერთი ხანშიშესული, უქუდო მამაკაცი უხალისოდ მიუძღვება სანდომიან, მაგრამ უსიცოცხლო, ქოლგიან ქალიშვილს. როცა ეს ქალი სახანძრო სიგნალის წითეროგორ ეკეკლუცება შავქურქიანი ახალგაზრდა ულვაშა ვაჟბატონი, დილით ჩამოსული პაპენბურგიდან. ის ქალს აუჩქარებლად წაიყვანს ავეჯით გაწყობილ ოთახებში ერთ-ერთი სახლისა, რომელსაც დღისით ვერაფრით გამოარჩევ სხვა სახლებისგან — ასევე ჩვეულებრივებისაგან. შესახვლელ კართან ღამეს დარაჯობს გულგრილად თავაზიანი მეკარე. მეხუთე სართულზე კი მოხუცი ქალი ბრძნულად გააღებს თავისუფალი ოთახის კარს, მშვიდად ჩაითვლის ფულს.

იცი, რა დიდებული გრუხუნით გადარბის ხიდზე განათებული, მთელი თავისი ფანჯრებით მოხარხარე მატარებელი? ის ალბათ გარეუბნებს აღარ სცილდება, მაგრამ ამ შავ წყვდიადში მისი ფოლადისებური მუხიკა ისე ილვრება, რომ უნებურად მახსენდება თბილი ქვეყნები... საითკენაც გავწევ, როგორც კი ზედმეტ 100 მარკას ვიშოვი.

იმდენად უდარდელი ვარ, რომ ხანდახან ვუცქერი ხოლმე, როგორ ცეკვავენ აქაურ სამიკიტნოებში. აქ ბევრი ალშფოთებით (და ამაში უთუოდ არის ფარული კმაყოფილება) გაჰყვირის მოდურ სისაძაგლეებზე, კერძოდ, თანამედროვე ცეკვებზე. რა არის მოდა? ადამიანთა შემოქმედების ნაყოფი, გარკვეული დონე, „დიდებული“ კოლექტიურობა. მისი ლანძღვა ნიშნავს აღიარებას, რომ ადამიანს შეუძლია შექმნას ისეთი რამ (იქნება ეს სახელმწიფო მმართველობის ფორმა თუ ახალი ვარცხნილობა), რაზედაც ღირდა ხმაურის ატეხვა. და, რა თქმა უნდა, ჩვენი ეს თითქოსდა მოდური ცეკვები სინამდვილეში სულაც არ არის ახალი. მოდა საუკუნეების მიღმა სუნთქავს: კრიპოლინის გუმბათი — ჩასუნთქვა ერთი, მერე ამოსუნთქვა — ვიწრო ქვედატანები, მჭიდრო ცეკვები. ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ნაირნაირი ცეკვები ძალზე უშუალო და საკმაოდ მოკრძალებულია, ხანდახან კი — ლონდონის სადღესასწაულო დარბაზებში — საოცრად ნატიფი თავისი ერთფეროვნებით. პუშკინმაც ხომ ასეთი რამ თქვა ვალსზე: „ერთფეროვანი და შეშლილი“. რაც შეეხება ზნეობის დაცემას... იცი, რა ვიპოვე ბატონი დ'აგრიკურის ჩანაწერებში? „არაფერი მინახავს უფრო გარყვნილი, ვიდრე მენუეტია, რომელსაც ახლა ჩვენთან ცეკვავენ“. აქაურ სამიკიტნოებში მე მიყვარს ჭვრეტა წყვილთა, უბრალო, ზალისიან მზერათა, იდუმალებათა... კარს მიღმა კი — ჩემი ერთგული, მარტოხელა ღამე, სველი ანარეკლები, ავტომობილების ხმები, ქარი.

ასეთ ღამეს, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე, შორს ქალაქიდან, ახლად გარდაცვლილი მეუღლის საფლავზე თავი მოიკლა 70 წლის დედაბერმა. დილით შემთხვევით აღმოვჩნდი იქ. დარაჯმა, საბრალო ზეიბარმა მაჩვენა თეთრი საშუალო ზომის ჯვარი, რომელზედაც ჟავი ჩამოუხრჩვია მანდილოსანს. მიმხმარი ყვითელი ძაფები. („ახალია“ — თქვა მშვიდად). იდუმალი და მშვენიერი იყო ნამგლისებური ნაფეხურები, დედაბრის პატარა ფეხსაცმლებს რომ დაეტოვებინა. „ცოტა უწვალია. ისე, სუფთად...“ — შენიშნა დარაჯმა წყნარად. და რომ დავხედე თოკს, პაწაწინა ნამგალა ღრმულებს მიწაზე, მივხვდი, რომ არის სიკვდილში ბავშვური ღიმილი.

შეიძლება ამ წერილსაც მხოლოდ იმიტომ გწერ, რომ მოგითხრო მსუბუქ და ნაზ სიკვდილზე. ასე გადატყდა ბერლინის ღამე.

გეხმის, მე ბედნიერი ვარ. ჩემი ბედნიერება — გამოწვევაა. ქუჩებში ხეტიალისას — მოედნებზე, არხის გასწვრივ, სანაპიროებზე — ვგრძნობ სინესტის ტუჩებს. სიამაყით ვატარებ ჩემს აუხსნელ ბედნიერებას. ჩაიქროლებენ საუკუნეები. მოსწავლეები მოიწყენენ ჩვენს განცვიფრებებზე, ჩვენი ამბების კითხვით. ყველაფერი ჩაივლის, ყველაფერი... მაგრამ ჩემი ბედნიერება დარჩება ფარნის მკრთალ ანარეკლში, ქვის კიბეების მოულოდნელ მოსახვევში, არხის პირქუში წყვდიადისაკენ რომ მიემართება, მოცეკვავე წყვილის ღიმილში, ყველაფერში, რითაც ღმერთი ასე უხვად ამკობს ადამიანურ მარტოობას.

თარგმნა
ხათუნა მზარეულაშ

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

# არა „რაციო“, არამედ სიცოცხლე




ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მკვლევარ თამაზ ბუაჩიძეს XIX-XX საუკუნეების დასავლური ფილოსოფიის შესწავლის საქმეში, კერძოდ, — მისი გამოკვლევები თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ფუძემდებლების — არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშეს, სიორენ კირკეგორის და სხვათა შესახებ.

ახლახან გამოვიდა თამაზ ბუაჩიძის ახალი ნაშრომი „სიცოცხლის ფილოსოფია“ („მეცნიერება“, 1991 წ.) რომელშიც განხილული და შეფასებულია ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი ფილოსოფიური მიმდინარეობის — სიცოცხლის ფილოსოფიის — წარმომადგენლების ვილჰელმ დილთაისა და ოსვალდ შპენგლერის ფილოსოფიური ნააზრევი.

სიცოცხლის ფილოსოფია, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფიურ მიმართულებად ითვლება. როგორც ავტორი მიუთითებს, ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები წინამორბედთაგან განსხვავებით აღიარებენ, რომ სამყაროს პირველფენომენია არა „გონება“, „რაციო“, არამედ სიცოცხლე — თავისი მარადიულობითა და მოძრაობით. სიცოცხლეზე დაყრდნობით უნდა გადაიჭრას ყველა ფილოსოფიური პრობლემა, ამოიხსნას სამყაროს ყოველგვარი საიდუმლო.

სიცოცხლის გაგება სიცოცხლიდან — ასეთია ამ ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი თეზისი. სიცოცხლის წვდომა შეუძლია არა ინტელექტს, განსჯას, არამედ ცოცხალ განცდას, ინტუიციას, თვითონ სიცოცხლეს.

ცალმხრივი ინტელექტუალიზმის უარყოფის გზით სიცოცხლის ფილოსოფიას მიეცა შესაძლებლობა ღრმად ეკვლია სამყაროსა და ადამიანის ისეთი სფეროები, რომელთაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა — სფერო ირაციონალურისა, არაცნობიერისა, „დიონისური“ ლტოლვებისა.

შემდეგ ავტორი დეტალურად განიხილავს ვ. დილთაისა და ო. შპენგლერის ფილოსოფიურ შეხედულებებს, აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს მათ ნააზრევს. მკითხველს ზოგადი წარმოდგენა რომ შეექმნას ნაშრომის ძირითად პრობლემატიკაზე, ჩამოვთვლით იმ საკითხებს, რომელთაც განიხილავს თამაზ ბუაჩიძე: „დილთაის ფილოსოფიის ძირეული ასპექტები“, „დილთაის მოძღვრების გნოსეოლოგიური წანამძღვრები“, „ახსნა და გაგება“, „გონისმეცნიერებათა ძირეული თავისებურება“, „აღწერითი და დამანაწევრებელი ფსიქოლოგიის იდეა“, „გაგება და ობიექტური გონი. სად უნდა ვეძებოთ „ქართული“?, „გაგება და ჰერმენევტიკა“, „დილთაი. ჰერმენევტიკის პრობლემების წინაშე“, „ისტორია, ადამიანი, ისტორიული გაგება“, „სიცოცხლის კატეგორიები“, „მსოფლმხედველობა და ფილოსოფია“, „დილთაის ფილოსოფიური მოძღვრების შეფასება“; „შპენგლერი, როგორც წინასწარმეტყველი“, „ბუნება და ისტორია“, „მსოფლიო ისტორიის მორფოლოგია“, „ისტორიის ტრადიციული გაგების კრიტიკა“, „კულტურის ჰაბიტუსი და ჰომოლოგიის პრინციპი“, „კულტურა და ცივილიზაცია. ევროპის აღსასრული“, „შპენგლერის მოძღვრების ძირეული ნაკლი. ეროვნული გონი და ეროვნული კულტურა“.

რთული ფილოსოფიური პრობლემატიკის მიუხედავად, ავტორი ახერხებს ნათლად, გასაგებად გააშუქოს განსახილველი საკითხები და, ამდენად, მსჯელობის საგანი არასპეციალისტთათვისაც მისაწვდომი გახადოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ ზოგად პრობლემაზე საუბრისას ავტორი შესაძლებლობას არ უშვებს, კონტექსტის გათვალისწინებით, ჩართოს ქართული ფენომენი, ქართული სული. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საუბარი ეხება კულტურას, „გონით შემოქმედებას“. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „ეროვნული გონი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თავისებური მსოფლგაგებაა. ეს მსოფლგაგება თავადაა შემოქმედების ნაყოფი და ამავე დროს თავად ხდება ეროვნული გონის მიერ შექმნილი ყოველი ფენომენის ღრმა ნათესაობის საფუძველი. უფრო სწორად: ეს მსოფლმხედველობა იქნება არა ამ ფენომენებისაგან განცალკევებით, არამედ მათში და მათი წყალობით, ამ ფენომენების, პირველ ყოვლისა, ენის შემოქმედების პროცესში.

ქართული კულტურა არის ქართული გონი, ქართული მსოფგაგება, — ეს ერთი „მომცველი“, — განხორციელებული გონით ფენომენებში — ენაში, ზნე-ჩვეულებებში, ხელოვნებაში, მითში, სარწმუნოებაში, სახელმწიფოწყობაში და ა. შ. ერი ორგანული მთელია, მისი ნაწილები გარეგნულად კი არ არიან „მიწებებული“ ერთმანეთთან, არამედ ერთი საერთო წყაროდან — ეროვნული გონიდან — არიან წარმომდგარნი. პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ერთი გონი — ერთი მსოფლგაგება — აძლევს მთლიანობას ერს, ეროვნულ კულტურას, ყოველი ერი არის შემოქმედისა და ქმნილის, natura naturans-ისა და natura naturata-ს ცოცხალი ერთიანობა.

„გაწვრთნილი“ თვალი ადვილად შეამჩნევს საერთოს — ეროვნულს — რომელიმე კულტურის განსხვავებულ ფენომენებში, იგრძნობს მათ ღრმა შინაგან ნათესაობას. ეს ვითარება შესანიშნავადაა გამოთქმული გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებში:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას
ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

ვინც წვდება ჩუქურთმის ქართულ სულს, მისთვის ღიაა კარი ქართული ლექსისა, ქართული სიმღერისა, ყოველივე იმისა, რაშიც ცოცხლობს „ქართული“.

**უჩა შერაზადიშვილი**

# დრო — უწყვეტი მეტაფორა




ომარ თურმანაული ის პოეტია, რომელიც, როგორც იტყვიან, არ სდევს ჟამთა ცვლას, მისთვის არ არსებობს დროის სოციალური განზომილებანი, მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ დრო, დროის გაგებაა ის უმთავრესი რამ, რითაც მისი პოეტური წარმოსახვა საზრდოობს; დრო მისთვის სულიერ-ფიზიკური არსებობის მკაცრი რეალობაა, რომელსაც ისევე იძულებით უნდა შეეგუო, როგორც სიკვდილის აჩრდილს.

ძველ ქართულ მწერლობაში არის ასეთი ცნება — „წურთაი სიკვდილისაი“, რაც გულისხმობს სიკვდილთან შეჩვევას, ადამიანის შემზადებას იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ შეხვდეს ფიზიკური გაქრობის დაუფარავ პერსპექტივას და განიბრძნოს, ანუ ისწავლოს ცხოვრება. „წურთაი სიკვდილისაის“ მოტივი ძალზე ნიშნეულია იმ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებისათვის, რომლებსაც პირობითად 80-იანელთა თაობას ვუწოდებთ. ამ თაობის ბევრმა წარმომადგენელმა შეითვისა უახლოეს წინამორბედთა სევდიანი მედიტაციები და თავის მხრივ იმდენად გაამუქა პოეტური მეტყველების ეს ტრადიციული ტონალობა, რომ ტრაგიკული ოპტიმიზმის განცდაც კი წაშალა. სამაგიეროდ ეცადნენ სათქმელი და განწყობილება, ზედმიწევნით უბრალოდ და გულწრფელად გადმოეცათ. ასე დამკვიდრდა მათ ლექსებში დაისური განწყობილებები, დინჯი დაფიქრება, მდორე რიტმი, ყოველწამიერი დაეჭვება, დაუამებელი ტკივილი, შიშნარევი ბედნიერება და ტრაგიკული ღიმილი, სიკვდილის აჩრდილი და სიკვდილზე უფრო უარესი — დროის განცდა.

ომარ თურმანაული თავისი თაობიდან მოდის, ოთხმოციანი წლების თაობიდან, რომლისთვისაც უცხო არ არის არც „დაკარგული დროის ძიების“ სიმწარე და არც საკრალურ ოცნებასთან მიახლოების ბედნიერება, მაგრამ მაინც ერთგულია იმ გზისა, რომელიც მას მემკვიდრეობით თუ განგებით ერგო.

„წუთისოფელიც სხვა რა არის, თუ არა მხოლოდ იმ წუთების ერთობლიობა, რომლებიც ჩვენ გვამახსოვრდება?.. მე წუთებმა გამაძევეს ჩემი აკვნიდან, აკვანი ჰიებს მიუგდეს და დაახვრევინეს, აკვნის სანაცვლოდ მყუდრო და ყრუ კუბოს დამპირდნენ და გამიშვეს, რომ მეპოვა ჩემი სიკვდილი. და ვდგავარ თუ მივდივარ, წუთებს ვაგროვებ, სანამდე იმ წუთს არ ვიპოვი, რომელიც მე სიკვდილს მიმალავს“ — იტყვის პოეტი ომარ თურმანაული, რომელიც სამყაროს წესრიგიდან განდევნილი წარსულში დახეტიალობს, როგორც მარადი მგზავრი, რომელმაც იცის, ველარც გარდასულ დროში მიაგნებს აღთქმული ქვეყნის ნაპირებს, რადგან წერამწერელმა დაბადებითვე გადაუწყვიტა ყარიბის ბედი, მაგრამ მაინც მშვიდად მიიწევს სადღაც არსაით, — შეჩვენებული აჰასფერივით.

დრო მისთვის მხოლოდ საგანია — წვიმა, ცრემლი, ბალახი, ხე, ფეხვები, მზე, მიწა, სახლი, ხელები, თვალები... ამ ხსოვნის საგნებისაგან დრო-სივრცის ასოციაციური ჯაჭვი კი არ იკვრება, არამედ ყოველი საგანი ცალ-ცალკე, თავისთავად არის მარადისობა. დრო არსებობს თვით პოეტში, რომლისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს, საიდან და როდის იწყება ეს დრო, საით მიედინება, წარსულიდან მომავალში, თუ მომავლიდან წარსულში, ის ერთი მთლიანობაა — გამოხატული წამში, გაელვებაში. წამი მარადისობის ნაწილიცაა და თავად მარადისობაც. „ხსოვნის საგანში“, როგორც წამში, ერთიანდება წარსულიც და მომავალიც — ბავშვობაც და სიბერეც, გარდაცვლილი სიყვარულიც და მისი გაცოცხლების მარად ამაო ოცნებაც.

„...წუთისოფელი კი არც დღეა და არც ღამეა, წუთისოფელი არის მარადისობის წუთი და ნაწილ-ნაწილ, დღედ და ღამედ, ცრემლ-ღიმილად გადმოდის ჩემში. მარადისობის იმ ერთ წუთში ერთად არიან ბავშვობაც და სიბერეც ჩემი, ერთად არიან ჩემი შვება და მწუხარება. მარადისობის იმ ერთ წუთში იმდაგვარი სივიწროვეა, რომ ერთი გვერდი საერთო აქვთ ჩემს ღარიბულ, თელის ხისგან გამოთლილ აკვანს, და ჩემს მდიდრულ, მუხის ხისგან გამოთლილ კუბოს — ჩემს აკვანს უზის დედაჩემი და ენას მიჩლექს, ჩემს კუბოს — ჩემი ცოლ-შვილი, და ზედ დამტირიან... ხოლო აქ, ამ წუთისოფელში, არც წარსულია ჩემთან და არც მომავალი, აქ მუდამ აწმყოს ერთი წუთის ანაბარა ვარ და იგიც ისე მოულოდნელად მოდის და მიდის, რომ სანამ მე გონზე მოვალ, აღარ არსებობს...“

ომარ თურმანაულის ლექსების ლირიკული გმირი თავისი ფიქრების ბაროკამერაში ცხოვრობს, გარესამყაროს მხოლოდ ფიქრით ან მდუმარე მზერით ეხება, არსებითსა და ნამდვილს, სადღაც გარეთ, შეუღწევად საგნებში ეძებს, თუმცა, უმალ თავადვე ხვდება, რომ ეს მხოლოდ „მედიტაციური“ თამაშია, ლანდებით თავის შექცევაა, ვინაიდან ის საგნებიც ისეთივე ეფემერაა, როგორც უდიდესი ქიმერა — დრო.

„ვეფერებოდით ერთ-ურთის ლანდებს და არარსებულ ზღვის წყალში ვბანდით. ჩვენ არსებობით არ ვგავდით ერთურთს, ერთმანეთს არარსებობით ვგავდით: გვეჩვენებოდა, მზე გვწვავდა ვითომ... გვეჩვენებოდა, გვიყვარდა ვითომ... გვეჩვენებოდა, თითქოს ვიყავით... თითქოს ზღვა იყო... თითქოს მზე იყო“.

ომარ თურმანაულის ლექსების თემატიკა ერთი შეხედვით მრავალფეროვანია, — სიყვარული, სიკვდილ-სიცოცხლე, გაზაფხული, პოეზია, ბავშვობის სურათები, ცოდვა, ურბანიზმი და ა. შ., — მაგრამ თუკი ოდნავ მაინც დავაკვირდებით, გამოჩნდება, რომ ამ ლექსების თემებად დალაგება შეუძლებელია, ვინაიდან ისინი ერთი განწყობილებითაა დაწერილი და ერთ საერთო აზრობრივ-ინტონაციურ მოტივზეა აგებული, სათქმელიც ერთი აქვს — მთავარი — „ფიქრია ჩემი ცხოვრება, ფიქრის გარდა სხვა ცხოვრება არ მაქვს“.

კრიტიკოსმა შეიძლება ბევრი ღირსება გამოძებნოს ომარ თურმანაულის ლექსში, — ეს იქნება საინტერესო პოეტური დეტალი თუ ლექსის სტრუქტურული მთლიანობა, დამაჯერებელი მხატვრული ლოგიკა თუ განცდათა ზუსტი კონკრეტიზაცია, ზომიერი ემოციური ტონალობა თუ პოეტური მეტყველების სხვა მხარეები, მაგრამ, ვფიქრობ, უმთავრესი მაინც ისაა, რომ იგი ძალზე გულწრფელი და მართალია მკითხველის წინაშე. იმ ლექსებშიც კი, სადაც მხატვრული ქსოვილი აშკარად სუსტია, მაინც მოჩანს პოეტური განცდით ნაზარდი ფიქრის ოსტატის სილუეტი.

პოეზიაზე მსჯელობა არა თუ ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელი საქმეა. ირაციონალურის სფეროში რაციონალურის გზით ვერ შეაღწევ. ეს ათასგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა. თუ არ ვცდები, გოეთეს უთქვამს ერთხელ, მეყო აგდენი მსჯელობა პოეზიაზე, ახლა ყველაფერი მხოლოდ თვალს უნდა მივანდოო.

რაკილა ასეა, მკითხველსაც ალბათ ეს აზრი გაუჩნდება ამ პატარა წერილის წაკითხვის შემდეგ. მაშ, მივანდოთ თვალსა და გულისყურს ომარ თურმანაულის ახალი პოეტური კრებული „ცოდვები და გვირილები“.

**ივანე ამირხანაშვილი**




# პირველი სახელმძღვანელო

ლინგვისტიკით დაინტერესებული მკითხველები უკვე გაეცნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემულ წიგნს „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია“. წიგნის ავტორია პროფესორი კოტე ჭრელაშვილი.

ნაშრომში მოკლედაა მიმოხილული ენის შესახებ მეცნიერების ისტორიის ძირითადი პრობლემები ანტიკური ეპოქიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. წიგნის ერთ-ერთი უპირველესი ღირსება ისიცაა, რომ ის ამ რიგის, პირველი სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე.

„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ კურსი, ძირითადად შედგენილია რუსულ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. გამოყენებულია ქართული შესაბამისი ლიტერატურაც. რადგანაც წიგნი განკუთვნილია, ძირითადად, ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტთათვის, ამიტომ მასში ცალკე თავადაა შეტანილი „ქართველოლოგიის სათავეებთან“.

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ნაშრომს არა აქვს პრეტენზია არც სისრულისა და არც ორიგინალობის თვალსაზრისით. ის ძირითადად გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის როგორც სპეცკურსი, რომელსაც ავტორი კითხულობს 1968 წლიდან.

ამ ნაშრომის გამოქვეყნებით, ჩვენ ვხელმძღვანელობდით მოკრძალებული სურვილით — თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ქართულ ენაზე „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ელემენტარული კურსი... ბუნებრივია, ის დაზღვეული ვერ იქნება შესაძლებელი ხარვეზებისაგან. კეთილი განზრახვითა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე შენიშვნებს ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს“.

გვჯერა, ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

**ნათია ჯაყელი**

# ჩვენი სატკივარი

გიორგი ნახუცრიშვილი

ისე შეეჩვია თვალი ჩვენს მრავალფეროვან და ულამაზეს ბუნებას, რომ იგი სამარადისოდ ბოძებულ ღვთის წყალობად მიგვაჩნია. საქართველოს ბუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევინარჩუნებთ, თუ მთელი სიგრძე-სიგანით გავიცნობიერებთ მის მნიშვნელობასა და იმ საფრთხეს, რომელიც მისი მოსპობით გვემუქრება...

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ მცენარეული სამყარო — ცოცხალი ბუნების ძირითადი კომპონენტი კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, მისი მატერიალური და ჰუმანიტარული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

დედამიწის ზომიერი სარტყლის ფარგლებში ძნელად თუ მოიძებნება ტერიტორია, რომელსაც საქართველოს ოდენა ფართობი ეკავოს და თანაც მცენარეული სამყაროს ესოდენი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გამოირჩეოდეს. საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპისა და აზიის მიჯნაზე, როგორც სამეცნიერო, ისე რეკრეაციული თვალსაზრისით უნიკალური ბიოეკოლოგიური წარმონაქმნია. იგი მრავალი უძველესი და უნიკალური ენდემისა და ლანდშაფტის კერაა. ამავე დროს ადამიანის განსახლებისა და სამეურნეო მოღვაწეობის თვალსაზრისით, ძალზედ თავისებური ქვეყანაა.

ამჟამად, მრავალთა და მრავალთა მიზეზთა გამო, საქართველოს მცენარეულ საფარს განადგურება ემუქრება, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ერის არსებობას. ერის გადასარჩენად კი საჭიროა შევინარჩუნოთ ის ბუნებრივი გარემო, სადაც ერი ჩამოყალიბდა და განვითარდა, რომელიც მისი ფიზიკური არსებობის წყაროა, მის მატერიალურ და ჰუმანიტარულ თავისებურებათა ანუ ერის რაობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი. მცენარეულობა ხომ ჩვენი ლანდშაფტის ისეთივე განუყოფელი კომპონენტია, როგორც, ისტორიული ძეგლი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველო. იგი უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილიცაა, რომელიც ჩვენი ფიქრისა და გარჯის უპირველეს საგნად უნდა ვაქციოთ.

ქვეყნის ბუნებრივი გარემოს, კერძოდ, ერის მცენარეული საგანძურის, დაცვა-შენარჩუნებაში ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებს ენიჭება.

საქართველოს ბუნებრივი ნაკრძალების ქსელი, ფორმალური მაჩვენებლების მიხედვით, საკმაოდ ვრცელია და თუ ნაწილობრივ მაინც ემსახურება ეროვნულ საქმეს, ეს ერთეული ენთუზიასტების დამსახურებაა, რადგან საბჭოური ადმინისტრირების მანკიერი სისტემის გამო იგი ძალზე ცუდად ასრულებდა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვისა და აღწარმოების საქმეს. იმთავითვე საკმარისად არ იყო გათვალისწინებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სანაკრძალოდ შერჩეული ტერიტორია. ასეთია, თუნდაც, ისეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რომლებიც ერთდროულად უზრუნველყოფს ფლორისა და ფაუნის გენოფონდების შენარჩუნებას, მრავალფეროვანი ბუნებრივი ეკოსისტემების ერთობლივად დაცვას და მათ შესაბამისი ნორმალურ ფუნქციონირებას.

მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა, ამჟამად მაინც დაუშვებელია მოქმედ ნაკრძალთა ქსელის ძირეული შეცვლა, რადგან თითოეული რეზერვატისათვის სანაკრძალო რეჟიმის მუდმივობა მისი დაცვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამიტომ, ერთდროულად უნდა განხორციელდეს ნაკრძალების ქსელის გაფართოება და არსებული ნაკრძალების სრულყოფა, (აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაფართოვდა კინტრიშის, ვაშლოვანის, ალგეთის ნაკრძალების ტერიტორიები). ზოგიერთი, პრაქტიკულად ფიქტიური „ნაკრძალი" უნდა გადაიქცეს ფაქტიურად. სხვა ისეთი ნაკრძალების, ფარგლებში, როგორებიცაა რიცა-ავათხარა, ბორჯომი, ყაზბეგი, თუშეთი და ზოგი სხვა, აუცილებელია შეიქმნას ახალი, და მნიშვნელოვნად გაფართოვდეს არსებული სრული აკრძალვის უბნები — ბუნებრივი ეკოსისტემების ხელშეუხები სანახები. სხვათა შორის, ზემოთ დასახელებულ ზოგიერთ ვითომ ნაკრძალს რომ „ნაკრძალი" ერქვა, ამან, შეიძლება ითქვას, დადებითი „პოლიტიკური" როლი შეასრულა — მათ ტერიტორიაზე დაგეგმილი, იმპერიის მიერ თავსმოხვეული, მთელი რიგი მშენებლობების განხორციელება ვეღარ მოხერხდა.

უნდა გამკაცრდეს სანაკრძალო რეჟიმი ყველა და, განსაკუთრებით, ისეთ უნიკალურ ნაკრძალებში, როგორიცაა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ლაგოდეხისა, რომელიც მოიცავს კავკასიონის მცენარეულობის თითქმის ყველა სარტყელს, და ვაშლოვანის, სადაც შემორჩენილია სავანოიდური ტიპის უიშვიათესი მცენარეულობა; დასავლეთში კოლხეთის, მიუსერისა და კინტრიშის, სადაც შემონახულია კოლხეთის და ხმელთაშუაზღვეთის უძველესი ფლორის წარმომადგენლები. ამ ბუნებრივ „კოლექციებს" მსოფლიოში ბადალი ძნელად თუ მოეძებნება, ეს ნაკრძალები პირველ რიგში უნდა გაფართოვდეს, უნდა დაისვას საკითხი სამეგრელოს კირქვიანი მთის რეგიონის განაკრძალების შესახებ და სხვ.

საქართველოს ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია დაწესდეს სხვადასხვა სიმკაცრით საგანგებოდ დაცული ტერიტორიები: სრული კომპლექსური ნაკრძალი; აღკვეთილი სხვადასხვა დანიშნულების მქონე სანაკრძალო რეჟიმით; ბუნებრივი ეროვნული პარკი.

პირველი ტიპის ტერიტორიებზე უნდა მოქმედებდეს მკაცრი (აბსოლუტური ნაკრძალის) რეჟიმი. დანარჩენი ორი კატეგორიის ტერიტორიაზე დასაშვებია რეგლამენტირებული ჩარევა, რომელიც არ დაარღვევს ბუნებრივი ლანდშაფტის მეტ-ნაკლებად ნორმალურ განვითარებას (მაგალითად, დროში, სივრცეში და ჯერადობის მიხედვით შეზღუდული ტურიზმი, განსაზღვრული რეკრეაციული საქმიანობა, ნორმირებული და მკაცრად შეზღუდული თიბვა და საქონლის ძოვება და სხვა). უნდა შევეგუოთ იმას, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში ეროვნული პარკი სრულ ნაკრძალად ვერ გამოცხადდება, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაშია.

საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია და სავსებით ხელმისაწვდომიც, რომ ეროვნული პარკი წარმოადგენს სრულიად ან ნაკლებად ხელყოფილ ბუნებას, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ საკმაოდ შემოგვრჩენია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ ასეთი პარკი მოიცავდეს მომხიბლავ ხედსა და ლანდშაფტებს, საქართველოსათვის ტიპიურ ეკოსისტემებს და სხვა შთამბეჭდავ სანახაობას. ეროვნულ პარკებად უნდა გამოცხადდეს მაღალმთის ალპური მცენარეულობისა და მყინვარების, ისტორიული ძეგლების მომცველი ტერიტორიები. უნდა ხელი შეეწყოს ცხენოსნობის, „საბილიკო" ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტის, სამთამსვლელო ცივილიზებული ინფრასტრუქტურების შექმნას, რაც უამრავ უცხოელ სტუმარს მოიზიდავს და დიდ შემოსავალსაც მოუტანს ქვეყანას. შეიძლება რეკომენდაცია მიეცეს ასეთი ბუნებრივი ეროვნული პარკების შექმნას, მაგალითად, ბზიფის აუზის მთელ ტერიტორიაზე, სვანეთში, ხევსა და არაგვის ხეობაში, კახეთში (შუამთაცივგომბორსა და ძალისაში) და სხვ. თბილისს რკალის სახით უნდა შემოერტყას თბილისის ეროვნული პარკი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენში ნაკრძალი თუ ეროვნული პარკი რატომღაც უეჭველად ტყესთან ასოციაციას იწვევს. ალბათ ამითაც აიხსნება, რომ ისინი დღემდე სატყეო უწყებებს ეკუთვნიან. ჩვენის აზრით, ამიერიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ მაღალმთიანეთს.

ძალზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს მთის ის რეგიონები, რომლებიც ბევრ სპორტსმენსა და ტურისტს იზიდავს — სვანეთი, ხევი, კერძოდ, ყაზბეგის რაიონი. მაგალითად, თითქმის ზედ დევდორაკისა თუ გერგეტის უნიკალურ მყინვარებზე, მათ მორენებსა და უშუალოდ მოსაზღვრე მცენარეულ საფარზე კარვების ბანაკებია გაშლილი. თელება და ნადგურდება იქაურობა. ამგვარი „ექსპლუატაციის" შედეგად თავად მყინვარების ფუნქციონირება უკვე დარღვეულია. ნადგურდება იშვიათი, ამ რეგიონებისათვის ტიპიური მთის ეკოსისტემები და მათ ადგილს თანდათან „შემოჭრილი" სარეველები იმკვიდრებენ. მისი დიფუზიის პროცესი თანდათან ძლიერდება. თუ დროზე არ მივხედეთ საქმეს, მცენარეთა ზენაცვლება შეიძლება შეუქცევადიც გახდეს და უმდიდრესი და უიშვიათესი მკვიდრი ფლორის ნაცვლად აქ მოსაზღვრე რეგიონების ტრივიალური მცენარეები გაბატონდნენ.

მაღალი მთის ვრცელი ტერიტორიები სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს ეროვნულ პარკებად, რომლებშიც ნაკრძალი უბნებიც იქნება გათვალისწინებული. მხოლოდ ეს თუ აგვარიდებს ჩვენი მთის მრავალფეროვანი, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში უკვე ძალზე მწირი ეკოსისტემების სრულ მოსპობას და მცენარეული სარტყლების ნიველირებას, რაც კატასტროფის ტოლფასია.

ეროვნული პარკის სიკეთით სარგებლობა კი არსად არაა უფასო და როდესაც სტუმრები თუნდაც მყინვართან მისვლა-დათვალიერებისთვის, მწვერვალზე ასვლისთვის, საგრძნობ საზღაურს გაიღებენ, მეტი მოწიწებით მოეკიდებიან ჩვენს ბუნებას და ჩვენც მეტად გვცემენ პატივს. ახლა კი, როცა ჩვენ თავად არად ვაგდებთ ჩვენს სიმდიდრეს, არც უცხონი დაინდობენ, ცხადია.

საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ლანდშაფტების დადგენას და ნაკრძალებად გამოცხადებას, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვან სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ. მათი დაცვა-შენარჩუნება აუცილებელია მდინარეების წყლის რეჟიმის შემდგომი დარღვევის, მთის ნაკადების ღვარცოფიანობის ზრდის, მეწყერიანობისა და ზვავიანობის მატების, მთის ფერდობებზე ეროზიული პროცესების განვითარების (რაც სავარგულების საბოლოოდ დაკარგვას გამოიწვევდა) აღსაკვეთად. საგანგებოდ აღსარიცხი და დასაცავია ისეთი ლანდშაფტები მაღალი მთის სუბალპურ სარტყლებსა და წყალშემკრები აუზების სათავეებში.

მნიშვნელოვანია ამაღლდეს ნაკრძალებში წარმოებულ კვლევით სამუშაოთა დონე, ამოქმედდეს ძირითადი ეკოსისტემების მონიტორინგი.

იმის გათვალისწინებით, რომ ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების უპირველესი დანიშნულება ერის ბუნებრივი გარემოს დაცვა — ერის არსებობის, მისი რაობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაა, ჩვენის აზრით, უნდა შეიქმნას ყველა უწყებისაგან დამოუკიდებელი ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების უშუალოდ რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი რწმუნებული დეპარტამენტი.



ზურაბ გენგიურის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ“

შექსპირის დრამატურგიის დადგმისას სპექტაკლი ღირსეულად მაშინ წარმოადგენს „ქართული შექსპირიანას“ ფენომენს, როცა შექსპირული პრობლემა უაღრესად თანადროული და სისხლხორცეულია, დასს ჰყოფნის ოსტატობა მისი სრულყოფილი წარმოსახვისა, ხოლო რეჟისურას კი უნარი პიესის იდეის და პერსონაჟთა ურთიერთობის ღრმად გააზრებისა.

ვფიქრობ, ამ თვისებათა ერთობლიობა განსაზღვრავს რუსთაველის თეატრის მცირე დასის „ჰამლეტის“ დღევანდელ წარმატებას.



ახალგაზრდული დასი მზად იყო შექსპირული ვნებათაღელვის წარმოჩენისათვის, სპექტაკლის რეჟისორული ინტერპრეტაცია თვითმყოფადი და სიღრმისეულია, ჰამლეტისეული პრობლემები კი ჩვენს ცხოვრებაში, სამწუხაროდ, მუდმივად აქტუალურია.

ერთმა რეჟისორმა ხუმრობით თქვა, რომ „ჰამლეტი“ ისეთი პიესაა, რომლის დადგმაზეც მთელი ცხოვრება უნდა იოცნებო, მაგრამ არასოდეს არ უნდა განახორციელო. ვფიქრობ, არის რაციონალური მარცვალი ამ ხუმრობაში. შექსპირის „ჰამლეტი“ იმდენად სრულყოფილი ნიმუშია დრამატურგიისა, რომ რაოდენ მაღალმხატვრულიც არ უნდა იყოს მის მიხედვით დადგმული სპექტაკლი, ის ალბათ მაინც დაბადებს უკმარისობის გრძნობას. რობერტ სტურუას სპექტაკლებით განებივრებულ თბილისელ მაყურებელს სკეპტიციზმი ნამდვილად არა აკლია. „ჰამლეტის“ დადგმა ნებისმიერი რეჟისორისაგან თავგანწირვად აღიქმება. ვფიქრობ, რომ „ჰამლეტის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლების შეფასების კრიტერიუმად მისი პიესასთან შედარება არ უნდა იქცეს.

„რაღაც ლპება ამ სახელმწიფოში“, — ჰორაციოს (ირაკლი მაჭარაშვილი) ამ სიტყვებით იწყება წარმოდგენა. სახელმწიფოს არსებობის საფუძველში ძევს სიყალბე, ხელისუფლება ძალადობით მოიპოვება, უზნეობის აღზევება საზოგადოებას უზარმაზარ მტრულ გარემოდ აქცევს, სადაც ზნეკეთილი მოაზროვნე პიროვნება დასაღუპადაა განწირული. ტოტალურ ბოროტებასთან ბრძოლა არყევს სიყალბეზე აგებული სახელმწიფოს საფუძვლებს, ბედისწერაზე ამხედრებული ტრაგიკული გმირი კი თავისი თავის მსხვერპლად შეწირვის ფასად კრავს დროთა დარღვეულ კავშირს.

ჰამლეტური დილემა დღესდღეობით ალბათ ყველაზე აქტუალურია ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. ყოფნა ხომ ბოროტებასთან თანაზიარობას გულისხმობს, არყოფნა კი მის წინააღმდეგ ბრძოლას. მის მოსპობას. თუკი ბოროტება ვერ დაიძლევა და გმირი განწირულია, რათა „მიიძინოს“, მაშინ ბოროტება, როგორც ობიექტური რეალობა განაგრძობს არსებობას, ხოლო გმირისთვის სუბიექტურად უკვე აღარ არსებობს. გმირის ფიზიკური გარდაცვალებით, საკუთარი სიცოცხლის მოსპობით მისთვის ისპობა მტარვალის ჩაგვრაც, მძლავრთა უკმეხობაც, უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფაც. მაგრამ სიკვდილი გამოსავალი არ შეიძლება იყოს, რადგანაც არავინ იცის თუ რა იქნება „სიზმრად“. არჩევანის თავისუფლებას იმთავითვე ზღუდავს შეუცნობლის შიში, რომელიც განაპირობებს შეჩვეული უბედურების ატანას. ცნობიერება ახშობს გაბედულებას, შეუცნობელის წინაშე შიშისგან შობილ ხანგრძლივ ტანჯვად აქცევს ჩვენს ცხოვრებას. ჰამლეტის შინაგანი კონფლიქტი, სულიერი დისჰარმონია განაპირობებს მის შეუთავსებლობას მოცემულ გარემოსთან. კლასიკური ტრაგედიის გმირის თანასწორად ეს პერსონაჟი მოაზროვნე პიროვნების ტრაგედიასაც მოიცავს. ჩვენი აზრით, უმთავრესად სწორედ მოაზროვნე პიროვნების ტრაგედია ტოტალიტარულ სამეფოში წარმოისახა გიზო ჟორდანიას სპექტაკლში. რუსთაველელთა ახალგაზრდული დასის წარმოდგენის სტრუქტურა პიესის ამ ასპექტის შესაბამისად აიგო.

რენესანსული ეპოქა, ანტიკური ხელოვნების აღორძინების იდეის შემცველი, ანტიკური თემებისა და მოტივების მემკვიდრეა. უამრავი ინტერპრეტაციის გვერდით გვხვდება უმნიშვნელოვანესი თხზულებებიც, რომლებსაც შინაგანი კავშირები აქვთ ანტიკურ წინამორბედებთან. ფსიქოანალიტიკოსთა აზრით, შექსპირისეული ჰამლეტის ქმედებათა წარმმართველი ოიდიპოსის კომპლექსია, ოიდიპოსისა და ჰამლეტის ერთგვარობა სათეატრო ხელოვნების მკვლევართა თუ ფსიქოანალიტიკოსთა ერთ-ერთი საინტერესო ვერსიაა. მეტად თავისებურ გამოძახილს ჰპოვებს ბედისწერის მოტივი შექსპირის ტრაგედიაში. ჰამლეტისათვის ბედისწერად მამის აჩრდილის შეგონება გადაიქცევა. შურისძიებით ანთებული იგი თავად „ოიდენს“ ფატუმის თვისებებს. მის გარდაუვალ „მსხვერპლთა“ შორის არიან როგორც ბოროტმოქმედნი, ასევე მეტ-ნაკლებად დამნაშავენი და სრულიად უდანაშაულონიც. ტრაგიკული გმირი თავად ხდება სხვათა სიცოცხლის ხელმყოფი. თუ ბოროტმოქმედთა მიმართ მისი ქმედება ცნობიერია, სხვა შემთხვევაში მსხვერპლის ბედს ჰამლეტის ემოციურ-ფსიქიკური იმპულსები განსაზღვრავს.

შექსპირში, რენესანსული ეპოქის წარმომადგენელში, ქრისტიანული მსოფლმხედველობა დომინირებს ანტიკურ შეცნებაზე. შურისძიება მიუტევებელ ცოდვათა რიცხვს მიეკუთვნება და ამდენად ჰამლეტი იღუპება როგორც სხვათა ბოროტების, ასევე როგორც საკუთარი ცოდვის მსხვერპლი. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ჰამლეტი შურისმაძიებლის ხელით იღუპება; ლაერტის ბიოგრაფიაში ხომ რამდენადმე მეორდება ჰამლეტის ტრაგიკული ბედი.

შექსპიროლოგიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ჰამლეტი შექსპირულ ალტერეგოდაც შეიძლება აღვიქვათ. ეს პერსონაჟი ყველაზე მეტად შეიცავს შექსპირული ფილოსოფიური აზროვნების სიღრმეს, ჰამლეტის როლის შესასრულებლად, ნიჭიერებასთან ერთად, აქტიორის ანალიტიკური აზროვნება აუცილებელი პირობაა. თაობა თაობას ცვლის. ქართულ სცენაზე იღვწიან მსახიობები — საინტერესონი, ნიჭიერები, ძალზე ნიჭიერებიც... თამაშობენ როლებს, ტოვებენ სცენას... ჰამლეტი კი რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. მერაბ ნინიძე ამგვარ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება.

მსახიობის შესრულების მანერა ჰამლეტის ქმედებათა ერთობლიობის შესაბამისად მოიცავს ცვალებადობის კომპლექსს, აზროვნების ტრაგედიის წარმოსახვა, ტრაგიკული კოლიზიის ანალიზი ძირითადად მონოლოგებში ხდება. მერაბ ნინიძე წარმოსახავს აზროვნების პროცესს. აქტიორის შესრულებაში უაღრესად ნატიფად წარმოჩნდა ჰამლეტის გრძნობათა ბუნება. მკვეთრი ჟესტიკულაცია და მიმიკა მის შესრულებაში ჰარმონიულად ერწყმის ფაქიზ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს. სიგიჟის გათამაშება ერთადერთი გამოსავალია აღზევებული სიბილწის გარემოში.

მერაბ ნინიძის ჰამლეტისათვის თავის მოგიჟიანება გარემოსაგან თავდაცვის საშუალებაა. იგრძნობს რა სიყალბეს სხვა პერსონაჟთაგან, ჰამლეტი თავის მოგიჟიანებით თითქოს საკუთარ სამყაროში იკეტება და ამგვარად აღარ აძლევს სხვებს საშუალებას, რომ მის საიდუმლოს გული ამოაცალონ და სულის სიმებს სათითაოდ ხმა ამოაღებინონ. მერაბ ნინიძე გონებასუსტი ბავშვის როლს ირჩევს სიგიჟის გამოხატვის ფორმად. სალოსი ქრისტიანობაში ნეტარად ითვლება, რადგან იგი ამქვეყნიურ სიბილწეს არ ეკარება. მერაბ ნინიძის ჰამლეტი, ხდება რა სალოსი, თითქოს საკუთარ ნაჭუჭში იკეტება და არავის არ აძლევს საშუალებას მისი სულის შერყვნისა, ფიზიკურად კი განადგურებისთვისაა განწირული.

გიზო ჟორდანიას სპექტაკლში ჰამლეტის მიერ არჩეული „თამაშის წესი“ ფარსის ელემენტებსაც შეიცავს. „თაგვების მახე“ — კლავდიუსის მხილების აქტი ფარსისა და კომიკური ოპერის ნაზავითაა წარმოდგენილი. მერაბ ნინიძის ჰამლეტი თავადაც აქტიორად გარდაიქმნება. საოცარი ოსტატობით იკეთებს გრიმს „სარკეში“, „პათეტიური ტრაგედიის“ მონაწილედ იქცევა. უტრირებული კომიკური ელემენტებით გათამაშებული „სათაგურის“ სცენაში, მცირე ეპიზოდებში რელიეფურ სახეებს ქმნიან ლევან ბერიკაშვილი და ნანა ლორთქიფანიძე, ამ სცენის გროტესკული ეფექტი სწორედ მათი მეშვეობით მიიღწევა.

შექსპირის გმირების ურთიერთმიმართება უამრავ სიღრმისეულ პლასტს მოიცავს, რომელთა ამოხსნაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მესახება. ვიდრე კლასიკის „გათანამედროვეობა“. და თუმცა გიზო ჟორდანიას სპექტაკლი საკმაოდ თამამ ექსპერიმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჟანრული სტატისტიკის, ისე მისი ინტერპრეტაციის გამოც, ჩემთვის უმთავრესი იმ მოტივაციათა ძიებაა, რომელსაც წარმოაჩენს ამ სპექტაკლში რეჟისორი. ვფიქრობ, ამ მიმართებით საინტერესოდაა წარმოდგენილი პერსონაჟთა ხასიათები და გახსნილი მათი ურთიერთობები.

გერტრუდას (ნანა შონია) მამოძრავებელი იმპულსი მისი ჟინის დაუკმაყოფილებლობაა. ეს თვისება განსაზღვრავს მის არჩევანსაც (ჰამლეტთან საუბრის შემდეგ ან უარი უნდა თქვას თავის ვნებაზე, ან შვილის სიგიჟე ცნოს...). ნანა შონია უაღრესად ემოციურად წარმოსახავს პერსონაჟის გრძნობათა ბუნებას. ჭეშმარიტად ტრაგიკულია ვითარება ქვეყანაში, სადაც პოლიტიკას სუბლიმირებული მდიდრის ვნებები განსაზღვრავს...

გიზო ჟორდანიას სპექტაკლში თითქოს შეჯერებულია თანამედროვე სათეატრო ესთეტიკის ძირითადი პოსტულატები ბიუხნერის სათეატრო მოდელიდან ბრეხტის გაუცხოების ეფექტამდე. სტილთა მოდულაცია ამ სპექტაკლისთვის ორგანულია და არსად არ ბადებს ეკლექტიკის შეგრძნებას. კომპოზიტორ დავით ევგენიძის მუსიკალურ პარტიტურაში მძაფრად იგრძნობა სპექტაკლის შინაგანი სტრუქტურა, ორიგინალურ კომპოზიციებში ჩანს ავტორის ნიჭიერება და თვითმყოფადობა. კონტრასტის პრინციპით შეთხზული მუსიკა, თანხმიერია რა რეჟისორული გადაწყვეტისა, ზუსტად გადმოსცემს კონკრეტული ეპიზოდის არსს.

მხატვარ თემურ ნინუას კოსტიუმები მოდერნისტულ სტილშია შექმნილი. კოსტიუმების მხატვრობაში ჩანს თ. ნინუას გემოვნება, თამამი გადაწყვეტა. სამწუხაროდ, სპექტაკლის სცენოგრაფია სტურუასეული „რიჩარდ III“-ის მხატვრობის გავლენითაა შექმნილი. სცენაზე თითქოს „რიჩარდ III“-ის რეკვიზიციაა გადმოტანილი: წაგრძელებულზურგიანი სკამები, სარზე წამოცმული ბორბალი, სარკის ფაქტურის კედელი... სცენის სიღრმეში გაურკვეველი დანიშნულების ნატურალური ზომის ვეფხვის ფიტულია მოთავსებული.. ყველასათვის გასაგებია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რობერტ სტურუას „შექსპირიანას“ სცენოგრაფია, მაგრამ მსგავსი ციტირება მაინც არასასურველია. მით უმეტეს, რომ თემურ ნინუა ერთ-ერთი საინტერესო თეატრალური მხატვარია დღესდღეობით ჩვენში და ალბათ უმჯობესი იქნებოდა სპექტაკლის ვიზუალური გადაწყვეტის თავისებური კონცეფცია შემოეთავაზებინა.

აქტიორის მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა პერსონაჟის მიმართ ეპიკური თეატრის ძირითადი პრინციპია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე დასელთა „ჰამლეტში“ ბრეხტის თეატრის ესთეტიკის ელემენტებიც მოინიშნება. ამ სტილისტიკისაა ზაზა პაპუაშვილის თამაშის მანერაც. კლავდიუსი რუსთაველელთა სპექტაკლში მოაზროვნე ბოროტმოქმედად არის წარმოდგენილი. ჰამლეტისა და კლავდიუსის ურთიერთობა კი ორი ანალიტიკოსის გონებრივ ჭიდილსაც ემსგავსება. გაუცხოების ეფექტი ზაზა პაპუაშვილის შესრულებაში თვითირონიის შედეგად მიიღწევა. კლავდიუსის მონოლოგი ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა სპექტაკლში.

კონტრაპუნქტის პრინციპზეა აგებული მესაფლავეების (გოჩა კაპანაძე, დავით ბახტაძე) სცენა. პიესაში მესაფლავეები მასხარებად მოიხსენიებიან. ამდენად, რეჟისორის გადაწყვეტას, წარმოედგინა ისინი კომიკური ეფექტების შემცველი გრიმითა და მეტყველებით, საკმაო საფუძველი ჰქონდა. ჩემი აზრით, მესაფლავეების ზედმეტად უტრირებული კომიკური შტრიხების ფონზე არ წარმოჩნდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდის არსი, რადგან ღრმად ფილოსოფიური სცენა ჟანრთა დაპირისპირების ასპარეზად იქცა.

„ჰამლეტში“ შექმნილი როლების სტილთა განსხვავებულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის გარემოება, რომ თითოეული როლის პარტიტურის შექმნისას გათვალისწინებულია მისი შემსრულებლის ინდივიდუალობა. ერთი და იგივე როლი სხვადასხვა აქტიორთა წარმოდგენით სრულიად განსხვავებულ ფერებში წარმოაჩენს პერსონაჟის ბუნებას. ნანა ხუსკივაძის ოფელია თავდაპირველი ბავშვური სიანცით ძლიერი ვნების სახასიათო გმირს ემსგავსება. ნინო თარხან-მოურავის გმირი კი მუდმივი მორჩილებით თოჯინას ჰგავს. მისი ოფელია დაუცველია მისთვის შეუცნობელ, სასტიკ გარემოში, იგი სწორედ ამ მორჩილებისა გამო იქცევა ბრმა იარაღად პოლონიუსის (გოჩა კაპანაძე) თუ კლავდიუსის ხელში. ნინო თარხან-მოურავი ზუსტად მიგნებული ფერებით გადმოსცემს პერსონაჟის ფსიქოფიზიკური მდგომარეობის ცვალებადობას. ოფელიას სიგიჟის სცენაში იკვეთება მისი ტრაგიკული მსოფლგანცდა.

ბოროტების აღზევება ერთიანად სპობს როგორც მის მსახურთ, ასევე მსხვერპლსაც: როდესაც ძალაუფლების უზურპაცია ხდება, განწირულების ზარი ეხმება როგორც უზურპატორს, ასევე მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფ პიროვნებებს, განურჩევლად იმისა, მონაწილეობდნენ ისინი ამ პროცესში თუ არა.

„ჰამლეტის“ პერსონაჟთა შორის ახალი თაობის ხუთი წარმომადგენელი იღუპება: ანალიტიკოსი ჰამლეტი, გულუბრყვილო ოფელია, შურისმაძიებელი ლაერტი, მოღალატე და ტირანის მსახურნი — როზენკრანცი (მალხაზ ქვრივიშვილი) და გილდენსტერნი (დავით ბახტაძე). ეს მსახიობები ხაზგასმულად იდენტურ პიროვნებებს წარმოადგენენ. ალბათ ასევე ემსგავსება ერთმანეთს ყოველი მონა და ბოროტი ნების უტყვი აღმსრულებელი.



განწირულთა სპექტრი ახალი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელს მოიცავს — ის ხომ ყოველთვის უსუსური და ხისტია ძალადობის წინაშე. დანიის სამეფო კი მომავალი თაობის, ფაქტიურად მომავლის გარეშე რჩება. არავინ იცის, თუ რა იქნება შემდგომ. ცარიელ სცენაზე ორი სახე ნათდება: მარად მლიქვნელურად მომღიმარი ოსრიკი (თემურ ჭიჭინაძე) და ჰორაციო (ირაკლი მაჭარაშვილი). (ვფიქრობ, მეტი გამომსახველობაა საჭირო ამ პერსონაჟის შესაქმნელად). ისმის ჯარისკაცური ნაბიჯების ხმა. მომავალი ფორტინბრასს ეკუთვნის — მას, ვინც სხვის მიწებს იპყრობდა და ვისი ჯარიც შიშის ზარს სცემდა ამ სამეფოს. უცხო ტომის წარმომადგენელი უნდა დაეპატრონოს ამგვარ ქვეყანას. ჯარისკაცების ჩექმების ბრახუნში ინთქმება თითქოს ყოველივე. ზედმიწევნით პესიმისტურია ფინალი. ბოლო შეგონებაც — „ილოცეთ ყველამ“ — ალბათ ერთადერთი გზაა ხსნისა...

რუსთაველის თეატრის ახალგაზრდული დასის სპექტაკლის ფინალურმა ფრაზამ გაფრთხილებასავით გაიჟღერა და მთელი თაობის სათქმელი, მარადიულ პრობლემათა პრიზმაში გარდატეხილი გადმოსცა.

ლელა ჭიჭურია

# ინგლისური იუმორი

•

პოლიციელი (რაციით) — „აქ კაცი გაძარცვეს და ერთი მათგანი დავიჭირე".

მეფე — „რომელი?"

პოლიციელი — „კაცი, რომელიც გაძარცვეს".

•

მითხარით, ოფიცერო, სად არის გზაჯვარედინი?

„თქვენ ზედ გზაჯვარედინზე დგახართ".

„მეც არ მიკვირს? იმიტომაც ვერ მოვნახე!"

•

ახალგაზრდა ქალიშვილი ერთ ზაფხულს სოფლად იყო და ფერმერის ბიჭს დაუახლოვდა. ერთ საღამოს მათ საძოვარზე გაისეირნეს და დაინახეს ხბო, დედას რომ ეალერსებოდა.

„ეჰ, თქვა ფერმერის ბიჭმა, „როცა მათ ვუყურებ, მეც ალერსი მინდება".

„მერედა, ვინ გიშლით?" უთხრა ქალიშვილმა. „ეგ თქვენი ხბოა".

•

მისიზ ფალკი — „ის ახალი პენსიონერი ან ცოლიანია, ანდა ქვრივი".

მომხიბვლელი ქალიშვილი — „არა, დედა, ასე თქვა, უცოლო ვარო".

მისიზ ფალკი — „არა მჯერა, ქირის გადახდის დროს, როცა საფულეს ხსნის, ყოველთვის შეტრიალდება და ზურგს შემაქცევს".

•

სასტუმროში (მემალაროელთა ქალაქში) — „ეს კედელი ისეთი თხელია, ყველაფრის დანახვა შეიძლება".

„თქვენ ფანჯარას უყურებთ, სერ".

•

ამბობენ, რომ ცოლი არისტოკრატიული ოჯახიდან მოიყვანეთ".

„მთლად ასე არ არის... თვითონ მოიყვანა თავისი ოჯახი ჩემთან".

•

აუქციონერი — „რამდენს შემომთავაზებთ რობერტ ბერნსის ამ მშვენიერი ქანდაკისათვის?"

ხმა — „ეგ ბერნსი არ არის, ეგ შექსპირია".

აუქციონერი — „ვილებ ხუმრობას, რაც ცხადყოფს, თუ რა ცოტა რამ ვიცი ბიბლიაზე".

•

„სანამ გიტირია, თუ გიცნია კიდევაც ტირილის წინ?"

„დიახ, სწორედ ამ დილას მოხდა ასე".

„რანაირად?"

„მამამ ლურსმანს დაადგა ფეხი. მე გამეცინა, მამამ დაინახა და მერე — ვიტირე".

•

დედა — „მოდი, ლონი, ნუ ხარ პატარა ველური. აკოცე ამ ქალბატონს".

ლონი — „არა, ეგ უხეში ქალბატონია. რომ ვაკოცო, იქნებ მეც ისეთი სილა გამაწნას, როგორც მამას".

•

„მიხარია, რომ ისევ ისეთს გხედავ", თქვა ძველმა მეგობარმა, „სიმდიდრემ სულ არ გამოგცვალა".

„არა, ერთ რამეში გამოვიცვალე", გულწრფელად მიუგო მილიონერმა, „აზირებული და უცნაური ვარ იქ, სადაც ადრე უზრდელი ვიყავი და მომხიბვლელად ენამოსწრებული იქ, სადაც წინათ უკმეხიაო, ამბობდნენ ჩემზე".

•

„ეს ენციკლოპედიაა", წარმოთქვა კაცმა, როგორც კი კარში შედგა ფეხი, „ფასდაუდებელია. აქ ყველაფერს ამოიკითხავთ, რაც კი გინდათ".

„არ არის საჭირო", თქვა სახლის პატრონმა. „მე ცოლიანი ვარ".

•

ოფიცერმა დაინახა მთვრალი კაცი და მიჰყვა. განათების ბოძს მიუახლოვდებოდა თუ არა, ის კაცი ბარბაცით შემოუვლიდა ბოძს და ისევ ტროტუარზე ადიოდა:

„ჯობია გამომყვეთ", თქვა ოფიცერმა და მხარზე დაადო ხელი, „მარტო გაგიჭირდებათ წასვლა".

„არა", მიუგო მთვრალმა. „ეს ამ ბოძების ამბავია. გაქანებულები მოდიან, მაგრამ მე კარგად ვხტები განზე, არა?"

•

პაციენტი — „ექიმო, მე მჭირდება ისეთი რამ, რაც კარგად შემანჯღრევს — რაღაცა, რაც კარგად გამწმენდს. რამე ასეთი თუ შეიტანეთ მაგ რეცეპტში?"

ექიმი — „არა, ასეთ რამეს ანგარიშში ნახავთ".

•

როცა ქალები ავიდნენ ომნიბუსში, უკვე ყველა ადგილი დაკავებული იყო. გამცილებელმა შეამჩნია, რომ ერთი კაცი თვლემდა და იმის შიშით, შეიძლება ჩაეძინოს და თავის გაჩერებაზე ვერ ჩავიდესო, მხარზე შეახო ხელი და უთხრა:

„გაიღვიძეთ!"

„მე არ მეძინა", შეეპასუხა ის კაცი.

„არ გეძინათ? მაგრამ თვალები დახუჭული გქონდათ".

„ვიცი. არ მიყვარს ფეხზე მდგომი ქალბატონების ყურება ხალხით გაჭედილ ომნიბუსში".


საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს მწერალთა კავშირის უცხოეთის განყოფილების გამგეს ირაკლი თოფურიას დედის
თინა ტაბატაძე-თოფურიას
გარდაცვალების გამო.




ზღვაზე. ვარლამ გენზიურის ფოტო.




მურთაზ აბაშიძის ნახატი.


მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სერგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე





რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ბუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.

მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-91-89; 98-36-68.

პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.

განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-68; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის —99-03-65; ხელოვნების 99-72-89.

ბუღალტერია — 99-72-89.



რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.

მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ვამოდის პარასკეობით



ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, 8, კოსტავას ქ. 14.